

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ფილოსოფიის ინსტიტუტი

ფ. ნადიბაიძე

მასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის
ისტორიიდან საქართველოში

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1965

1 ფხ
1 ბ
6 16

ნაშრომში განხილულია გამოჩენილი ქართველი პროფესიონალ-რევოლუციონერის და მოაზროვნის მიხეილ დავითაშვილის სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებანი. ახლად გამოვლენილა მასალების საფუძველზე შრომაში ნაჩვენებია მ. დავითაშვილის ბრძოლა, ერთი მხრივ, არ. ჯორჯაძის და ნ. ჯორდანიას „საერთო ნიადავის“ სეპარატისტული თეორიის წინააღმდეგ. ხოლო, მეორე მხრივ, მახისტური ფილოსოფიის სუბიექტურ-იდეალისტური ხასიათის წინააღმდეგ. შრომას თან ერთვის მ. დავითაშვილის გამოუქვეყნებელი ფილოსოფიური წერილები, რაც მკითხველთა ფართო წრის ინტერესს უდავოდ გაზრდის.

წინასიტყვაობა

წინამდებარე შრომაში მიზნად ვისახვდით გაგვეკეთებინა მანხომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო მიმოხილვა საქართველოში. მაგრამ დაუშუშავებელ მასალათა სიმრავლემ ამ პირველი მიზნიდან გადაგვახვევინა და იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენი პირველი ამოცანის სრულყოფილად განხორციელება შეიძლება მხოლოდ ამ ბრძოლაში მონაწილე ცალკეულ პიროვნებათა შეხედულებების მონოგრაფიული გამოკვლევის გზით. ჩვენც ამჯერად ერთი მოაზროვნის, გამოჩენილი ქართველი პროფესიონალ-რევოლუციონერის, მიხეილ დავითაშვილის სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებების გადმოცემით შემოვიფარგლეთ.

მიხეილ დავითაშვილის სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებანი სრულ ერთიანობაში არიან. კლასთა ბრძოლის მარქსისტულ ნიადაგზე მდგომი მ. დავითაშვილი სოციოლოგიაში „საერთო ნიადაგის“ სეპარატისტული თეორიის წინააღმდეგ იბრძოდა, ხოლო ფილოსოფიაში — სუბიექტური იდეალიზმის სახესხვაობის მანხომის წინააღმდეგ. ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ქართულ მარქსისტულ ლიტერატურაში დღემდე მხოლოდ მ. დავითაშვილის ფილოსოფიური წერილებია ცნობილი, რომელთა ძირითადი აზრი და ამოცანა პირდაპირ არის მიმართული მანხისტური ფილოსოფიის თეორიული საფუძვლების სისტემატური კრიტიკისაკენ. მ. დავითაშვილის ეს წერილები, რომელიც ამ წიგნს თან ერთვის, პირველად ქვეყნდება.

ამასთან ერთად გვინდა აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე შრომა, რომელიც არსებითად ახლად გამოვლენილ მასალებზეა დაფუძნებული, მ. დავითაშვილის სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებების სისტემატური გადმოცემის პირველ ცდას წარმოადგენს და ამიტომ შეიძლება იგი დაზღვეული არ იყოს ცალკეული ნაკლოვანებისაგან.

ავტორი

25.6. 64 წ.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მატერიალური დოვლათის წარმოების წესი, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს განსაზღვრავს, მუდმივ მოძრაობა-განვითარებაში იმყოფება. ამ პროცესის შინაგანი განსაზღვრულობას წარმოადგენს საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა მუდმივი ცვალებადობა. როცა საწარმოო ძალთა განვითარება იმ დონეს აღწევს, რომ წარმოებით ურთიერთობათა ძველ ფორმებთან კონფლიქტში მოდის, მაშინ აუცილებლობით დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა, რის შედეგადაც წარმოების ერთი წესი ერთი ფორმაცია მეორეთი იცვლება¹.

განვითარების ამ გზით წარმოიქმნა პირველყოფილი თემური წყობილებიდან მონათმფლობელური საზოგადოება, მონათმფლობელურიდან — ფეოდალური, ფეოდალურიდან — კაპიტალიზტური და ა. შ.

მართალია, სასაქონლო მეურნეობის ჩანასახობრივი ფორმები ჯერ კიდევ მონათმფლობელურ ფორმაციაში გვხვდება, მაგრამ კაპიტალიზმის ნამდვილი დასაწყისი მე-14—15 საუკუნეებს განეკუთვნება.

კაპიტალიზმის განვითარების გზაზე პირველი დიდი წარმატება წილად ხვდა ინგლისს, ხოლო შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს. კაპიტალიზმის წარმოშობა-განვითარება ყველა ქვეყანაში თავისებური ნიშნით მიმდინარეობდა, მაგრამ „როგორც უნდა იყოს ამა თუ იმ ქვეყანაში კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების თავისებურება. ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, ამ წყობილებას ყველგან აქვს საერთო ნიშნები და კანონზომიერებანი“². მართლაც, იგი ყველგან იმით აღინიშნა, რომ წარ-

¹ კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბილისი, 1953, გვ. 10.

² საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი, 1961, გვ. 8.

მოების მთელი საშუალებანი თანდათან კაპიტალისტების ხელში მოექცა, რამაც, საბოლოო ჯამში, თავისი პირდაპირი გამოხატულება ყველგან შრომისა და კაპიტალის ანტაგონისტურ დაპირისპირებაში ჰპოვა.

კაპიტალისტური საზოგადოების წარმოქმნას მოჰყვა ახალი კლასების — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის გაჩენა.

პროლეტარტა კლასს, რომელსაც საკუთარი სამუშაო ძალისა და პირადი თავისუფლების გარდა არაფერი გააჩნდა. კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში არაფრის დაკარგვა არ შეეძლო. ამგვარ გარემოებათა გამო, საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში, პროლეტარიტი გადაიქცა ისეთ ერთადერთ კლასად, რომელსაც რევოლუციის ინტერესების დაცვა ბოლომდე თანამიმდევრულად შეეძლო.

რევოლუციური კლასის წარმოქმნას მოჰყვა რევოლუციური თეორიის გაჩენა. სოციალიზმის მეცნიერული თეორიის შექმნა დაკავშირებულია კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სახელთან, რომლებმაც გამოსაჯულ წყაროდ აიღეს ყოველივე ის საუკეთესო, რაც მანამდე საკაცობრიო აზრის განვითარებამ მოგვცა ინგლისური კლასიკური პოლიტიკონომიის, გერმანული კლასიკური ფილოსოფიისა და ფრანგული უტოპიური სოციალიზმის სახით.

მარქსისტული მოძღვრების შექმნა უდიდესი რევოლუცია იყო საკაცობრიო აზროვნების ისტორიაში. ამ მოძღვრებაში ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება პირველად იქნა განხილული, როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი. მარქსმა პირველმა უჩვენა, რომ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება ისეთივე ობიექტური კანონების შესაბამისად იცვლება და ვითარდება, როგორც ბუნების ყველა სხვა საგანი და მოვლენა.

მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნის ანალიზის საფუძველზე კ. მარქსმა არა მარტო ის დაადგინა, თუ როგორ და რა კანონების მიხედვით ვითარდებოდა კაპიტალიზმი, არამედ ისიც, თუ საით და როგორ წარიმართებოდა ის. მარქსის ამ მეცნიერული თეორიის თანახმად, რომლის დასაყრდენ ქვაკუთხედს ზედმეტი ღირებულების თეორია წარმოადგენს, კაპიტალისტური ფორმაცია იმავე აუცილებლობით უნდა შეცვლილიყო, რა აუცილებლობითაც მოგვევლინა.

სოციალიზმის მეცნიერული თეორია მუშათა მოძრაობის შიგნით. მუშათა წარმომადგენლების მიერ არ შემუშავებულა, ეს გასაგებიცაა; პროლეტარული რევოლუციის თეორია საკაცობრიო აზროვნების ძირითადი გზის მიღმა ვერ შემუშავდებოდა, ხოლო საკაცობრიო აზროვნების საუკეთესო მონაპოვრის გათვალისწინებისათ-

ვის მუშათა კლასს არც საამისო დრო და არც საამისო ცოდნა არ გააჩნდა. მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები — მარქსი და ენგელსი — ბურჟუაზიის წრიდან გამოსული ინტელიგენტები იყვნენ³.

მარქს-ენგელსის მოძღვრებაში თავიდანვე გათვალისწინებული იყო, რომ კაპიტალიზმის შეცვლა სოციალიზმით უბრძოლველად არ მოხდებოდა. ამ უკანასკნელისათვის საჭირო იყო სასტიკი ბრძოლა. ხოლო ამ ბრძოლისათვის პროლეტარიატის გათვითცნობიერება; საჭირო იყო სოციალიზმის მეცნიერული თეორიისა და მუშათა რევოლუციური მოძრაობის შეერთება. წინააღმდეგ შემთხვევაში მუშათა რევოლუციური მოძრაობის გამარჯვებას დიდი დრო დაჭირდებოდა.

მარქს-ენგელსის გენიამ ამ მიმართულებითაც იჩინა თავი. ისინი პირველნი შეუდგნენ სოციალიზმის მეცნიერული თეორიისა და მუშათა მოძრაობის შეერთებას. მათი უშუალო მითითებითა და სელმძღვანელობით 1869 წელს შეიქმნება გერმანიის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია. მუშათა მოძრაობის ზრდის შესაბამისად ასეთივე პარტიები იქმნება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. მაგ.. 1870 წლიდან 1916 წლამდე ასეთი პარტიები შეიქმნა ჰოლანდიაში, ა.შ.შ., ინგლისში, საფრანგეთში, რუსეთში და ა. შ.⁴

მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიების რიცხოვრივ ზრდასთან ერთად იზრდებოდა მათი ძალა და ძლიერებაც, ბურჟუაზიული პარლამენტები სულ უფრო და უფრო იპულგებულნი ხდებოდნენ ელიარებინათ არა მარტო მათი არსებობა, არამედ მათი ძლიერებაც. ამიტომაც, მეოცე საუკუნის დასაწყისში, წერს ვ. ი. ლენინი, „ასეთი პარტიები აშკარად არსებობდნენ თითქმის ყველა ქვეყანაში“...⁵ მაგრამ მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიების შიგნით თავიდანვე ოპორტუნისტმა იჩინა თავი, რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა მუშათა რევოლუციის საქმეს.

ერთი სიტყვით, კაპიტალიზმის განვითარებას უშუალო შედეგად მოყვა მუშათა რევოლუციური კლასის, მუშათა რევოლუციური თეორიისა და მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმოქმნა.

რუსეთში ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ რადიკალური შემობრუნება 1861 წლის საგლეხო რეფორმით დაიწყო. რეფორმის

ვ. ი. ლენინი, თხზ., მეოთხე გამოცემა, ტ. 5, გვ. 468—480. ქვემოთ ყველგან ეს გამოცემა იქნება მითითებული.

⁴ У. Фостер, История трех интернационалов, Москва, 1959, гв. 135.

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 450.

შემდეგ რუსეთი სწრაფად წავიდა წინ კაპიტალიზმის განვითარების გზაზე. მაგრამ ეს უკანასკნელი ისე არ უნდა იქნეს გაგებული თითქოს კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში რეფორმის პირდაპირა შედეგი იყო. პირიქით, როგორც ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა⁶. კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში გამოწვეული იყო ქვეყნის შიდა ეკონომიური განვითარებით, პირველ ყოვლისა საწარმოო ძალთა განვითარებით. 1861 წლის საგლეხო რეფორმა კი მხოლოდ იმდენად დაესმარა კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში. რამდენადაც ეს აუცილებელი იყო ძველი წარმოებითი ურთიერთობის შესანარჩუნებლად.

ქვეყნის შიდა ეკონომიურმა განვითარებამ, რაც მეურნეობის ბატონყმურ ფორმებს დღითიდღე არღვევდა და რუსეთს კაპიტალისტური განვითარების გზაზე აყენებდა, გლეხთა განუწყვეტელმა „ბუნტებმა“ და ბატონყმური რუსეთის ჩამორჩენილობის მამხილებელმა უირიმის ომმა მეფის ხელისუფალნი დაარწმუნა, რომ ბატონყმობის შემდგომი შენარჩუნება შეუძლებელი იყო. ამიტომ ალექსანდრე მეორემ აღიარა — „სჯობს გლეხოზა გავანთავისუფლოთ ზემოდან. ვიდრე ქვემოდან დაგვაშობდნენო“.

მაგრამ რეფორმის შემდეგ რუსეთის გლეხოზის მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა, რადგან მათ საუკეთესო მიწების დიდი ნაწილი ჩამოაპკრეს, ხოლო დარჩენილ მიწაზე მძიმე გამოსასყიდი ფასი დაუწესეს. უფრო მეტიც, მათი მდგომარეობა ფაქტიურად გაუარესდა, რადგან გლეხოზის ღირება ნაწილმა მიწის გამოსყიდვა ვერ შეძლო და სულ უმიწოდ დარჩა. ეს გარემოება კი მათ იძულებულს ხდიდა: ა) ან იჯარით აეღოთ მიწა, ბ) ან მოჯამაგირედ დადგომოდნენ მიწის პატრონს, გ) ანდა ქალაქში წასულიყვნენ სამუშაოს საშოვნელად.

ერთი სიტყვით, წარმოების კაპიტალისტური წესის გამარჯვების შედეგად რუსეთის სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილი სოფლის ბურჟუა-პულაკებად გადაიქცა, მეორე — პროლეტარებად. ხოლო მესამე — მათ შორის მერყევ, საშუალო გლეხებად.

რუსეთის სოფლის მეურნეობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ ვ. ი. ლენინი თავის წიგნში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ წერდა: დღევანდელ რუსეთში გლეხთა „ეკონომიურ ურთიერთობათა წყობა“ კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობით ხასი-

⁶ წიგნში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“.

ათდებან; რუსეთის სოფლის მეურნეობაში მიმდინარეობს სასტიკი ბრძოლა „სამეურნეო დამოუკიდებლობისათვის“, „მიწების ხელში ჩაგდებისათვის“, რასაც თან სდევს „წარმოების თავმოყრა უმცირესობის ხელში“, „უმრავლესობის გადასროლა პროლეტარიატის რეგებში“ და სასტიკი კონკურენცია⁷; ამას შედეგად ახლავს ის, რომ სოფლის უმცირესობა ექსპლოატაციას უწევს სოფლის უმრავლესობას — „სავაჭრო კაპიტალისა და მოჯამაგირეების დაქირავების შუალებით“⁸.

უმრავი ფაქტიური მასალის საფუძველზე ვ. ი. ლენინი უჩვენებდა, რომ რუსეთის სოფლის მეურნეობაში ამ დროისათვის არ იყო „...არც ერთი ეკონომიური მოვლენა, რომელსაც არ ჰქონოდა ეს, სპეციფიკურად კაპიტალისტური წყობილებისათვის დამახასიათებელი, წინააღმდეგობრივი ფორმა“⁹.

ამ წინააღმდეგობათა ერთობლიობის განხილვას შედეგად ვ. ი. ლენინი დაასკვნდა: დღევანდელ რუსეთში „ძველი გლეხობა არა თუ „დიფერენციაციას“ განიცდის, არამედ სავსებით ნადგურდება, არსებობას სწყვეტს, რადგან თანდათან გამოიდევნება სოფლის მოსახლეობის სრულიად ახალი ტიპებით, — ტიპებით, რომლებიც წარმოადგენენ იმ საზოგადოების ბაზისს, სადაც გაბატონებულია სასაქონლო მეურნეობა და კაპიტალისტური წარმოება; ეს ტიპებია სოფლის ბურჟუაზია (განსაკუთრებით წვრილი) და სოფლის პროლეტარიატი, საქონელმწარმოებელთა კლასი მიწათმოქმედებაში და სასოფლო-სამეურნეო დაქირავებული მუშების კლასი“¹⁰.

რაც შეეხება კაპიტალიზმის განვითარებას ქალაქად, წერდა ვ. ი. ლენინი, რომლის დონეც შინაური ბაზრის განვითარების დონით განიზომება¹¹, იგი პირობადებულია. იმავე შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე. სოფლის მეურნეობაში მომხდარი დიფერენციაციით. სასაქონლო მეურნეობამ, რომლის პირველ ფორმასაც მრეწველობაში ხელოსნობა წარმოადგენდა¹², თავისი სათავეები მიწათმოქმედებიდან აიღო¹³; ხოლო თავის შემდგომი გან-

⁷ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 185.

⁸ იქვე.

⁹ იქვე.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე, გვ. 187—188.

¹² იქვე, გვ. 64.

¹³ იქვე, გვ. 383.

¹⁴ იქვე, გვ. 25.

ვიცარება ვაქრობის გაფართოებაში, სპეციალისტ ვაჭარ-შემსყიდველთა ვაჩენაში კპოვა, რამაც გარკვეული დასაბამი მისცა მსხვილი მრეწველობის განვითარებას რუსეთში¹⁵.

ერთი სიტყვით, გასული საუკუნის 70-იანი წლებისათვის, ვ. ი. ლენინის თქმით, რუსეთი მზად იყო ქალაქისა და სოფლის ბოგანოთათვის ერთ ჭერქვეშ მოეყარა თავი. ეს ასეც მოხდა და სულ ორიოდ ათეული წლის განმავლობაში რუსეთის მუშათა რაოდენობამ ასი ათასებს გადააჭარბა; ეს იყო რუსეთის სამრეწველო პროლეტარიატი, რომელიც ცარიზმისა და კაპიტალის მძიმე ბატონობის პირობებში დიდ საბრძოლო წრთობას ღებულობდა.

რუსეთის პროლეტარიატი ჯერ კიდევ 70—80-იანი წლებიდან იწყებს კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. მუშათა კლასს ბრძოლისათვის აიძულებდა უღმობელი სოციალური ჩაგვრა და ექსპლოატაცია, აუტანელი საბინაო პირობები, დაბალი ხელფასი, გაუთავებელი ჯარიმები, ცუდი სამუშაო პირობები, ხანგრძლივი სამუშაო დღე და ის პოლიტიკური უუფლებობა, რომელშიც მათ მეფის რუსეთი აყენებდა. მუშათა რევოლუციურ გამოსვლებს თან ერთოდა გლეხთა აჯანყებები, რომელთა რიცხვმაც რევოლუციის შემდეგ კი არ იკლო არამედ იმატა.

საკუთარი ბრძოლის გამოცდილებისა და დასავლეთის მუშათა მავალითზე რუსეთის მოწინავე მუშები ხვდებოდნენ, რომ კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო იყო გაერთიანება. ხოლო გაერთიანებისათვის საკუთარი ორგანიზაციების შექმნა. გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში „სამხრეთ რუსეთის მუშათა კავშირის“ და „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირის“ სახით რუსეთში, მართლაც, ჩნდებიან ასეთი ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციებს დიდხანს არ უარსებნია. ისინი ჩქარა აღმოჩენილ და განადგურებულ იქნა ცარიზმის მიერ. მაგრამ ეს მარცხი რუსეთის მუშათა საბრძოლო გაერთიანების დასასრული როდი იყო. პირიქით. რუსეთის მუშათა რევოლუციურმა მოძრაობამ ამის შემდეგ კიდევ უფრო აშკარად დააყენა მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნის საკითხი.

მართლაც, 1883 წელს საზღვარგარეთ, ვ. ვ. პლეხანოვის ხელმძღვანელობით იქმნება რუსეთის პირველი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი. პლეხანოვმა და მისმა ჯგუფმა დიდი როლი შეასრულეს რუსეთში მარქსიზმის შემოტანისა და გავრცელების საქმეში; გაბატო-

¹⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 386.

ნებული ხალხოსნური იდეების წინააღმდეგ ბრძოლაში¹⁶, რისთვისაც ვ. ი. ლენინი სათანადოდ აფასებდა მათ. მაგრამ გ. ვ. პლехანოვმა ვერც ხალხოსნური იდეების საბოლოო განადგურება შესძლო და ვერც რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნა.

ამ ისტორიული ვითარების უშუალო მონაწილე იყო საქართველო, რომელიც 1801 წელს შეუერთდა რუსეთს. საქართველოს რუსეთთან შეერთება, რაც თავისთავად ობიექტურად პროგრესული ფაქტი იყო. თავიდანვე ნაციონალურ-კოლონიალური ჩაგვრის გზით ვითარდებოდა¹⁷. მაგრამ კოლონიალური ძარცვისა და ძალდატანებითი რუსიფიკაციის მიუხედავად, რაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გრძელდებოდა ამიერკავკასიასა და საქართველოში, მაინც ეს პროცესი, — „...პროცესი ცარიზმის მიერ ამიერკავკასიის ანექსიისა წარმოადგენდა მაშინდელ პირობებში სხვანაირად შეუძლებელ და ამავე დროს აუცილებელ გზას ამიერკავკასიის ხალხთა საზოგადოებრივი განვითარების ახალ და მაღალ ეპოქაში გადასასვლელად“¹⁸.

ვ. ი. ლენინის თქმით, ამიერკავკასიის და. მაშასადამე, საქართველოს რუსეთთან შეერთება იყო მეტად მნიშვნელოვანი აქტი, რადგან „...რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევედა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველი პატრიარქალური კარჩაგეტილობის ნაშთს. — ჰქმნიდა ბაზარს თავის ფაბრიკებისათვის“¹⁹.

ამგვარად, საქართველოს რუსეთთან შეერთება იყო ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურებისაგან ხსნის აქტი, ფეოდალურ სამთავროებად დანაწილებული საქართველოს ერთ მთლიან ეკონომიურ და პოლიტიკურ ორგანიზმად შეკვრის აქტი, რასაც აუცილებლობით მოჰყვა ქართველი ერის ჩამოყალიბება და საქართველოს მსოფლიო კაპიტალიზმის ფერხულში ჩაბმა. ამ დროიდან საქართველომ თავი დააღწია თურქეთ-ირანის ბატონობას. ხოლო რუსეთმა ამიერკავკასიაში გაბატონებით ზღვარი დაუდო ინგლის-საფრანგეთის აგრესიულ მისწრაფებას კასპიისა და შავი ზღვის ქვეყნებისაკენ. ამით რუსეთმა მტკიცედ უზრუნველყო არა მარტო თავისი დიდი იმპერიის სამხრეთი

¹⁶ ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მისი ისეთი შრომები, როგორცაა — „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“, „ჩვენი უთანხმოებანი“, „ისტორიაზე მონატური შეხედულების განვითარების საკითხისათვის“ და სხვა.

¹⁷ ლ. გ. არგოლაძე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბილისი, 1961, გვ. 25.

¹⁸ პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., თბილისი, 1949, ტ. 1, გვ. 448—449.

¹⁹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 704.

საზღვრების დაცვა, არამედ კაპიტალისტური მეურნეობის გზაზე და-
მდგარი ქვეყნის შემდგომი განვითარებაც.

ამიერიდან ქართველი ხალხი სამუდამოდ დაუკავშირდა რუს
ხალხს და მასთან ერთად გაინაწილა ცხოვრების ხვედრი, მასთან ერ-
თად მიიღო ცარიზმის მიერ ნაბოძები „ყბადაღებული“ საგლეხო რე-
ფორმაც, რომელიც 1864—1871 წლებში გატარდა საქართველოში.

საგლეხო რეფორმის გატარება ქართველ თავადაზნაურობას მი-
ენდო. თავიდანვე იგულისხმებოდა, რომ ყმა-გლეხების მდგომარეო-
ბის გაუმჯობესების ნაცვლად, რეფორმას მოჰყვებოდა ბატონყმურ
ურთიერთობათა გადმონაშთების დაცვა. ეს, მართლაც, ასე მოხდა²⁰.

რეფორმამ ერთიორად გააუარესა ქართველი გლეხობის მდგო-
მარეობა. რუსეთის გლეხების მსგავსად ქართველ გლეხობას ჩამო-
აჭრეს საუკეთესო მიწების დიდი ნაწილი. მაგ. თუ აღმოსავლეთ სა-
ქართველოში რეფორმამდე ერთ ყმა გლეხზე 5.2 დესეტინა მიწა მო-
დიოდა, რეფორმის შემდეგ მხოლოდ 3,4 დესეტინა დარჩა. კიდევ
უფრო ცუდი მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოში. ქუთაი-
სის გუბერნიაში რეფორმის შემდეგ თითოეულ გლეხს საშუალოდ
მხოლოდ 2.5 დესეტინა მიწა დარჩა, შორაპნის მაზრაში—2,7 დესე-
ტინა, ლეჩხუმის მაზრაში—2,1 დესეტინა, რაჭის მაზრაში—1,9
დესეტინა. ოზურგეთის მაზრაში — 1.3 დესეტინა და ა. შ.²¹ ერთი
სიტყვით. რეფორმის შემდეგ საუკეთესო მიწების 2.091.354 ჰექტა-
რი თავადაზნაურობის ხელში მოექცა, 127,060 ჰექტარი საუფლის-
წულო ხაზინის, ხოლო დანარჩენი — მიწის 57,6 პროცენტი — სა-
მეფო ხაზინის. გლეხების საკუთრებაში კი მთელი მიწის მხოლოდ
6.4 პროცენტი დარჩა²².

უნდა აღინიშნოს, რომ მიწის ის ნაწილი. რომელიც ქართველ
გლეხობას დაუტოვეს. რუსეთის გლეხებთან შედარებით, ორჯერ
მეტ ფასად უნდა გამოესყიდათ ყოველგვარი სახელმწიფო კრედიტის
გარეშე; უფრო მეტიც, ქართველ გლეხობას არ მისცეს არც ტყე და
არც საძოვრები. ტყითა და საძოვრებით სარგებლობისათვის გადასა-
ხადი უნდა ჰხადათ. ამასაც რომ დავანებოთ თავი, ყველა გლეხმა რო-
დი მიიღო მიწა; 5.444 შინაყმა და 8.000 კომლი ე. წ. ხიზნები სრუ-
ლიად უმიწოდ ვაათავისუფლეს. ერთი სიტყვით „განმათავისუფლე-

²⁰ ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, XIX—XX სს., წიგნი II, თბი-
ლისი, 1959. გვ. 15—20.

²¹ საქართველოს ისტორია, ტ. 2, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი,
1962. გვ. 33.

²² იქვე. გვ. 128—131.

ბელი საგლესო რეფორმა არსად იმპერიაში არ გატარებულა ისე შე-
ღვათიანად მემამულეებისათვის და ისეთი შეზღუდვით გლესობი-
სათვის, როგორც ამიერკავკასიაში²¹.

ამ „ძალმომრეობითი“ და „დამცინავი“ რეფორმიდან. საქალაქო
რეფორმის ნახევრად და ისიც მეტად დაგვიანებით გატარების გარდა,
საქართველოში არ გატარებულა არც საერობო და არც სასამართლო
რეფორმა, რამაც სანადგულო (ღროებით ვალდებული) გლესების მე-
მამულეთა კაბალაში მოქცევას დიდად შეუწყო ხელა.

საგლესო რეფორმის მძიმე შედეგებმა, რასაც ზედ მეფის რუსე-
თის კოლონიალური პოლიტიკა ემატებოდა. უკიდურეს გაჭირვებაში
ჩაავდო ქართველი გლესობა. რეფორმის შემდეგ, ქართველმა გლე-
ხობამ სასტიკი ბრძოლა გააჩაღა როგორც თავადაზნაურობის, ისე
მეფის პოლიტიკის წინააღმდეგ. აჯანყებული გლესები თავს ესხმოდ-
ნენ მემამულეებს, ანადგურებდნენ და წვადნენ მათ სახლებს, არ ინ-
დობდნენ არც მეფის მოხელეებს, უარს ამბობდნენ ყოველგვარი გა-
დასახადის გაღებაზე. გლესთა რევოლუციურმა გამოსვლებმა 70-იანი
წლებიდან მთელი საქართველო მოიცვა. მაგრამ ამ გამოსვლებს არ
ქონია ორგანიზებული ხასიათი, ურთიერთკავშირი და ხელმძღვანე-
ლი ცენტრი.

გლესებს, რომელთა რევოლუციური მღელვარება დღითიდღე
იზრდებოდა, თავისი იდეოლოგები გამოუჩნდნენ. ესენი იყვნენ
ხალხოსნები. ხალხოსნურმა მოძრაობამ რუსეთში თავი იჩინა 60-იან
წლებში, ხოლო, რუსი ხალხოსნების გავლენით, ასეთი ორგანიზა-
ციები საქართველოში აღმოცენდნენ 70-იან წლებში. მათი პროგრა-
მა ძირითადად ერთნაირი იყო.

მართალია, ქართველ ხალხოსნებს ბევრი აქტიური მოღვაწე
(ე. იოსელიანი, ი. ქიქოძე, დ. ყიფიანი, ს. ჭრელაშვილი, ს. მგალობ-
ლიშვილი, შ. დავითაშვილი, გ. ჩიტაძე და სხვ.). ჰყავდა და ბევრი
ძლიერი ორგანიზაციაც შექმნეს (განსაკუთრებით თბილისსა და გორ-
ში), მაგრამ ეს ორგანიზაციები ჩქარა იქნა აღმოჩენილი და განადგუ-
რებული ცარიზმის მიერ.

გლესთა იდეოლოგები, ხალხოსნები შეცდომით თვლიდნენ, რომ
კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში ნიადაგი არა აქვს და ამიტომ
ვერც პროლეტარიატი განვითარდებაო. მთავარ რევოლუციურ ძა-
ლად მათ მიაჩნდათ გლესობა, ხოლო სოციალიზმის ჩანასახ ფორმად

²¹ მასალები საგლესო ბანკის საქმიანობის საკითხზე ამიერკავკასიის მხარე-
ში, 1904, გვ. 24.

— გლეხური თემი. ისტორიის შემოქმედად ისინი თვლიდნენ კულ-
კულ გმირებს და ამიტომ, საბოლოოდ, ტერორის გზას დაადგნენ.

მართალია, ხალხოსნები, რომელნიც მარქსიზმის სასტიკი მოწი-
ნააღმდეგენი იყვნენ, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კა-
ნონზომიერებაში ვერ გაერკვნენ, თავიანთ მკდარ შეხედულებათა
გამო ხალხს მოწყდნენ და დამარცხდნენ, მაგრამ მათ მიიხსნა დიდი
ისტორიული როლი შეასრულეს ჩაგრული მასების გარეგონლუციო-
ნერების საქმეში.

ფეოდალური წყობილებიდან კაპიტალისტურზე გარდამავალმა
ხანამ, რომელსაც რუსეთში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი დას-
ჭირდა, არ გაამართლა არც მეფის ხელისუფალთა სურვილები და
არც ხალხოსნების ის მტკიცება, თითქოს რუსეთში კაპიტალიზმი ვერ
განვითარდებოდა, სინამდვილეში საზოგადოებრივი ცხოვრების გან-
ვითარება კაპიტალისტური გზით წავიდა. საგლეხო რეფორმამ კი ეო-
თიორად დააჩქარა ეს პროცესი. უმოკლეს დროში, პირველი მოთ-
ხოვნილების საგნებიდან სამუშაო ძალამდე, ყველაფერი საქონლად
იქცა. წარმოების კაპიტალისტურ წესს დაექვემდებარა, როგორც
სოფელი, ისე ქალაქი.

კაპიტალიზმის განვითარების პირველი დღიდანვე საქართველო-
ში სწრაფად იზრდებოდა არა მარტო მრეწველობის თანდათანობითი
გამოცალკეება მიწათმოქმედებისაგან, არამედ თვით მიწათმოქმე-
დების სპეციალიზაცია — კულტურებისა და დარგების მიხედვით.
ამის გამო ერთიორად ფართოვდება საქონლის გაცვლა-გამოცვლის
საჭიროება. რაც, თავის მხრივ, სასაქონლო წარმოების განვითარებას
იწვევდა. ამ პროცესის უშუალო გამაღრმავებელი იყო საგლეხო რე-
ფორმა, რომლის შედეგადაც, როგორც ზემოთ ითქვა, გლეხობის ერ-
თი ნაწილი სრულიად უმიწაწყლოდ დარჩა, მეორე ნაწილს — ძა-
ლიან ცოტა მიწა ერგო, ხოლო მიწის დანარჩენი (95%-მდე) დიდი ნა-
წილი თავადაზნაურობისა და სახელმწიფოს ხელში გადავიდა.

გლეხობის დიდმა ნაწილმა მიწა ვერ გამოისყიდა და სულ და-
კარგა. თავადაზნაურობამ საკუთარ მეურნეობას თავი ვერ გაართვა
და გაკოტრდა. მიწების უდიდესი ნაწილი კულაკებისა და მსხვილი
კაპიტალისტების ხელში მოექცა. ამ გარემოებამ დააჩქარა სოფლის
მოსახლეობის სწრაფი დიფერენციაცია.

ერთი სიტყვით, წარმოების კაპიტალისტურმა წესმა დაანგრია
ძველი სოფელი. სოფლის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ქალაქს მია-
შურა. რამაც ერთიორად გაზარდა ქალაქის მოსახლეობის რიცხვი.
მაგ., თუ 1863 წელს საქართველოს ქალაქებში მოსახლეობის საერ-
თო რიცხვი 121 899 ათას მცხოვრებს უდრიდა, 1897 წლისათვის

მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა 296 372 ათასამდე; ეს კი, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, მრეწველობის კაპიტალიზტური განვითარების უტყუარი ნიშანი იყო.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან წვრილი ხელოსნური წარმოება მსხვილმა კაპიტალიზტურმა მრეწველობამ შთანთქა. მაგ., 1851 წელს, ევროპიდან შემოტანილ მანქანებზე, თბილისში ამუშავდა მექანიკური ქარხანა, რომელსაც თან მოჰყვა თუჯის ჩამომსხმელი ქარხნის გახსნა. 1866 წელს გაიხსნა მექანიკურ ნაკეთობათა დიდი ქარხანა. 1870 წელს თბილისში ამუშავდა ბამბის საქსოვი ფაბრიკა. სადაც ორი წლის შემდეგ 500 მუშა მუშაობდა. 1875 წელს გაიხსნა ტყავის ქარხანა, რასაც ჩქარა ფეხსაცმლის ფაბრიკის გახსნაც მოჰყვა. 70-იანი წლების ბოლოს კი მანქანურმა წარმოებამ მოიცვა აგურის, შუშის, ხე-ტყის, ღვინის, კონიაკის, სპირტის, არაყის, ლუდის, მინერალური წყლების, ზეთის, სანთლის, საპნისა და მრავალი სხვა დარგის წარმოება. კაპიტალიზტური საწარმოების რიცხობრივ ზრდასთან ერთად იზრდებოდა მათი მოცულობაც; 80-იანი წლებიდან მარტო რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა რიცხვი 400 კაცს აღწევდა.

მსხვილმა კაპიტალიზტურმა ლატიფუნდიებმა და ფაბრიკა-ქარხნებმა წარმოების საშუალებებისაგან „გაანთავისუფლა“ როგორც გლეხობის, ისე ქალაქის წვრილ ხელოსან-მწარმოებელთა დიდი ნაწილი. ხოლოროცა მწარმოებელთა ერთი ნაწილი წარმოების საშუალებათაგან „თავისუფლდება“; ეს აუცილებლად ჰგულისხმობს, რომ ეს საშუალებანი სხვის ხელში გადადიან, კაპიტალად იქცევიან“²⁴.

დამმუშავებელი მრეწველობის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა და ვითარდებოდა მომპოვებელი მრეწველობაც. მაგ., 1863 წელს ბოლნისის ხეობაში ამუშავდა თუჯის ჩამოსასხმელი ქარხანა, რომელიც წლიურად 65000 ფუთ თუჯს უშვებდა. 80-იანი წლებისათვის კი ასეთი ქარხნების რიცხვი ათამდე გაიზარდა. ამავე ხანებში დაიწყო კიათურის მარგანეცის ამოღება, რომელმაც ჩქარა მსოფლიო ბოსმარების ნახევარი დაფარა. 900-იანი წლებისათვის მარტო ტყიბულის ქვანახშირის მოპოვებაზე 700 მუშა მუშაობდა და წლიურად 4 მილიონ ფუთ ქვანახშირს იღებდა.

საქართველოსა და ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრების სწრაფმა ზრდამ აუცილებლობით მოითხოვა მათი ერთიმეორესთან და

²⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 27.

მსოფლიო სავაჭრო გზებთან დაკავშირება, ამ გარემოებამ ერთი-
ორად დააჩქარა რკინიგზების გაყვანა. 1871 წელს რკინიგზის ხაზი
გაიხსნა ფოთსა და ზესტაფონს შორის, 1872 წელს ფოთსა და თბი-
ლის შორის, ხოლო 1883 წელს ბაქოსა და ბათუმს შორის.

რკინიგზების გაყვანამ ერთ კვანძად შეკრა ამიერკავკასიის მრავალეროვნული პროლეტარიატი, რომლის რიცხვი მარტო საქართველოს მრეწველობასა და ტრანსპორტზე 900-იანი წლებისათვის 27--28 ათასს აღწევდა.

კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებასთან ერთად იზრდებოდა საქართველოს მუშათა კლასის რევოლუციური გამოსვლები, მას ბრძოლისათვის აიძულებდა მძიმე სამუშაო პირობები, დაბალი ხელფასი, დიდი სამუშაო დღე, მეპატრონეთაგან თვითნებურად შემოღებული ათასგვარი ჯარიმა და მეფის რუსეთის ის ნაციონალური პოლიტიკა, რომელიც აშკარა კოლონიალურ ხასიათს ატარებდა.

საქართველოს მრავალეროვანი პროლეტარიატის ბრძოლა, რომელიც თავიდანვე რუსეთის პროლეტარიატის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა. პირველად სტიქიური ხასიათისა იყო და ეკონომიური მოთხოვნების ხასიათს ატარებდა. შემდეგ მუშათა მოძრაობას თავისი ხელმძღვანელები გამოუჩინდნენ და თანდათან პოლიტიკური ხასიათი მიიღო.

საქართველოს მუშათა რევოლუციური გამოსვლები გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. პირველი დიდი რევოლუციური გამოსვლა 1869 წელს არსენალის მუშებმა მოაწყვეს. შემდეგ, 1872 წელს - მირზაგვის ფაბრიკის მუშებმა, 1877—1878 წლებში — ზეიტერის ფაბრიკის მუშებმა. 1886—1889 წლებში — თბილისის რკინიგზის სახელოსნოს მუშებმა. 1892 წელს დიდი გაფიცვა მოეწყო ბათუმის მანთაშევის ქარხანაში, 1894—1895 წლებში მთელი რიგი გაფიცვები მოხდა თბილისის თამბაქოს ფაბრიკებში, 1897—1898 წლებში გაფიცვების ტალღა მოედო მთელ საქართველოს.

კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად საქირო იყო გაერთიანება. ამიტომ, საქართველოს რევოლუციურმა პროლეტარიატმა დღის წესრიგში აუცილებლობით დააყენა საკუთარი რევოლუციური პარტიის შექმნის მოთხოვნა.

მუშათა რევოლუციური პარტიის შექმნა, ცხადია, მარქსისტულ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო. მარქსისტული მოძრაობის ჩანასახებს საქართველოში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ვხვდებით. მაგრამ 80-იანი წლების საქართველოში, — როგორც ამას

სწორად შენიშნავს ო. ბაკურაძე, — მარქსიზმი გაუგებარი დარჩა²⁵. მარქსიზმის ისეთი მქადაგებელნი, როგორც იყვნენ ი. ზდანოვიჩი-მაიაშვილი, ს. კრელაშვილი, ი. ჯაბადარი, რომანოვ ფანცხავა და სხვები უფრო ეკლექტიკური იდეების მატარებელნი იყვნენ, ვიდრე რევოლუციური მარქსიზმისა და ძირითადად ნაროდნიკულ პოზიციებზე დარჩნენ.

საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ნამდვილი დასაწყისი 90-იან წლებს უნდა ეკუთვნოდეს. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის გ. ვ. პლესანოვის „ზრამის განთავისუფლების“ ჯგუფს და რევოლუციური მოღვაწეობისათვის რუსეთიდან საქართველოში გადმოსახლებულ სოციალ-დემოკრატებს.

90-იანი წლების რევოლუციურ საქართველოში მარქსიზმი ნიუიერ ნიადავს პოულობს. ამიტომ, ერთდროულად რამდენიმე მარქსისტული ორგანიზაცია ჩნდება ჩვენში. ერთ-ერთი ასეთი მარქსისტული ორგანიზაცია „მესამე დასი“ იყო, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მარქსიზმის გავრცელებისა და მუშათა რევოლუციური მოძრაობის ორგანიზაციის საქმეში. „მესამე დასის“ რევოლუციური ფრთა გახდა საქართველოს მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ის ჩანასახი, რომელიც 900-იანი წლებისათვის საქართველოს მუშათა რევოლუციური მოძრაობის ძლიერ შტაბად გადაიქცა.

„მესამე დასის“ პირველი სხდომა, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი ე. ნინოშვილი იყო, 1892 წლის 25 დეკემბერს მოეწყო ზესტაფონში. სხდომას ე. ნინოშვილის გარდა ესწრებოდნენ: ნ. ჟორდანიანი, მ. ცხაკაია, ს. ჯიბლაძე, კ. ჩხეიძე, ი. რამიშვილი, დ. კლდიაშვილი, ი. კვიციანიძე და რ. კალაძე. სხდომაზე წარმოდგენილ და განხილულ იქნა ნ. ჟორდანიას პროექტი. ეს პროექტი გაცირიტიკებულ და დაწუნებულ იქნა.

ნ. ჟორდანიას მიერ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებდა ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის შექმნას, სოლო ფ. მახარაძე²⁶, მ. ცხაკაია, ს. ჯიბლაძე და სხვები მოითხოვდნენ მარქს-ენგელსის მეცნიერულ თეორიაზე დაფუძნებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნას. ერთი სიტყვით, პირველი სხდომიდანვე ნათელი გახდა, რომ ამ ორგანიზაციის შემადგენლობა ერთგვაროვანი არ იყო.

²⁵ ო. ბაკურაძე, საქართველოში მარქსისტული ფილოსოფიის გავრცელების ისტორიიდან, თბილისი, 1959, გვ. 44.

²⁶ პოლონეთიდან გამოგზავნილ წერილში, რომელიც სხდომის დაწყებამდე იქნა წაკითხული.

„მესამე დასის“ მეორე სსდომა მოეწყო 1893 წლის განათვლელზე, ქ. თბილისში მ. ცხაკაიას ბინაზე. კრებამ ხელახლა განიხილა ნ. ყორღანიას პროექტი. რომელიც მან (შესწორებული სახით) წარმოადგინა. „მესამე დასის“ მემარცხენე ფრთამ არც ეს პროექტი მოიწონა და სასტიკად გააკრიტიკა (თუმცა ამ პროექტის დაბეჭდვის წინააღმდეგ არ წასულან). „მესამე დასის“ შიგნით უთანხმოება კიდევ უფრო გაღრმავდა.

მათი სახალხო გამოსვლა 1894 წლის 12 მაისს მოხდა ე. ნინოშვილის დასაფლავებაზე. „მესამე დასელები“ საპროგრამო სიტყვებით გამოვიდნენ. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ს. ჯიბლაძის სიტყვამ ს. ჯიბლაძემ თავის გამოსვლაში განსაკუთრებით ხაზი გაუსვა კაპიტალიზმის განვითარების ფაქტს. რის აღიარებასაც მან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ნაროდნიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. არამედ არსებული სოციალ-ეკონომიური სიტუაციის სწორ პოლიტიკურ შეფასების საქმეშიც. ს. ჯიბლაძე ამბობდა. მართალია. რუსეთთან შედარებით. კაპიტალიზმი ჩვენში „...ახალ დაბადებულაია. ბავშვია. მაგრამ სამაგიეროდ ეს ბავშვი საუცხოო ოვსებისაა -- შესანიშნავი სისწრაფით იცის ზრდა“²⁷. კაპიტალიზმის განვითარების საფუძველზე. — განაგრძობდა ს. ჯიბლაძე. — ჩვენმა საზოგადოებამ უკვე მოასწრო დაყოფა, ერთი მხრივ, ქალაქისა და სოფლის ბურჟუა-კაპიტალისტებად, ხოლო. მეორე მხრივ. სოფლისა და ქალაქის არაფრის მქონე ბოგანო-ღარიბებად. „ამ უკუღმართობის დასამარცხებლად არის, ერთი მეცნიერის (კ. მარქსს გულისხმობს — ფ. ნ.) სიტყვებით რომ ვთქვათ. ორსულად ახლანდელი ეპოთა-ვითარება. ამ მშობიარობის დასაჩქარებლად და გასაადვილებლად იღწვიან და უნდა იღწვოდნენ კიდევ საუკეთესო წარმომადგენლები ახალი თაობისა“²⁸.

ს. ჯიბლაძის გამოსვლამ ე. ნინოშვილის დასაფლავებაზე. რომელსაც ათასობით სხვადასხვა წრის ადამიანი ესწრებოდა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; ამასთან ერთად მისმა სიტყვამ შემდეგმთავს გარკვეული როლი შეასრულა საქართველოში მარქსიზმის დაცვისა და გავრცელების საქმეში, მაგრამ „მესამე დასის“ ბევრი სხვა წევრის მსგავსად, ს. ჯიბლაძე შემდეგ მენშევიკ-ლიკვიდატორთა ბანაკში გადავიდა.

²⁷ „კვალი“, 1894, № 22.

²⁸ იქვე.

1893 წელს თბილისში გაფორმდა თ. აფანასიევის რუს მარქსისტთა ჯგუფი²⁹. თ. აფანასიევის ჯგუფის ინიციატივით თბილისში შეიქმნა რამდენიმე მარქსისტული წრე. ამ წრეების შექმნაში თ. აფანასიევის გარდა დიდი ღვაწლი მიუძღვის რევოლუციური მოღვაწეობის გამო მეფის მთავრობის მიერ რუსეთიდან საქართველოში გადმოსახლებულ გ. ფრანჩესკის, ს. რენიგერს, ი. ლუზინს და სხვებს. უნდა აღინიშნოს, რომ რუს მარქსისტთა ჯგუფის წევრებს, რომელთაც რევოლუციური მოღვაწეობის საკმაო გამოცდილება ჰქონდათ ერთგვარი სწორი გეზი შეჰქონდათ საქართველოს მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაერთიანებისა და გათვითცნობიერების საქმეში. მაგრამ ისევე, როგორც „მესამე დასის“ მუშაობა, რუს მარქსისტთა ჯგუფის საქმიანობაც პირველ ხანებში წრიულ მუშაობას არ გასცილებია.

საქართველოს ამ პირველ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებსა და მათ მიერ შექმნილ მარქსისტულ წრეებში ცხარე კამათი მიმდინარეობდა როგორც თეორიულ, ისე პოლიტიკურ საკითხებზე. სწავლობდნენ მარქსიზმს, ებრძოდნენ და უარყოფდნენ ნაროდნიკულ იდეებს, მაგრამ ყველაზე მთავარი—მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთება—მაინც გასაკეთებელი რჩებოდათ. რუსეთის რევოლუციური მუშათა კლასი კი, რომლის განუყრელ ნაწილსაც ამიერკავკასიის და, მასმასადამე, საქართველოს მუშათა კლასი წარმოადგენდა, დღის წესრიგში სწორედ ამ საკითხს აყენებდა, რისთვისაც აუცილებელი იყო მტკიცე, ერთიანი პროგრამის მქონე მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნა. ასეთი იყო სოციალ-პოლიტიკური და ისტორიული ვითარება, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი, ბოლშევიზმის დამაარსებელი ვ. ი. ლენინი.

ვ. ი. ლენინი 90-იანი წლებიდან ჩამოყალიბებულ მარქსისტად გვევლინება. იგი ყველაზე უკეთესად ხედავს, რომ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად იზრდება და ვითარდება რუსეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობაც, რომ კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობანი თანდათან რუსეთში იყრიან თავს და საერთაშორისო რევოლუციის ცენტრი დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადმოდის.

ვ. ი. ლენინმა ხელი მოჰკიდა რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნას და 1895 წელს პეტერბურგის ყველა მარქსისტული წრე ერთ „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირად“ გააერთიანა.

²⁹ 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, სტატიების კრებული, თბილისი, 1955, გვ. 93.

ამერიკიდან რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში იწყება სრულიად ახალი ეტაპი — მარქსიზმის ვიწრო პროპაგანდი-დან ფართო სააგიტაციო მუშაობაზე გადასვლისა და მუშათა რევო-ლუციურ მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთებისა. რასაც შედე-გად მოჰყვა ის, რომ „თავდაპირველად ათობით და ასობით, შენდევ ათასობით და მილიონობით ადამიანს, კომუნიზმის იდეალებით აღფ-რთოვანებულს, იერიში მიჰქონდათ ძველ სამყაროზე“³⁰.

რუსეთის მუშათა რევოლუციური წრთობისათვის განსაკუთრე-ბული მნიშვნელობა ჰქონდა მე-19 ს. მიწურულს. 1895—1896 წლე-ბი. ვ. ი. ლენინის თქმით, რუსეთის მუშათა მოძრაობაში იყო უდი-დესი გაფიცვების წლები, რომელმაც რუსეთის მუშათა კლასს შე-ვანებინა თავისი პოლიტიკური მდგომარეობა და თავისი პოლიტი-კური საჭიროებანი³¹.

თითქმის ასეთავე ხასიათისა იყო 1898—1900 წლები საქართვე-ლოს მუშათა ბრძოლის ისტორიაში. ამ წლებში მოხდა საქართველოს მუშათა უდიდესი გამოსვლები. 1898 წელს ამიერკავკასიის მთავარი სახელოსნოების გაფიცულ მუშათა რიცხვი ორი ათას კაცს აღემატე-ბოდა. 1899 წელს გაფიცვები მოედო თამბაქოს ფაბრიკის, ტყავის ქარხნის, სტამბებისა და მთელ რიგ სხვა საწარმოთა მუშებს. უანსა-კუთრებული ხასიათი მიიღო 1900 წლის რკინიგზელთა აკვისტოს ვა-ფიცევამ, რომელშიც 4 000-ზე მეტი მუშა მონაწილეობდა.

მუშათა ამ რევოლუციურმა გამოსვლებმა, რომელიც ადრევე ისახებოდა ჩვენში, ერთიორად დააჩქარა თბილისის მარქსისტული წრეებისა და ორგანიზაციების გაერთიანების საქმე. 1897 წელს, მუშათა მომავალი ბრძოლის სწორი ხელმძღვანელობის მიზნით. შეიქმნა სოციალ-დემოკრატ მუშათა თბილისის კომიტეტი. 1898 წელს თბილისის კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ „მესამე და-სის“ მემარცხენე ფრთის წარმომადგენლები და ამის შემდეგ მუშა-თა ყველა გამოსვლას თბილისის კომიტეტი ხელმძღვანელობდა.

საქართველოს მუშათა მარქსისტული წრეებისა და ორგანიზაცი-ების გაერთიანებაში უდიდესი ღვაწლი გაუძღვის ვ. ი. ლენინს და მის მიერ შექმნილ „ბრძოლის კავშირს“. საქართველოს სოციალ-დე-მოკრატიული ორგანიზაციები ყოველთვის სარგებლობდნენ მათი უშუალო მითითებითა და დახმარებით. ამიტომ იყო, რომ საქართვე-ლოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, თბილისის კომიტეტი, რომელიც თავიდანვე ლენინური ორგანიზაციული პრინციპის მიხედ-

³⁰ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, გვ. 3.

³¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 142.

ვით შენდებოდა, თავის თავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის განუყრელ ნაწილად თვლიდა.

სწორედ ასეთ ვითარებაში, როცა საერთაშორისო რევოლუციის ცენტრი დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადმოდიოდა, როცა რუსეთის მუშათა კლასს პირდაპირი იერიში მიჰქონდა ძველ სამყაროზე. რუსეთის რამდენიმე „ბრძოლის კავშირმა“ (რომელიც პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ ეწოდებოდა) 1898 წლის მარტში ერთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად სცადეს გაერთიანება.

რსდმპ პირველ ყრილობაზე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციიდან დელეგატი არ გაგზავნილა.

ყრილობამ გამოაცხადა რსდმპ შექმნა, რასაც დიდი რევოლუციურ-პროპაგანდისტული მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ამით ნამდვილი მარქსისტული პარტია არ შექმნილა, რადგან ყრილობამ ვერ შეძლო ცალკეული მარქსისტული წრეებისა და ორგანიზაციების გაერთიანება, პარტიის პროგრამისა და წესდების მიღება. ყრილობის შემდეგ გამოქვეყნებულ „მანიფესტში“ ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო არადაამაკმაყოფილებელი; მასში გვერდი ჰქონდა ავლილი პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის ამოცანას, პროლეტარიატის და გლეხობის კავშირს და ამ კავშირში პროლეტარიატის ჰეგემონიის საკითხს. ყოველივე ამას დაემატა პირველი ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის დაპატიმრება. რამაც, საბოლოოდ, პარტიის შივნით იდეური დაბნეულობა გაძოვიწვია და ხელი შეუწყო ოპორტუნისტული მიმდინარეობის—„ეკონომიზმის“ გაძლიერებას მუშათა მოძრაობაში³².

მუშათა რევოლუციური პარტიის შექმნა კი თანდათან აუცილებელი ხდებოდა. ამას აჩქარებდა იმპერიალიზმის ეპოქაში შესული რუსეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ის აღმავლობა, რომელიც მსოფლიო ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით ერთიორად გაიზარდა. მაგ. მარტო 1900—1903 წლების განმავლობაში 3000-მდე სამრეწველო საწარმო დაიხურა რუსეთში და 100 000-მდე მუშა უმუშევარი დარჩა. ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოშიც. მარტო ქიათურის მარგანეცის მუშათა რიცხვი 50%-ით შეამცირეს. ხოლო თბილისის გუბერნიის საწარმოებიდან ქუჩაში გარეკეს 3700 მუშა და ა. შ.

ყოველივე ამან კი მძლავრი ბიძგი მისცა მუშათა პოლიტიკურ გამოსვლებს. 1901 წელს დიდი გაფიცვა მოხდა პეტერბურგის ობლ-

³² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 13, გვ. 114.

ხოვ-ს სამხედრო ქარხანაში. რომელიც სისხლისმღვრელ შეტაკებად გადაიქცა. 1901 წლის 22 აპრალს თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით საპირველმასისო დემონსტრაცია მოეწყო თბილისში. ეს იყო თბილისის მუშათა პირველი მასობრივ-პოლიტიკური დემონსტრაცია ქუჩაში. რომელსაც 3 000-ზე მეტი მუშა ესწრებოდა. 1902 წელს მუშათა დიდი პოლიტიკური გამოსვლები მოხდა როსტოვსა და ბათუმში. 1903 წლიდან მუშათა რევოლუციური გამოსვლები მთელ რუსეთს მოედო, რასაც დასაბამი მისცა 1903 წლის 1 ივლისის ბაქოს მუშათა საყოველთაო გაფიცვამ.

ასეთ ისტორიულ ვითარებაში მუშათა რევოლუციური პარტიის შექმნის საქმეს ხელი მოჰკიდა ვ. ი. ლენინმა. მაგრამ ამ ამოცანის განხორციელება ადვილი როდი იყო მაშინ, როცა, ერთი მხრივ. „ეკონომისტები“ სრულიად უარყოფდნენ მუშათა პოლიტიკური პარტიის შექმნის აუცილებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, პარტიაშებატონებული იყო ორგანიზაციული „კუსტარულობა“. ამიერიდან ვ. ი. ლენინის ცხოვრებაში დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი. — ეტაპი „ეკონომისტთა“ იდეური განადგურებისა და მუშათა რევოლუციური პარტიის შექმნისა, რომლის განხორციელების ზოგადი გეგმა ჯერ კიდევ გადასახლებაშივე ჰქონდა შემუშავებული.

ვ. ი. ლენინის გეგმის მიხედვით პარტიის შექმნისათვის მუშაობა უნდა დაწყებულიყო საბრძოლო პოლიტიკური გაზეთის დაარსებით. მისი აზრით ასეთი გაზეთის საშუალებით უნდა მომხდარიყო გამიჯვნა ყოველგვარ ოპორტუნისტულ ელემენტებთან. რაც თავის მხრივ ცალკეული პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისა და გაერთიანების საფუძველს შექმნიდა³. დიდი სიძნელების გადალახვის შემდეგ ასეთი გაზეთის გამოშვება შეძლო ვ. ი. ლენინმა „ისკრის“ სახით. რომლის პირველი ნომერი 1900 წლის 24 დეკემბერს გამოვიდა.

გაზეთმა „ისკრამ“, მართლაც, შეასრულა თავისი მისია. „ისკრის“ ფურცლებზე და განსაკუთრებით ისეთ შრომაში, როგორცაა „რა ვაკეთოთ?“ ვ. ი. ლენინმა სამუდამოდ დაასამარა „ეკონომიზმი“, შეიმუშავა, დაიცვა და განამტკიცა პარტიის იდეურ-ორგანიზაციული საფუძვლები.

ლენინურ-ისკრულ პოზიციაზე დადგა თავიდანვე თბილისის მუშათა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი. ამხ. ა. წულუკიძის, ვ. კეცხოველის, პ. ჯაფარიძის, ფ. მახარაძის და ზოგიერთ სხვა გამოჩენილ რევოლუციონერთა მეშვეობით საქართველოში გაჩაღდა ბრძოლა ახა-

³ ვ. ი. ლენინი, ობზ., ტ. 5, გვ. 458.

ლი ტიპის პარტიის შესაქმნელად. ამ მიზნით თბილისის კომიტეტმა გადაწყვიტა საკუთარი არალეგალური გაზეთის გამოშვება. მიუსე-
დავად ნ. ჟორდანიას და მისი ოპორტუნისტული ფრთის დიდი წი-
ნაღმდევგობისა თბილისის კომიტეტმა 1901 წლის სექტემბერში
„ბრძოლის“ სახით, მაინც შესძლო ასეთი გაზეთის გამოცემა. „ბრძო-
ლის“ პირველი ნომერი საქვეყნოდ იტყობინებოდა, რომ: „...ქართუ-
ლი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოდგენს კერძო.
მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. ის ხე-
ლითელ გადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასა-
დამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“³⁴.

გაზ. „ბრძოლის“ გამოცემის შემდეგ თბილისის კომიტეტმა მუ-
შაობა გაშალა კონფერენციის მოსაწვევად. 1901 წლის ნოემბერში
მოწვეულ იქნა ასეთი კონფერენცია, რომელზედაც წარმოდგენილ
იქნა თბილისის თითქმის ყველა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზა-
ცია. კონფერენციამ აირჩია ლენინურ-ისკრული თბილისის კომი-
ტეტი.

1901 წლის დამლევს ასეთივე ლენინურ-ისკრული მიმართულე-
ბის კომიტეტები შეიქმნა ბათუმსა და ბაქოში, რის შემდეგაც ფართო
მუშაობა გაიშალა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანი-
ზაციების პირველი ყრილობის მოსაწვევად.

1903 წლის მარტში მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის სოციალ-დე-
მოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობა. იგი არალეგა-
ლურად მიმდინარეობდა მ. ცხაკაიასა და ა. წულუკიძის ხელმძღვანე-
ლობით თბილისში. ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგა-
ნიზაციათა პირველმა ყრილობამ შექმნა რსდმპ კავკასიის კავშირის
კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიაც სხვადასხვა დროს ს. შაუ-
მიანთან, პ. ჯაფარიძესთან, მ. ცხაკაიასთან, ა. წულუკიძესთან, ფ. მა-
ხარაძესთან და სხვებთან ერთად მ. დავითაშვილიც შედიოდა. კავკა-
სიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველმა ყრილო-
ბამ აირჩია დელეგატები რსდმპ II ყრილობაზე წარსავზავნად და
დაავალა ყრილობაზე დაეცვა და გაეტარებინა ისკრულ-ლენინური
ხაზი.

ლენინური „ისკრის“ ბრძოლის შედეგად სოციალ-დემოკრატები
გაემიჯნენ „ეკონომიზმს“. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა რსდმპ
II ყრილობის მოწვევა, რომელიც 1903 წლის 17/30 ივლისს გაიხსნა
საზღვარგარეთ. ამ ისტორიულ ყრილობაზე დასაბამი მიეცა ახალი
ტიპის პარტიის შექმნას. მაგრამ ყრილობაზე გამომქლავნდა სერიო-
ზული ორგანიზაციული უთანხმოებანი, რაც პარტიას ყოფდა ორ ნა-

³⁴ გაზ. „ბრძოლა“, 1901, № 1.

წილად — ლენინურ უმრავლესობად (ბოლშევიკებად) და ოპორტუნისტულ უმცირესობად (მენშევიკებად).

ასეთი იყო სოციალურ-პოლიტიკური და ისტორიული ვითარება. როცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ცნობილი ქართველი რევოლუციონერი და მოაზროვნე მ. დავითაშვილი.

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღიდანვე მ. დავითაშვილი მტკიცედ დგება ბოლშევიკური პარტიის მხარეზე. მტკიცედ იცავს ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას და უდიდეს რევოლუციურ მუშაობას. ეწევა, როგორც 1905—1907 წლების რევოლუციის მომზადებისა და ჩატარების საქმეში, ისე მარქსიზმის ყოველგვარი იდეოლოგიური მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მ. დავითაშვილის რევოლუციურმა მოღვაწეობამ სათანადო ასახვა პპოვა ჩვენს ისტორიოგრაფიაში²⁵. უდავოა, ამ ლიტერატურას ავტორებმა დიდი წვლილი შეიტანეს მ. დავითაშვილის სოციალ-პოლი-

²⁵ ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის“ ნარკვევების პირველი ტომი, რომელიც 1957 წელს გამოქვეყნდა ქართულ ენაზე ვ. ესაიაშვილის საერთო რედაქციით. 1957 წელს გამოქვეყნდა აგრეთვე „მიხეილ დავითაშვილის ბიოგრაფიული ნარკვევი“. რომლის ავტორია ა. გუკასიანი. ა. გუკასიანის წიგნში ფართოდ არის განხილული მ. დავითაშვილის რევოლუციურ მოღვაწეობის არე და სათანადოდ არის იგი შეფასებული. კიდევ უფრო ადრე, 1955 წელს, გამოქვეყნდა ი. ხუციშვილის წიგნი „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“, სადაც კარგადაა გაშუქებული მ. დავითაშვილის პრაქტიკულ-რევოლუციური მოღვაწეობა.

მიხეილ დავითაშვილის შეხედულებებმა და მისმა რევოლუციურმა მოღვაწეობამ თავისებური ასახვა პპოვა ვ. ესაიაშვილის წიგნში „ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები“, თბილისი, 1959 წელი; ლ. ებანოიძის წიგნში „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში“, თბილისი, 1959 წელი.

მიხეილ დავითაშვილის შეხედულებანი ასახულია მ. კილაბერიძის წიგნში „მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის დაცვისა და განვითარების შესახებ საქართველოში“, თბილისი, 1960 წელი და მის სტატიებში „ვ. ი. ლენინის იდეების დაცვის ისტორიიდან საქართველოში“, ჟურ. „მნათობი“, 1960, № 4; „Из истории борьбы за ленинские философские идеи в Грузии“, жур. „Вопросы философии“, 1960, № 4; „Из истории борьбы за ленинские философские идеи в Грузии“, Труды Тбилисского гос. пед. института им. А. С. Пушкина, т. 16, 1961. ლ. გორგილაძის წიგნებში „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“, თბილისი, 1961 წელი, „იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში“, თბილისი, 1963 წელი და სხვა მის შრომებში. დ. ბოლოს. 1961 წელს, ქ. მოსკოვში, რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ „ფილოსოფიის ისტორიის“ V ტომში და სხვა რამდენიმე საერთაშორისო და საგაზეთო მოკლე წერილებსა და რეცენზიებში.

ტიკური და ფილოსოფიური შეხედულებების სისტემატური წესით
გადმოცემის საქმეში. მაგრამ ეს უკანასკნელი არავის სპეციალური
მსჯელობის საგნად არ გაუხდია. დღემდე არ დაწერილა ერთიანი.
მონოგრაფიული ხასიათის ნარკვევი, რომელიც მ. დავითაშვილის
სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებების სრულ
სურათს მოგვცემდა. ამის გაკეთება კი აუცილებელია არა მარტო
ჩვენი ღირსეული წინაპრის, ცნობილი პროფესიონალ-რევოლუციო-
ნერისა და მოაზროვნის მ. დავითაშვილის შეხედულებათა შესწავლის
თვალსაზრისით, არამედ სკკპ ისტორიის შესწავლისა და ქართული
საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის შესწავლის თვალსაზ-
რისითაც.

ამ საკითხის შესწავლა-გადმოცემას ეძღვნება წინამდებარე შრო-
მა.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ა ლ ი

კაკიბალიზმის განვითარება 900-იანი წლების
საქართველოში და რევოლუციური მარქსიზმის დაცვა
მიხეილ დავითაშვილის მიერ

მიხეილ დავითაშვილის სამოღვაწეო ასპარეზი გამოცვლა
„კ ვ ა ლ ის“ კ ო რ ე ს კ ო ნ დ ე ნ ც ი ე ბ ი

ლენინური სკოლის პროფესიონალ-რევოლუციონერთა სახელო-
ვანი პლეადის წარმომადგენელი მიხეილ ნიკოლოზის-ძე დავითაშვი-
ლი დაიბადა 1877 წელს 5(17) მარტს გორის მაზრის სოფელ როკში¹.

1880 წლიდან მ. დავითაშვილის მამა, ნიკოლოზ ედიშერის-
ძე², სოფელ წრომში მღვდლად იწყებს მუშაობას. პატარა მიხეილმაც
ამ სოფელში გაატარა თავისი ბავშვობა.

1884 წელს შვიდი წლის მიხეილი მშობლებმა თბილისის სა-
სულიერო სასწავლებელში მიაბარეს. სასულიერო სასწავლებლის
უკანასკნელი კლასი მ. დავითაშვილმა გორში დაამთავრა და 1893
წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა.

სემინარიაში ამ დროს ბევრი მარქსისტული წრე არსებობდა. ამ
წრეების აქტიური მოღვაწეობის შედეგად 1893 წელს სემინარიის
მოსწავლეებმა საქართველოს ეგზარხოსს მოთხოვნა წარუდგინეს;
რევოლუციურად განწყობილი მოსწავლე-ახალგაზრდები მოითხოვდ-
ნენ სემინარიაში არსებული აუტანელი რეჟიმის გაუქმებას, ზოგიერ-
თი რეაქციონერი მოსწავლეების გადაყენებას, ქართული ენისა და
ლიტერატურის სწავლების შემოღებას და ა. შ.

სემინარიელთა გამოსვლებმა, რაც მუშათა რევოლუციური გა-
მოსვლების თავისებურ გამოძახილს წარმოადგენდა, დიდად შეაძრ-

¹ ბიოგრაფიული ცნობები აღებულია ა. გუკასიანის წიგნიდან — მ. და-
ვითაშვილი, ბიოგრაფიული ნარკვევი, თბილისი, 1957.

² მ. დავითაშვილს ამ მოტივით უნდა ჰქონდეს აღებული თავის ფსევდონი-
მად „ედიშეროვი“.

წუნა ხელისუფალნი; ამიტომ, მრავალი მოწაფის გარეცხვისა დ. ქალაქიდან გაძევების შემდეგ. სემინარია ერთი წლით დახურეს.

1894 წელს მ. დავითაშვილს კვლავ პირველ კლასში მოუხდა შესვლა. ამ ფაქტმა დიდი როლი შეასრულა მის ცხოვრებაში. სწავლის მაგიერ ახალგაზრდა მიხეილი ცხოვრების უსამართლობას ეტყობოდა და მაშინვე რევოლუციურ მუშაობაში ჩაება³.

1895 წელს მ. დავითაშვილი სემინარიაში არსებულ ფარულ მარქსისტულ წრეს დაუკავშირდა. ამ წრეში გაეცნო პირველად მარქსის, ენგელსის, პლენხანოვისა და ლენინის შრომებს.

სემინარიელთა მარქსისტულ წრეში ხშირად იმართებოდა კამათი საქართველოს მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჩანასახის „მესამე დასის“ შიგნით გაჩენილ ნ. ჟორდანიას რეფორმისტული იდეების წინააღმდეგ. „ამ კამათის დროს, — როგორც მ. დავითაშვილის ბიოგრაფი ა. გუკასიანი მოგვითხრობს: — მიხეილი რევოლუციურ მარქსიზმს იცავდა. იგი ჟორდანიასა და მისი მიმდევრების რევიზიონისტულ შეხედულებათა კრიტიკით გამოდიოდა“⁴.

სემინარიის ხელმძღვანელობამ მალე მ. დავითაშვილი არასამელო მოსწავლედ გამოაცხადა. „არასამელო მოსწავლეთათვის“ კი სემინარიის ისედაც მკაცრი რეჟიმი კიდევ უფრო აუტანელი გახდა. ამასთან ერთად მ. დავითაშვილი ხედავდა, რომ სემინარიას მისთვის ბევრი არაფრის მიცემა შეეძლო. ამიტომ 1899 წელს მ. დავითაშვილმა სწავლას თავი დაანება და მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. სულ მოკლე ხანში მ. დავითაშვილი საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი და ორგანიზატორი გახდა.

1903 წლის დამლევს მ. დავითაშვილი საზღვარგარეთ მიემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად და ლაიპციგის უნივერსიტეტში შედის. მ. დავითაშვილი სწავლას აგრძელებს იმ დევიზით. რომ „...მოვემზადებით და მუშებს უფრო გამოვადგებთო“... მაგრამ იგი მარტო სწავლით როდი შემოიფარგლა; ჩასვლისთანავე მ. დავითაშვილი დაუკავშირდა რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული

³ საქართველოს კომუნისტური პარტიის ნარკვევები, ნაწ. 1, თბილისი, 1957, გვ. 57.

⁴ ა. გუკასიანი, მ. დავითაშვილი, ბიოგრაფიული ნარკვევი, გვ. 8.

⁵ დ. სულიაშვილი, თხზ. ტ. 1, თბილისი, 1962, გვ. 261.

პარტიის ლაიპციკის ჯგუფს და აქტიური მონაწილეობა მიიღო მის 'საქმიანობაში'.

ლაიპციკის ბოლშევიკური ჯგუფის წევრს მ. დავითაშვილს. წერს პროფ. ვ. ესაიაშვილი. — „...მიმოწერა ჰქონდა ლენინთან და იგი ითვლებოდა „ისკრის“ აქტიურ აგენტად, ...ლაიპციკის ერთ-ერთ გარეუბანში. სადაც გაზეთი „ისკრა“ იბეჭდებოდა ახლა მოწყობილია გამრფენა, — ...ექსპოზიციაში გამოფენილია მ. დავითაშვილის პორტრეტი სათანადო ტექსტით. ჩვენ შემთხვევა გვქონდა 1958 წელს გვენახა ეს სტამბა და მოგვესმინა სტამბა-მუზეუმის თანამშრომლის საუბარი „ისკრის“ ბეჭდვის, გავრცელებისა და ამ საქმეში მ. დავითაშვილის მოღვაწეობის შესახებ“⁶.

მ. დავითაშვილი ერთ-ერთი პირველი ქართველი რევოლუციონერთაგანი იყო, რომელიც ვ. ი. ლენინს დაუკავშირდა და ჩქარა პირადად გაეცნო მას⁷. ვ. ი. ლენინთან ურთიერთობამ დიდი როლი შეასრულა მ. დავითაშვილის როგორც პრაქტიკულ-პოლიტიკურ, ისე თეორიულ საქმიანობაში. ამ ურთიერთობის სიმბოლურ გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს გ. ქიქოძის შემდეგი სიტყვები: „მ. დავითაშვილი მზად იყო ქრილობები მიეღო მარქსისა და ლენინის მოძღვრების დაცვაში“⁸.

1905 წლის რევოლუციის დაწყებისთანავე მ. დავითაშვილი საზღვარგარეთიდან სამშობლოში დაბრუნდა. ამ ამბების უშუალო მონაწილის დ. სულიაშვილის მოწმობით მ. დავითაშვილი პირველი გამომგზავრებულა საზღვარგარეთიდან, ერთი კვირის შემდეგ ჩამოსულა თბილისში და ქენევიდან მიღებული მისამართით კონსპირაციულ ბინაზე მისა ცხაკაია უნახავს. მეორე დღესვე მ. დავითაშვილი ამიერკავკასიის კავშირის ბიუროს სხდომაზე მიუწვევიათ და ამ სხდომაზე მოხსენება გაუკეთებია⁹.

რევოლუციის პირველივე დღიდან მ. დავითაშვილი ბოლშევიკური პარტიის დავალებას ასრულებს თითქმის ყველა უბანზე. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ 1905 წლის რევოლუციის დროს იგი იყო: „...აკტივატორი, პროპაგანდისტი, ორგანიზატორი, ტექნიკოსი და სა-

⁶ დ. ს. უ. ლ. ი. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. თხზ., ტ. I, თბილისი, 1962, გვ. 261, 340.

⁷ ვ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, თბილისი, 1959, გვ. 60.

⁸ იქვე, გვ. 52.

⁹ გ. ქიქოძე, მოგონებები, თბილისი, 1956, გვ. 109.

¹⁰ დ. ს. უ. ლ. ი. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. თხზ., ტ. I, თბილისი, 1962, გვ. 262.

დაც რა დასჯირდებოდა“¹¹. ერთი სიტყვით, მ. დავითაშვილი იყო რევოლუციის ჯარისკაცი, რომელიც ყოველთვის იგზავნებოდა იქ. სადაც რაიმე ანტი-ბოლშევიკური გამოსდომები და გამოსვლები იქნებოდა. სადაც რაიმე სიძნელე წარმოიშვებოდა¹². პარტიამ და მისმა თანამებრძოლებმა იცოდნენ, რომ ეს მტკიცე და გაკეებული ბოლშევიკი არავითარ შემთხვევაში არ დაინდობდა მოწინააღმდეგეს! რასაც უდავოდ ადასტურებს მისი ნაწერები.



ჯერ კიდევ ადრე. „კვალის“ კორესპონდენციებში მ. დავითაშვილი ცხოვრების ღრმა გაგების განსაცვიფრებელ უნარს იჩენს. იგი ნათლად ერკვევა საზოგადოებრივ მოვლენათა განვითარების ტენდენციებში, ცხოვრების ფეოდალური წესის დაშლა-დაქვეითებისა და კაპიტალიზმის განვითარების აუცილებელ პროცესში. ამ მხრივ მ. დავითაშვილს არავითარი ნაროდნიკული გავლენა არ განუცდია. იგი თავიდანვე მტკიცედ შედგა მარქსიზმის პოზიციებზე. ამის უდავო მაჩვენებელია მისი პირველივე კორესპონდენცია, სადაც ის სრულიად გარკვევით წერს: „ჩვენა სოფელი მიდის წინ დინჯად, აუჩქარებლად. მაგრამ უტყუარი ნაბიჯით კი“¹³.

1861 წლის საგლებო რეფორმის შემდეგ ცხოვრება, მართლაც, „უტყუარი ნაბიჯით“ მიდიოდა წინ. კაპიტალიზმი იჭრებოდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. რუსეთის და მის იმპერიაში შემავალი საქართველო ფეოდალური ბორკილებისაგან განთავისუფლების მტკიცე ნაბიჯებს გადადიოდა. მ. დავითაშვილიც სწორედ ამ უკანასკნელში ხედავდა არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების „დინჯი და აუჩქარებელი“¹⁴ განვითარების მიზეზს და ამიტომ თავის პირველსავე კორესპონდენციაში ამ ფაქტზე მიუთითებდა: სოფელ წრომში „მევენახეობას ჯერ არ. მოუკიდია ფეხი. ეს იმით აიხსნება, რომ მიწა აქ-

¹¹ სკკ მარქსიზმ-ლენინიზმის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რგ. 2, ფურც. 60.

¹² ი. ხუციშვილი, 1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში, თბილისი, 1955, გვ. 115, 117, 209, 224, 230, 432.

¹³ დ. სულიაშვილი, წარსულიდან, თბილისი, 1948, გვ. 17.

¹⁴ გაზ. „კვალი“, 1899, № 43.

¹⁵ იქვე.

ნობამდე სულ საბატონო იყო და საბატონოზე ვენახის გაშენება „...
სისათვის უსარგებლოა“¹⁶.

ამ პატარა კორესპონდენციაში სრულიად მართებულად აღწერს მ. დავითაშვილი კაპიტალიზმის განვითარების პირველსავე შედეგებს და სწორ ინტერპრეტაციას აძლევს მათ. სოფელი ის აღარ არის. რაც იყო. სოფლის მცხოვრებნი დღემდე არაარსებულ ჯგუფებად დაიყო. გლეხების ერთი ნაწილი თავის ყაირათიანი საქმიანობით შეძლებული და მიწის მფლობელი გახდა. სოფლის ერთი ჯგუფი თანდათან წინ მიდის ამ მხრივ. მიწის დასაკუთრება ყველა გლეხისათვის „...ერთი სატრფიალო რამეა; მაგრამ ბევრისათვის ეს აუსრულებელი ოცნებაა“¹⁷.

„მიწათმოქმედება ერთადერთი წყარო არ არის მოგება-გამდობებისა“¹⁸. გლეხობის უმრავლესობა სხვადასხვა საქმიანობას მისდევს, ერთი ნაწილი ქირაზე დადის, მეორე-გამწევ ძალასა და იარაღებს აქირავებს. მესამე — ტყის დამუშავებას იწყებს და ყველა ამით არცთუ ისე ცუდი შემოსავალი აქვთ; მაგრამ ამ საშუალებითაც ყველა ვერ სარგებლობს; ამის მიზეზი კი ის არის, რომ „უღელი კამეჩი ნახევარს არ ჰყავს“. ხოლო ის, ვინც ვერც ერთი ამ საშუალებით ვერ სარგებლობს. ცხადია, ყველაზე გასაწყლებული და გაპარტახებული გლეხია. ამიტომ ეს უკანასკნელი იძულებულნი არიან ერთი ფეხით თავის გამოუსყიდველ მიწაზე იდგნენ, ხოლო მეორეთი — ქალაქად გაიქცნენ. ანდა სოფლის კულაკს ექირაონ. ერთი სიტყვით, დაასკვნის მ. დავითაშვილი: გლეხურ სარეწში, მისი სიმკირისა და უმნიშვნელობის მიუხედავად. ყველგან დაქირავებული შრომა იკიდებს ფეხს¹⁹.

სოფლის მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა, წერს იმავე კორესპონდენციაში მ. დავითაშვილი, მევენახეობა გაიხსნა „მოგების მუდმივ წყაროდ“. მათი ძირითადი საქმიანობა შემოიფარგლება იმით, რომ „ბატონისაგან იკირავებენ მამულს ათი-თხუთმეტი წლით. ვაღამდე თავნებე ორჯერ მეტს ამოიღებენ და ვადის მოახლოებაზე ცოტა დაკლებული ფასით მიჰყიდნიან ან თვით პატრონს ან სხვა ვინმეს“²⁰.

მიხეილ დავითაშვილის ეს სიტყვები არა მარტო სავენახეო კაპიტალის თავისებურებებს გვიხასიათებს, არამედ იმასაც გვატყობინებს. რომ უსაქმურობას მიჩვეული თავადაზნაურობა ხშირად საკუ-

16 გაზ. „კვალი“, 1899, № 43.

17 იქვე.

18 იქვე.

19 იქვე.

20 იქვე.

თარი მიწების გამოსყიდვას ველარ ახერხებს და მევახშე მათ მიწებს. „სხვა ვინმეზე“ ჰყიდის, რის შედეგადაც სათავადაზნაურო მიწებზე ახალი, ბურჟუაზიული კლასის ხელში გადადის. მაგრამ სავაზმო კაპიტალის მოქმედება მარტო თავადაზნაურთა კლასის წინააღმდეგ როდი იყო მიმართული, იგი ასევე დაუნდობლად მოქმედებდა გლეხობის მიმართ. ამ გარემოებას კარგად ხედავდა მ. დავითაშვილი დ. ამიტომ თავისი პირველი კორესპონდენციის დასასრულს სრულიად ნათლად წერდა: „მევახშეები თავის ძმას, ღარიბ გლეხებსაც არ აყრიან ხეირსო“²¹.

ერთი წლის შემდეგ, 1900 წელს იმავე გაზეთ „კვალში“ მ. დავითაშვილი ათავსებს მეორე კორესპონდენციას. ამ პატარა წერილში მ. დავითაშვილი კიდევ უფრო ხაზგასმით აჩვენებდა იმ კლასობრივ ძვრებსა და სამეურნეო ანტაგონიზმს, რაც კაპიტალიზმის განვითარებაში სოფლის მეურნეობაში გამოიწვია; მ. დავითაშვილი იუწყებოდა: რომ „მამულის ყიდვის სურვილი თანდათან მატულობს, ამით სარგებლობს კეთილშობილთა წოდება. ხშირად ერთ მამულს რამდენიმე მყიდველი ჰყავს და ფასი ერთი სამად იწევს. ხშირად მებატონე ასახელებს გასაყიდად ისეთ მამულს, რომელზედაც უკვე დასახლებულია ბოგანო, რომლისაც, როგორც არა ხიზნის აყრა აღვილია. მაშინ საწყალ გლეხს მეტი ჯანი არა აქვს: — ან უნდა აიყაროს, რაც ნიშნავს მის დიდ ზარალს, ან არა და რაც უნდა ღარიბი იყოს იყიდოს მამული იმ ფასათ, რა ფასსაც მებატონე დაადებს; გალატაკდეს. დავალიანდეს, ეს განა აყრის აცილებსა?...“²²

მიხეილ დავითაშვილის პირველი წერილები თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია იმ სულისკვეთებით, რომ წარმოების ფეოდალურ-წესის დაშლა-დაქვეითებისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესთან დაკავშირებით კლასთა ბრძოლა კი არ ქრება. არამედ პირიქით, მწვავედება. „შარშან,—წერდა ის,—„კვალში“ მოხსენებულ გვექონდა, რომ ათმა წრომელმა გლეხის ოჯახმა შეისყიდა ადგილობრივი მემამულესაგან²³ 127 დღიური მამული. ამ მამულში სხვათა შორის ორმოც დღიურამდის ჩირგვნარია, რომელსაც „კუდატყვის“ ეძახიან. ძველი პატრონისათვის ის ყოველად გამოუსადეგარი იყო და წრომელები მუქთა საბალახეთ ხმარობდნენ. არც ელოდა სოფელი თუ ვინმე „კუდატყის“ მუქთა სარგებლობიდან ხელს ააღებო-

²¹ გაზ. „კვალი“. 1899, № 43.

²² გაზ. „კვალი“, 1900, № 28.

²³ ასეთ მემამულედ მ. დავითაშვილი ასახელებს იმ დ. ციციშვილს, რომელიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სამედიკატო სასამართლოში იწვევდა მას.

ნებდა. ახალმა მესაკუთრებმა არ იყაბულეს ეს. გადაწყვიტეს „კუ-
დატყის“ ტყედ ქცევა და აღარავინ შეუშვეს. ამან მთლად ააშფოთა
წრომელები, უფრო ღარიბი გლეხობა²⁴. ერთი სიტყვით. განაგრ-
ძობს მ. დავითაშვილი. გუშინდელი ყაირათიანი გლეხი, რომელიც
დღეს სოფლის ბურჟუა-კულაკად მოგვევლინა, გლეხის მიმართ ძველ
ბატონზე კიდევ უფრო სასტიკი და უღმობელი გამოდგა; ამიტომ გა-
დატაკებული გლეხები უფრო და უფრო ხშირად ეუბნებიან თა-
ვის გამდიდრებულ ძმებს — ისევ ბატონმა გვაქამოს ის გვირჩვენია.
ვიდრე თქვენო“²⁵. თავადაზნაურობა კი თავის მხრივ შემდეგს უმა-
ტებს: ხედავთ, „...როგორც კი გლეხმა ჩაიგდო ხელში (მიწა—ფ. ნ.)
რა საზიზღრობას ჩადისო“²⁶. უფრო მეტიც, განაგრძობს მ. დავითა-
შვილი, ძველი ბატონის „...მოგონებაში კიდევ ცოცხლობს ის დრო.
როცა ის გლეხს მეძებრებზე ჰყიდდა, უღელში აბამდა,.... ამიტომ ახ-
ლანდელ მის განთავისუფლებას ზიზღითა და სიძულვილით უყუ-
რებს“²⁷.

მამსადაამე, ყველა ზემოთ ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ.
რომ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღიდანვე მ. და-
ვითაშვილისათვის სრულიად ნათელი იყო: ა) არა მარტო დრომოკმე-
ლი წარმოების ფეოდალური წესის დაშლა-დაქვეითება. არამედ კაპი-
ტალისტური წარმოების წესის განვითარების ის დამაბრკოლებე-
ლი მიზეზიც, რომელიც მეფის ხელისუფლებისა და მისი დასაყრ-
დენი თავადაზნაურობის სახით კაპიტალიზმის განვითარებას აფერ-
სებდა. ბ) მ. დავითაშვილისათვის ნათელი იყო აგრეთვე²⁸ ისიც, რომ
კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ქონებრივი ძალა თანდათანო-
ბით გადადიოდა „...ერთი ჯგუფის ხელში, როგორც მებატონისაგან
ისე დანარჩენი გლეხებისაგან“²⁸. გ) ამასთან ერთად მ. დავითაშვი-
ლისათვის სრულიად ნათელი იყო, რომ კაპიტალიზმის განვითარე-
ბის პროცესთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებს ანტაგონისტურად
დაპირისპირებული კლასები „საერთო მოქმედების ნიადაგისაკენ“
კი არ მიჰყავდა, როგორც ამას სოციალ-ფედერალისტები და ბურჟუ-
აზიული ნაციონალისტები ქადაგებდნენ, არამედ პირიქით—კლასთა
ბრძოლის გაღრმავებისა და გამწვავებისაკენ. და ბოლოს. დ) უნდა

²⁴ გაზ. „კვალი“, 1900, № 28.

²⁵ იქვე.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე.

²⁸ გაზ. „კვალი“, 1899, № 43.

აღინიშნოს. რომ. მართალია, გლეხთა იდეოლოგიების ხალხოსნების წინააღმდეგ მ. დავითაშვილს პირდაპირი ბრძოლა არ უწარმოებია, მაგრამ მის ნააზრევში ხალხოსნური იდეების უარყოფა ყველგან გამოსჭვივის. ეს უკანასკნელი უნდა აიხსნას იმით, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართველი ხალხოსნები, კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, თანდათან ლიბერალური ბურჟუაზიის პოზიციებზე დაეშენენ და ბურჟუაზიულ თეორიებთან შეხამების გზით, საბოლოოდ დაკარგეს თავიანთი პოლიტიკური სახე.

ახალგაზრდა რევოლუციონერის. მ. დავითაშვილის ამოსავალა გზის სისწორე, ცხოვრების რეალურ პირობებთან ერთად, განპირობებული იყო მარქსიზმის კლასიკოსთა შრომების და კერძოდ. ვ. ი. ლენინის შრომების გაცნობით. ვ. ი. ლენინის შრომები კი. როგორც ცნობილია, დროულად აღწევდნენ საქართველოში. მაგალითად, ვ. ი. ლენინის ვენიალური შრომის „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, გამოსვლა 1899 წელსვე გვამცნო „კვალმა“ თავის 30-ე ნომერში. ხოლო, რაც შეეხება ვ. ი. ლენინის ისეთ ადრინდელ შრომებს, როგორიც არის: „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ მომბენ ისინი სოციალ დემოკრატების წინააღმდეგ“, „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“ უკვე კარგახნის წინათ იცნობდნენ ქართველი მკითხველები.

მიხეილ დავითაშვილის ახლად გამოვლენილი ნაწარმოებების შესახებ

გარდა ზემოხსენებული „კვალის“ კორესპონდენციებისა მ. დავითაშვილის არც ერთი სხვა ნაწარმოები, მისი ნამდვილი სახელით და გვარით გამოქვეყნებული, დღემდე ცნობილი არ არის. ჩვენი აზრით, აქ ორ შესაძლო გარემოებასთან გვაქვს საქმე: 1) ან კონსპირაციის მიზნით მ. დავითაშვილს თავისი სახელით და გვარით, სხვა არაფერი გამოუქვეყნებია, რაც სრულიად ბუნებრივია მეფის რუსეთის უკიდურესად რეაქციულ პირობებში მოქმედი რევოლუციონერისათვის 2) ანდა, თუ მ. დავითაშვილის ასეთი ნაწარმოებები არსებობს, მაშინ ისინი ჯერ მიგნებული არაა.

ყოველივე ამის მიუხედავად, მ. დავითაშვილი ითვლება რამდენიმე სხვადასხვა ფსევდონიმით გამოქვეყნებული და სრულიად ხელმოუწერელი წიგნის და ვრცელი სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიური ხასიათის სტატიების ავტორად. მაგალითად, მკვლევართა უმრავლესობის აზრით მ. დავითაშვილი ითვლება ვაზ. „ახალ ცხოვრებაში“ და ვაზ. „დროში“—„ჩანბეზარი“-ს, „ჯ. ბ“-ს. „მიშა“-ს და

„მ-ხო“-ს ფსევდონიმებით გამოქვეყნებული სტატიების -- „რევოლუცია და სათათბირო“, „უსაქმოდ დარჩენილები“, „უმუშევრობა და რევოლუცია“, „რკოს რა ისხამს?“ „სადაა შეთქმულება“, „პარტიის ცხოვრება“ და სხვა ნაწარმოებთა უდავო ავტორად²⁹. ამასთან ერთად, მ. დავითაშვილი აღიარებულია გაზეთ „დროში“ ხელმოუწერლად გამოქვეყნებული იმ სტატიების ავტორად, რომელთა საერთო სათაურია „მოლოაულ გაზეთ“³⁰. გარდა ამისა ცნობილია მ. დავითაშვილის ნაყოფიერი მუშაობა თარგმანებზე. მაგალითად, 1905 წელს მ. დავითაშვილმა „მ. ლორეშელის“ ფსევდონიმით გერმანულიდან თარგმანა და გამოსცა კ. კაუცკის „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“, 1906 წელს—გ. ვ. პლენანოვის „პატრიოტიზმი და სოციალიზმი“. ეს უკანასკნელი ქართულ ენაზე ორჯერ გამოიცა, პირველად -- მ. ლორეშელის ფსევდონიმით (თბილისი, 1906, გვ. 16), ხოლო მეორედ -- „მიშა დავიდოვის“ ფსევდონიმით (თბილისი, 1917, გვ. 16).

ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებებს დღეს უკვე მრავალი სხვაც შეემატა. ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება 1906 წელს „შენი ძმა მიხა“-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებული სოციალ-პოლიტიკური³¹ ხასიათის ტრაქტატი, რომლის მ. დავითაშვილის ნაწარმოებად აღიარების ჰიპოთეზა და ნაწილობრივ ამ ჰიპოთეზის დასაბუთების გზების ჩვენება ა. აბრამიშვილს ეკუთვნის³². მაგრამ აღნიშნული ჰიპოთეზა დღემდე ჰიპოთეზად დარჩა, რის დასაბუთებასაც ჩვენ აქ შევეცდებით.

ის, ვინც მ. დავითაშვილის სოციალ-პოლიტიკურ და ფილოსოფიურ ნაწერებს იცნობს, აუცილებლად შეამჩნევს წიგნის—„წერილები ძმასთან“ — სტილისტურ და შინაარსობრივ ნათესაობას მ. დავითაშვილის სხვა ნაწერებთან. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ბევრს არაფერს

²⁹ იხ. ა. გუკასიანი, მიხეილ დავითაშვილი, ბიოგრაფიული ნარკვევი, 1957, გვ. 34, 40; მ. კილაბერიძე, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის დაცვისა და განვითარების შესახებ საქართველოში, თბილისი, 1960, გვ. 17, სქოლიო: ა. აბრამიშვილი, რევოლუციის რაინდი, გაზ. „კომუნისტი“, 1961, 12 ივლისი, № 156.

³⁰ იხ. იქვე. და აგრეთვე ლ. ებანოძე, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში, თბილისი, 1959, გვ. 408.

³¹ და არა ბიოგრაფიული, როგორც ამას ზემოთ დასახელებულ წერილში ა. აბრამიშვილი ფიქრობს. ამ წიგნის „ავტობიოგრაფიული ხასიათი“ მხოლოდ გადმოცემის დიდაქტიური ფორმაა.

³² იხ. ა. აბრამიშვილის იგივე წერილი.

ნიშნავს. რადგან ამ წიგნის მ. დავითაშვილისადმი მიკუთვნების საქმე-ში მთავარი მარტრის კი არ არის, თუ რა აქვს საერთო და იგივეობრივი ამ წიგნს მ. დავითაშვილის სხვა ნაწერებთან, არამედ მთავარია ისიც — ვიპოვოთ ისეთი სპეციფიკური ნიშანი, რომლის საფუძველზედაც ამ წიგნის ავტორს გამოვყოფთ ყველა სხვა შესაძლებელი ავტორისაგან.

ამ მიზნით, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს წიგნის დაწერის თარიღის სისწორე. თარიღის დადგენა საძიებელ ავტორს დროში შემოფარგლავს და რაც შეიძლება მიგვაახლოვებს მასთან.

წიგნის დაწერის უგვიანეს თარიღად წიგნის ყდაზე აღნიშნული 1906 წელი უნდა ჩაითვალოს, რადგან წიგნში, უფრო მოგვიანო, 1906 წლის შემდეგ მომხდარ არც ერთ ისტორიულ ფაქტს არ ვხვდებით.

წიგნის დაწერის ადრინდელ თარიღსაც თვით წიგნში ვპოულობთ. ჯერ ერთი, ამავე წიგნის 45-ე გვერდზე 1904 წლის რუსეთ-იაპონიის ომი მოხსენებულია, როგორც წარსული ამბავი³³, რაც იმის უდავო მაჩვენებელია, რომ წიგნი არაერთაზრ შემთხვევაში 1905 წელზე ადრე არ არის დაწერილი. მეორე, იმავე 45-ე გვერდზე, მოკლე ისტორიული მიმოხილვის შემდეგ, 1905 წლის რევოლუციაზე ავტორი დასძენს: „ხალხმა მართლაც აღასრულა თავისი მოვალეობა, მან წელიწადზე მეტია, რაც იარაღი აისხა, წელიწადზე მეტია, რაც რუსეთი ძველ მოწყენილ და დაბეჩავებულ რუსეთს აღარ ჰგავს“. მაშასადამე, თუ „იაპონიასთან ომმა ასიათასობით ახალგაზრდა და მილიონობით ხალხის ფული შეიწირა“, „თუ ამ ამბების შემდეგ“, „ხალხმა მართლაც აღასრულა თავისი მოვალეობა იმით, რომ მან წელიწადზე მეტია, რაც იარაღი აისხა, წელიწადზე მეტია, რაც რუსეთი ძველ მოწყენილ და დაბეჩავებულ რუსეთს აღარ ჰგავს“, მაშინ წიგნის დაწერის თარიღი 1906 წელი ყოფილა³⁴.

შემდეგ, თუ წიგნის დაწერის თარიღი მართლაც სწორია მაშინ ამავე წიგნის მე-3 გვერდზე მოთავსებული ავტორის სიტყვები იმის შესახებ, რომ „ტყუილად, ფუჭად არ ჩამიარა ხუთი წლის განმავლობაში დიდ ქალაქებში ცხოვრებამ, სხვადასხვა ქარხნებში მუშაობამ“... და სხვა, იმას გვატყობინებს, რომ ამ სიტყვების ავტორის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი 90-იანი წლების დასასრულს და 900 წლების დასაწყის განეკუთვნება.

³³ „იაპონიასთან ომმა კი, რომელმაც ასიათასობით ახალგაზრდა და მილიონობით ხალხის ფული შეიწირა, რომლის დროსაც რუსეთი დამარცხებას დამარცხებაზე ითმენდა“...

³⁴ ხაზგასმა ჩემია. ფ. ნ.

მაგრამ შევჩერდეთ ჯერჯერობით აქ და ვნახოთ—იქნებ წიგნში ვინმე უცხოელი სოციალ-დემოკრატის დაწერილია და ყდაზე მიწერილი — „თარგმანი ამხანაგისა“, სწორია?

წიგნში მოყვანილი ფაქტები ამის საწინააღმდეგოს ლაპარაკობენ. წიგნის მე-17 გვერდზე ავტორი წერს: „გახსოვს კიდევ ერთხელ ჩვენმა ამხანაგმა სიკომ ჰკითხა მღვდელს: მისა სალდათებმა დაქერილი რათ ჩამოიყვანეს ქალაქიდან? „მღვდელმა მიუგო: „იმიტომ რომ, ის ლოთია და ღმერთი არ სწამს“. ჩვენ კი ყველამ ვიცოდით, რომ მისა ყველას საყვარელი კაცი იყო და მთვრალიც თავის დღეში არავის უნახავს. მაშინ წამოხტა თედო და უთხრა მღვდელს, მისა იმიტომ კი არ დაიჭირეს, რომ ცუდი და ლოთი კაცია, არამედ იმიტომ რომ მან ქარხანაში მუშებს გაფიცვა მოახდენიაო, მამა მღვდელს კი ისეთი ეწყინა ეს სინამდვილე, რომ თედოს კარგებისა მისდო კეფაში. ისკი არ გახსოვს რომ ძველი მასწავლებლის სიკედილის შემდეგ მასწავლებელი ნიკო მოგვივიდა. ის არც თმას გვიწვედა, სახეში გარტყმაც არ იცოდა, მეფის სახელებსაც არ გვაზეპირებინებდა, ყველაფერს კარგად გვახსნიდა და გვასწავლიდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩქარა ამოჰკრეს პანჩურა“.

აქ, როგორც ვხედავთ, ავტორი სკოლის მერხიდან ღრმა შთაბეჭდილების სახით აყოლილ იმ გმირებზე გველაპარაკება, რომელთაც ერთგვარი გეზი მიუციათ მისი ცხოვრებისათვის. მაგრამ ვინ არიან ეს გმირები? თუ წიგნის ავტორის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი, როგორც დავინახეთ, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასასრულს და 900-იანი წლების დასაწყისის განეკუთვნება, მაშინ, მიახლოებით, ავტორის სასკოლო პერიოდი 80-იანი წლებიდან უნდა იწყებოდეს, ხოლო წიგნში დასახელებული გმირები მისი სკოლის ამხანაგები და მასწავლებლები უნდა იყვნენ.

გავარკვიოთ — იყო თუ არა 80-იანი წლების საქართველოში ისეთი სკოლა, სადაც ასეთი ლიტერატურული გმირები და ამ წიგნის შესაძლო ავტორები სწავლობდნენ და მოღვაწეობდნენ? 80-იან წლებში ასეთი სკოლა გორის სასულიერო სასწავლებელი იყო. იმ დროს აქ თედოს, სიკოს და ამ წიგნის შესაძლო ავტორებს, უანდარმერისაგან დევნილი ნიკო მასწავლებელი, მართლაც, ასწავლიდა.

ცნობილია, რომ, წიგნის შესაძლო ავტორები დან. ამ დროს გორში სწავლობდნენ: ი. სტალინი, ლ. კეცხოველი და მ. დავითაშვილი. მაგრამ ჯერ გავარკვიოთ, ვინ არიან მისა, თედო, სიკო და ნიკო? თუ 80-იან წლებში გორის სასულიერო სასწავლებელში

ასეთი პირები მართლა აღმოჩნდებიან, მაშინ ცხადია, აღნიშნული წიგნის ავტორი ცხოვრებისეულ ამბებს გადმოგვცემს და ამ ამბების უშუალო მოწმეა. რაც, თავის მხრივ, იმას დაასაბუთებს. რომ წიგნზე აღნიშნული „თარგმანი ამხანაგისა“ მხოლოდ კონსპირაციული მნიშვნელობისაა³⁵ და მისი ნამდვილი ავტორი ერთ-ერთი ზემოდასახელებული პირთაგანია.

ნიკო მასწავლებელი, რომელსაც მუდამდღე ეანდარმერია დეენის და რომელსაც ავტორი წიგნის მე-4 და მე-17 გვერდებზე დიდი სიყვარულით და პატივისცემით მოიხსენიებს. ჩვენი აზრით, ნიკო ლომოური უნდა იყოს. ნ. ლომოურმა გორში მასწავლებლობა 1883 წ. დაიწყო³⁶. ხოლო ზემოთ დასახელებული წიგნის შესახლო ავტორები ამავე სასწავლებელში სწავლას იწყებენ მომდევნო წლებში. უდავოა, ი. სტალინიც, ლადო კეცხოველიც და მ. დავითაშვილიც ნიკო ლომოურს იცნობდნენ. ნ. ლომოური თავისი ხალხოსნური იდეებით. მართლაც, „სოფლის საყვარელი მასწავლებელი იყო“. იგი სკოლაში გამეფებულ რეჟიმს ვერ იტანდა. მოსწავლეთა აღზრდის სქოლასტიკური წესები და მეფის რუსეთის ვარუსების პოლიტიკა მისთვის აუტანელი იყო. ნ. ლომოური ამ ამბავს არა თუ არ ეგუებოდა, არამედ პირიქით. ბრძოლასაც კი უცხადებდა. მიუხედავად მისი მცდარი ხალხოსნური იდეებისა, იგი მაინც არსებული სოციალური სინამდვილის მოწინააღმდეგე იყო და „პანჩურსაც“ იმიტომ „იმსახურებდა“.

იმავე ნაშრომში მოხსენებული თედო. ჩვენი აზრით, ის თედო რაზიკაშვილი უნდა იყოს, რომელსაც ნ. ლომოური ასწავლიდა და თავის იდეური გავლენის ქვეშ მოიქცია. მეფის მთავრობა ბევრჯერ დაემუქრა თ. რაზიკაშვილს ციმბირში გადასახლებით, მაგრამ მას თავისი ხალხოსნური იდეებისათვის არ უღალატია. ამავე მიზეზით იყო, რომ „მამა მღვდელმა კარგებისა მისდო კეთაში“, რაც ამ წიგნის ავტორმა, ალბათ, უშუალოდ იხილა.

³⁵ „ქართული წიგნის“ ბიბლიოგრაფიის პირველ ტომში (თბ., 1941, გვ. 305) გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ „წერილები მმსთან“ ავტორის მიერ დაწერილი იყო. რუსულად, ხოლო შემდეგ გიორგი სპირიდონის ძე ლომთათიძემ თარგმნა ქართულად, ჩვენი მტკიცების საგანს შინაარსობრივად კი არ ეწინააღმდეგება არამედ, პირიქით, ადასტურებს და ეთანხმება.

³⁶ იხ. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და მასწავლებლები, კრებული პირველი, თბილისი, 1953, გვ. 223—224.

რაც შეეხება სიკოს³⁷ — ამ ამბების მომსწრე დ. სულიაშვილი ამ დროს ასეთ მოსწავლედ სიკო ალიმბარაშვილს ასახელებს³⁸. ვფიქრობთ, ორი სხვადასხვა პირის მიერ, დროისა და ადგილის ერთ მონაკვეთში, ერთ და იმავე როლში, ერთი და იგივე სახელით ვინმეს მოხსენიება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ასეთი პიროვნება მართლაც არსებობდა. ეს უკანასკნელი კი ერთხელ კიდევ მიგვივითებს ავტორის ნაკვალევზე და თავის მხრივ იმას გვიდასტურებს, რომ აღნიშნული წიგნის ავტორი მართლაც გორის სასულიერო სასწავლებლის ყოფილი მოსწავლე უნდა იყოს.

რაც შეეხება გაფიცვების მომხდენ მიხას³⁹, აქ საქმე შემდეგნაირადაა: „მიხა“. 1906 წელს დაწერილი წიგნის ავტორისათვის, შეიძლება იყოს მიხა ბოქორიძე, რომელსაც მაშინ პარტიული სახელით „მიხად“ იცნობდნენ. ცნობილი რევოლუციონერის სახელი წიგნში მეტად ტიპიური იქნებოდა და ავტორმაც შეიძლება ამ მიზნით შეარჩია. ეს მოტივი უსაფუძვლო არაა, რაც, პირველ ყოვლისა, იმაზე მიგვივითებს, რომ წიგნის ავტორი ადგილობრივ ისტორიულ სიტუაციას აღწერს, მაგრამ, ჩვენი აზრით. ეს „მიხაც“ თუ ავტორის სკოლისეულ შთაბეჭდილებათა დაყრდნობას გაყვებით. მისი სკოლის პერიოდისათვის ცნობილი და მოქმედი „მიხა“ უნდა იყოს. იმ დროს კი ასეთ „მიხად“—მიხა ჩოდრიშვილი იყო ცნობილი. აი, რას მოგვითხრობს მ. ჩოდრიშვილი თავის შესახებ: „... 88 წელს (იგულისხმება 1888 წელი. ფ. ნ.) რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში თბილისში დავიწყე მუშაობა. 89 წელში რკინის გზა გადავიდა სახელმწიფოს ხელში... მაშინვე მოუმატეს სამუშაო საათი... გამოაქრეს ამის შესახებ განცხადებები. ეს მოულოდნელი იყო... გადავედით დიდუბეში და გამოცხადდა გაფიცვა... სამ დღეს გასტანა ასეთმა მდგომარეობამ... დაიწყო ჟანდარმერიის მუშაობაც და ვინც მეთაურად იყო შემჩნეული ყველა დაიჭირეს. ამათში უმეტესობა იყო რუსები. ქართველები ვიყავით მე და კასრაძე“⁴⁰.

მიხა ჩოდრიშვილი 1889 წელს გორის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს დაპატიმრებულიც რომ არ ენახათ, სულერთია, არ შეიძლებოდა. მიმოსვლის იმ პირობებში, ეს ამბები ან ამხანაგებისაგან, ან მშობლებისაგან. ან ნაცნობებისაგან არ მოესმინათ და არ გა-

³⁷ იმავე წერილში აბრამიშვილი წერს, რომ „სიკოს ამოხსნა ჯერჯერობით ვერ შეუძელითო“...

³⁸ დ. სულიაშვილი. დაუცხრომელი გული, თბილისი, 1955, გვ. 16.

³⁹ ეს საკითხიც ა. აბრამიშვილთან დაზუსტებული არ არის, და როგორც თვითონ წერს „...კიდევ მოითხოვს დაზუსტებას“.

⁴⁰ „რევოლუციის მარტიანი“, 1925. № 2, გვ. 67—68.

უგოთ. ამიტომ, „მიხას“ პიროვნებაც ავტორის სკოლინდელ შთაბეჭდილებათა სერიას უნდა განეკუთვნებოდეს. თუმცა ამ უკანასკნელს პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტი ის არის, რომ „მიხას“ ამ ხანისათვის მეტად ტიპურია და ავტორიც ჩვენივე ცხოვრებისეულ გმირებს იღებს, რაც ერთხელ კიდევ ნათლად მიუთითებს მის ადგილობრივ ვინაობაზე.

აღნიშნული ფაქტების გათვალისწინების შემდეგ შეიძლება მხოლოდ შემდეგი დასკვნა გაკეთდეს: წიგნი „წერილები ძმასთან“ ორიენტირებული ნაწარმოებია და იგი დაწერილია გორის სასულიერო სასწავლებლის რომელიმე იმ მოწაფეთაგან, რომელთაც სწავლა 80-იანი წლებიდან დაიწყეს. ასეთ შესაძლებელ ავტორებად კი, როგორც ზემოთ ითქვა ი. სტალინი, ლ. კეცხოველი და მ. დავითაშვილი უნდა იქნეს დასახელებული.

უდავოა, რომ სამივე მათგანი ზემოაღნიშნული ფაქტების უშუალოდ მოწმე იყო და ამ ფაქტების განზოგადებაც, ისეთ სოციალ-პოლიტიკურ ტრაქტატში. როგორცაა „წერილები ძმასთან“. მხოლოდ მათ შეეძლო.

ჩვენი აზრით, ი. სტალინი რომ აღნიშნული წიგნის ავტორი არ არის. ჭერ ერთი, ეს იქიდან ჩანს, რომ ამ შრომის სტილი, ენა და გადმოცემის ფორმა მისი შრომებისაგან განსხვავებულია. მეორე. ი. სტალინს არსად თავის სიცოცხლეში ასეთი შრომა საკუთარ შრომად არ მოუხსენებია. ყოველივე ამას უნდა დაემატოს, რომ არასდროს ი. სტალინს თავის ფსევდონიმად „შენი ძმა მიხას“ არ უხმარია.

ამ წიგნის ავტორი არც ლ. კეცხოველია. ეს უბრალოდ იქიდანაც ჩანს, რომ 1903 წელს (მეფის უანდარმის მიერ მეტეხის ციხეში), ვერაგულად მოკლულ ლ. კეცხოველს ამავე წიგნის 45-ე გვერდზე 1904 წლის რუსეთ-იაპონიის ომის არა. თუ წარსულ ამბად. არამედ აწმყო დროის ამბად მოხსენიებაც კი არ შეეძლო. მაშასადამე. წიგნის — „წერილები ძმასთან“ ერთადერთი შესაძლებელ ავტორად მ. დავითაშვილი რჩება.

ჩვენი დასკვნა რომ ისტორიულ სინამდვილეს შეესაბამება, ამაზე მიგვიითითებს, კიდევ ერთი გარემოებაც: წიგნი „წერილები ძმასთან“ დაწერილია პეტრეს სახელზე, პეტრეს მისამართით. ე. ი. ვითომ ავტორი თავის ძმას პეტრეს წერს ამ „წერილებს“. ჩვენი აზრით მ. დავითაშვილს, როგორც ამ წიგნის უდავო ავტორს, ეს ლიტერატურული სახელიც იმ მოტივით უნდა ჰქონდეს შერჩეული, რომ მის ძმას. მართლაც პეტა (პეტრე) ერქვა⁴¹. ეს უკანასკნელი ერთხელ კიდევ მი-

⁴¹ დ. ს უ ლ ი ა შ ვ ი ლ ი. დაუცხრომელი გული. გვ. 59. ა. გუჯასიანი, მი-
ბეად დავითაშვილი, ბიოგრაფიული ნარკვევი. გვ. 6.

კვითითებს იმაზე, რომ ყველა ნიშნის მიხედვით წიგნის უდავო ავტორი მ. დავითაშვილია.

მიხეილ დავითაშვილის ნაწარმოებებად აღიარებული უნდა იქნას აგრეთვე გაზეთ „სიმართლეში“ (1906, № 8), „ტალღაში“ (1906, № 5. 9) და „ჩვენი ცხოვრებაში“ (1906, № 5. 7) „შავი მიხოს“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილები. ამ წერილების შინაარსობრივმა ანალიზმა, ლიტერატურულმა სტილმა და თემატიკურმა იგივეობამ აუცილებლობით მიგვიყვანა მ. დავითაშვილის ავტორობის აღიარებამდე. მაგალითად, ერთ-ერთ თავის წერილში „შავი მიხო“ დაწვრილებით აღწერს გლეხობის დუხჭირ ცხოვრებას და წერს: „ს. ნიჩბისი (გორის მაზრა). რეაქცია კვლავ ამოძრავდა, ... ჩვენებური კნიაზებიც ფეხის ხმას აყვენ, ... გლეხებს კვლავ მიადგენენ კარზე გასაძარცვავად. ... „საზიზღარ საქმეს ჩადის კნიაზი მიტო ციციშვილი“, გაიძახიან აქაური გლეხები. — „ერთხელ იყო, გაგვანადგურა ყაზახებით. უკანასკნელი ჩოხებიც გაგვიყიდა. ახლა ჩავვიყენა და ერთი ბატონის მაგეერ ოცი გავვიხადა“⁴².

ყოველივე ამას დიდად განუწყენებია თავადი ციციშვილი, რომელსაც გაზ. „ჩვენი ცხოვრებისთვის“ შემდეგი წერილით მიუმართავს: „ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში ადგილი მისცეთ ამ ჩემ წერილს, რათა გაზ. ტალღის მეცხრე ნომერში მოთავსებულ წერილზე პასუხი მივცე „შავ მიხოს“. მისი წერილი მოკლებულია სიმართლეს, თუ სიმართლის აღდგენა სურს „შავ მიხოს“, მაშინ ის სამედიატრო სასამართლოში გამოვიდეს“⁴³.

ამავე გაზეთის საშუალებით „შავ მიხოს“ ციციშვილისათვის შემდეგი პასუხი გაუცია: „გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით აცნობოთ დიმიტრი დავითის ძე ციციშვილს, რომ მე დიდი სიამოვნებით დავთანხმდებოდი სამედიატრო სასამართლოზე სწავდროს. ეხლა კი სოფელი ნიჩბისი, სადაც უნდა გამოირკვეს სიმართლე, ავსილია ყაზახებით, ასე რომ ამ პირობებში გამოძიება და სიმართლის აღდგენა არას გზით არ მოხერხდება, ჭერ-ჭერობით თუ სურს დ. ციციშვილს გაზეთის საშუალებით დაუმტკიცებ ჩვენი კორესპონდენტის კეშმარიტებას“⁴⁴.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მ. დავითაშვილი, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, თავად ციციშვილებს ჭერ კიდევ თავის

⁴² გაზ „ტალღა“, 1906, № 9.

⁴³ გაზ. „ჩვენი ცხოვრება“, 1906, № 5.

⁴⁴ იქვე.

სახელითა და გვარით ხელმოწერილ „კვალის“ კორესპონდენციებში აკრიტიკებდა, რაც უდავო საბუთია ამ წერილების ნათესაობისა. შემდეგ, „შავი მიხოს“ ზემოთ მოყვანილი სიტყვები — „ჩვენებური კინაზებიც“, — ერთხელ კიდევ მიგვითითებს იმაზე, რომ ამ სიტყვების ავტორი გორის მაზრიდანაა. და ბოლოს, ცნობილია, რომ ამ ისტორიული ვითარების ცენტრში, მართლაც მ. დავითაშვილი იდგა⁴⁵ და ფსევდონიმი „შავი მიხოც“ მისი ფიზიკური აგებულებისა⁴⁶ და სახელის სინონიმური გამომხატველია. მაშასადამე, მ. დავითაშვილის ფსევდონიმების რიცხვს ამიერიდან „შენი ძმა მიხა“-სთან ერთად „შავი მიხოც“ მივმატა, რაც, თავის მხრივ, უდავოდ გააფართოებს მ. დავითაშვილის ნაწარმოებთა გამოვლენისა და კვლევა-ძიების შესაძლებლობას.

გამოვლენილია აგრეთვე მ. დავითაშვილის ცნობილი ფსევდონიმებით — „მიშა“, „მ. დ.“, „მ. დ-შვილი“-თ ხელმოწერილი ისტორიული ხასიათის ვრცელი წერილები და კორესპონდენციები. ეს წერილები მოთავსებულია 1906 წლის გაზეთ „შრომის“ 14, 18, 28, 31, 65 და 103 ნომრებში, 1907 წლის გაზეთ „ცისარტყელას“ № 10-ში და 1907 წლის გაზეთ „ისრის“ № 232-ში. ამ ნაწარმოებების შინაარსობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ისინი სრულიად შეესაბამებიან მ. დავითაშვილის სხვა ნაწერებს და ეჭვს არ იწვევენ იმაში, რომ ისინი მ. დავითაშვილის ნაწარმოებებია⁴⁷.

აღსანიშნავია, რომ ამ რამდენიმე წლის უკან მ. დავითაშვილის ნაწარმოებთა ფონდს შეემატა მისი ხელნაწერების ორი საერთო რვეული. მ. დავითაშვილის სხვა ნაწარმოებებთან ერთად, ეს რვეულები მეტად მნიშვნელოვან განძს წარმოადგენს არა მარტო მ. დავითაშვილის შეხედულებებისა და ქართული საზოგადოებრივი აზრის შესწავლისათვის, არამედ თანამედროვე ბურჟუაზიულ-რევოლუციონისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეშიც.

⁴⁵ ი. ხუციშვილი, 1905—1907 წლების რეოლოგია საქართველოში, თბილისი, 1955, გვ. 115, 117, 209, 224, 230, 248, 432 და სხვ.

⁴⁶ დ. სულიაშვილი, თხზ., ტ. 1. თბილისი, 1962, გვ. 253.

⁴⁷ წერილში „მ. დავითაშვილის ზოგიერთი ნაწარმოების შესახებ“ (ეურ. „მაცნე“, 1964, № 3) 1906 წლის გაზ. „ელვაში“ (№ 22, 23) და გაზ. „ლამპარში“ (№ 34, 35, 36, 51) „მიშას“ ფსევდონიმით მოთავსებულ წერილებს ჩვენ მ. დავითაშვილს მივაკუთვნებდით. შემდგომმა კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ პირველი სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხში ამ წერილების აზრი მ. დავითაშვილის შეხედულებას ეწინააღმდეგება და ამიტომ ისინი მის ნაწერებად ვერ ჩაითვლება.

მიხეილ დავითაშვილის ნაწერების ერთად თავმოყრა და გამოცემა ეროვნული და საერთო-საზოგადოებრივი საქმეა. რითაც არა მარტო ღირსეულად დავაფასებთ ჩვენ რევოლუციონერ წინაპარს და არა მარტო ჩვენს წმინდა მოვალეობას მოვიხდით, არამედ ღირსეულ წვლილსაც შევიტანთ ღიადი მომავლისათვის ბრძოლაში.

მიხეილ დავითაშვილის ბრძოლა „საერთო ნიადაგის“
სეპარატიზტული თეორიის წინააღმდეგ

მიხეილ დავითაშვილის ყველა ზემოთ დასახელებული ნაწარმოები თავისი მახვილით მიმართულია ოპორტუნისმის იმ ანტიმარქსისტული თეორიის წინააღმდეგ, რომელიც ერთი ერის შიგნით ანტაგონისტურად დაპირისპირებული კლასებს შორის ურთიერთ თანამშრომლობასა და შერიგებას ქადაგებს. ამ ბრძოლაში მ. დავითაშვილს პრინციპული პოზიცია უჭირავს და კლასთა ბრძოლის მარქსისტულ თეორიას ბოლომდე თანამიმდევრულად იცავს.

ცნობილია, რომ კლასთა ბრძოლის ოპორტუნისტულმა თეორიებმა საქართველოში განსაკუთრებული ძლიერებით მაშინ იჩინა თავი, როცა ძველისა და ახლის მიჯნაზე კლასთა ბრძოლამ რთული ხასიათი მიიღო. როცა ახალი საზოგადოების ახალმა კლასებმა ბრძოლა დაიწყეს არა მარტო ერთიმეორის წინააღმდეგ, არამედ ძველი დროშოვანი კლასების წინააღმდეგაც; როცა მუშათა რევოლუციურმა გამოსვლებმა პოლიტიკური ხასიათი მიიღო, ამ ბრძოლაში ყველა კლასს თავისი დამცველი პარტია გამოუჩნდა. მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარდა, რომელიც რევოლუციური პროლეტარიატის ინტერესებს იცავდა, ყველა სხვა პარტიები კონსერვატორული კლასების ინტერესების დამცველნი იყვნენ და, ფაქტიურად. ერთი, ბურჟუაზიული პარტიის სხვადასხვა სახეებს წარმოადგენდნენ.

ბურჟუაზიული პარტიები იბრძოდნენ არა მარტო მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ, არამედ ურთიერთ წინააღმდეგაც, მაგრამ ამ პარტიების ურთიერთ წინააღმდეგ ბრძოლა გარეგანი და არარსებითი ხასიათისა იყო, რადგან მათ ყველას ერთი მიზანი, არსებული სინამდვილის დაცვა ჰქონდათ. მართლაც, ადრე თუ გვიან. მეტად თუ ნაკლებად, ყველა ბურჟუაზიულმა პარტიამ საქართველოში კლასთა ბრძოლის შიგნით „საერთო ნიადაგის“ ძებნა დაიწყო. რამაც მათი უმრავლესობა სეპარატიზმის აღიარებამდე მიიყვანა.

ქართველი სოციალ-ფედერალისტები. რომელიც „ეროვნული ავტონომიის“ მომხრენი იყვნენ, ჯერ კიდევ 1903 წელს თავიანთი ბელადის ა. ჯორჯაძის მიერ გაზ. „საქართველოში“⁴⁹ მოთავსებულ „ლია წერილით“... აცხადებდნენ: „ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება — განსაყუთრებული, საქართველოს პირობებთან შესაფერი, კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკური ორგანიზმის ჩარჩოებში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყოთ სრულიად დამოუკიდებელნი. ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია“⁵⁰.

სოციალ-ფედერალისტთა აზრით „ეროვნული ავტონომია“ უნდა დამყარებოდა იმ პრინციპს, რომელიც ამბობს: თავისუფალი ადამიანი თავისუფალ ავტონომიაში, თავისუფალი ავტონომია თავისუფალ ფედერაციაში, თავისუფალი ფედერაცია თავისუფალ კონფედერაციაში, თავისუფალი კონფედერაცია თავისუფალ სამყაროში, რაც, მათი აზრით, თითქოს თითოეული ერის შიგნით კლასთა ურთიერთ თანამშრომლობის სრულ შესაძლებლობას შექქმნიდა.

ამ პრინციპიდან გამოსულნი სოციალ-ფედერალისტები ქართველი ერის ყველა კლასის და ყველა პარტიის წმინდა მოვალეობად თვლიდნენ: ა) ქართული ენის დაცვას. ბ) საქართველოს მიწების ქართველთა ხელში შენარჩუნებისა და გაქართულ-ნაციონალური ვაჭრობა-მრეწველობის გაფართოებისათვის ბრძოლას და არავითარ ანგარიშს არ უწყევდნენ მათ მიერვე აღიარებულ იმ ფაქტს, რომ ამ პატარა ერის შიგნით მიწის მფლობელი და მიწის მოქმედი, მრეწველი, ვაჭარი და დღიური მუშა ერთი ერთმანეთის ეკონომიურ წინააღმდეგობაში ცხოვრობდნენ⁵¹; რომ ამ გზით ვერც მეფის რუსეთის ნაციონალურ პოლიტიკას გაუმკლავდებოდნენ და ვერც, „საყოველთაო ბედნიერებას“ დაამყარებდნენ. ისინი კი იმეორებდნენ: ქართველი ხალხის ნაციონალურ-კულტურული ინტერესები მოითხოვს, რომ „ქართველი კაპიტალისტი, ე. ი. ვაჭარი და მრეწველი, ქართველ მუშას კი არ უნდა დაუპირისპიროთ, არამედ იმ უცხო ტომის ელემენტებს, რომელსაც ხელში უჭირავს ალებ-მიცემობის მონოპო-

⁴⁹ გაზ. „საქართველო“, იყო ქართველ ფედერალისტთა ორგანო, რომელიც 1903—1904 წწ. გამოდიოდა პარიზში.

⁵⁰ ა. ჯორჯაძე, თხზ., წიგნი პირველი, თბილისი, 1911, გვ. 197.

⁵¹ ა. ჯორჯაძე, თხზ., წიგნი მეოთხე, თბილისი, 1911, გვ. 2; 93—95.

ლია. ქართველი მუშა. ასოთ ამწყობია იგი, თერძი, მეჩქეძე თუ კარის დარაჯი. ამავე ეროვნული აზრით უნდა იყოს გამსჭვალული“⁵².

ხოლო კითხვაზე — თუ რა შედეგი მოყვებოდა ამ „ეროვნულ აზრს“—სოციალ-ფედერალისტების ბელადი ა. ჯორჯაძე ასე პასუხობდა: „მართალია, ამ სახით შესანიშნავად ვერ გაუმჯობესდება რამდენიმე ხნის განმავლობაში მისი (მუშათა კლასის—ფ. ნ.) მატერიალური მდგომარეობა, რადგანაც ნაციონალურის იარაღით შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა ვერ ამოიფხვრება, ხოლო ქართველ მშრომელი ხალხი იძულებულია თავისი კერძო კლასიური ინტერესები საერთო ინტერესებზე დაბლა დააყენოს და ამით დაამტკიცოს თავისი ეროვნული თვით-ცნობიერების სიმწიფე“⁵³.

მაგრამ, ისმოდა ახალი კითხვა, თუ „ნაციონალური იარაღით შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა ვერ ამოიფხვრებოდა“, თუ ამ გზით „ვერ გაუმჯობესდებოდა მუშათა მატერიალური მდგომარეობა“, მაშინ რომელი „ეროვნული აზრით“ უნდა დაეყენებია „ქართველ მშრომელ ხალხს თავისი ინტერესები საერთო ინტერესებზე დაბლა?“

კაპიტალიზმის ფერხულში ჩაბმულმა „ქართველმა მშრომელმა ხალხმა თავისი ეროვნული თვით-ცნობიერების სიმწიფე“ იმით დაამტკიცა, რომ მან, რუსეთის პროლეტარიატთან ერთად, თავისი პარტიისა და მისი დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით, დროზე მოკიდა ხელი თავის განთავისუფლების საქმეს და სოციალ-ფედერალისტებს არ გაჰყვა.

ეს ფაქტი სოციალ-ფედერალისტთა ბელადმა ა. ჯორჯაძემაც აღიარა. მაგრამ ის მაინც „საერთო ნიადაგის თეორიის“ ბოლომდე ერთგული დარჩა. რასაც გარდაცვალებიდან ორი წლით ადრე (1911) ასე აჯამებდა: „ვიღებდი რა მხედველობაში ქართველი ერის პოლიტიკურ უნუგეშო მდგომარეობას, ძებნა დაუწყე საერთო მოქმედების ნიადაგს, სადაც ჩვენი ერის სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა წარმომადგენლების სოლიდარული მოქმედება უნდა გამხდარიყო შესაძლებელი... მაგრამ უნდა ვადიაროთ დღეს, რომ ჩემი ამგვარი მოწოდება სრულიად და სავსებით იყო დამარცხებული იმ ხანებში“⁵⁴. თუმცა, დასძენს იქვე ა. ჯორჯაძე, ვფიქრობ, ჩქარა ჩვენი საზოგადოების „პროგრესული ნაწილის წინაშე, ხელმეორედ წარმოს-

⁵² ა. ჯორჯაძე, თხზ., წიგნი მეოთხე, გვ. 8.

⁵³ იქვე, გვ. 9.

⁵⁴ იქვე, გვ. I—II.

დგება და იშვება საერთო მოქმედების ნიადაგის გამონახვის საჭიროება. ამ ნიადაგს ახალი შინაარსი ექნება. ხოლო პრინციპი, ჩემი შეგნებით, იქნება ის, რომლითაც ვხელმძღვანელობდი „ცნობის ფურცლის“ წერილებში“⁵⁵.

„საერთო ნიადაგის“ სეპარატისტულ თვალსაზრისზე იდგა აგრეთვე ნ. ჟორდანიაც, რომელიც არა მარტო იზიარებდა ამ თეორიას, არამედ მის ავტორობასაც კი იჩემებდა. მაგ., როდესაც 1901 წელს ა. ჯორჯაძემ „ცნობის ფურცლებზე“ გამოაქვეყნა სტატიების სერია „ჩვენი საჭირობოროტო საკითხების“ სათაურით და სისტემატური სახით გამოკვეთა „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორია. ნ. ჟორდანიამ განაცხადა: „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორია ჩემია. „ა. ჯორჯაძემ კი ეს აშკარა ფაქტი ჩვენ გამოგვაცალა და თითონ მიისაკუთრა — თქვენ კი არა ჩვენ ვდგავართ ამ თვალსაზრისზეო“;⁵⁶ ხოლო ის აზრი, წერდა ნ. ჟორდანიამ, რომ „... ა. ჯორჯაძის ერთერთი მიზანია ხელი შეუწყოს ქართული ბურჟუაზიის შექმნას და გამრავლებას; რომ მისი აზრით, ბურჟუაზიას შეუძლია შეეცილოს სხვა ერთა მეტოქე ბურჟუაზიას და აგრეთვე მეთაურობა გაუწიოს შინაგან განვითარებას, ... ჩვენ თითონ არა ერთხელ გამოგვითქვამს და, მასასადამე. ა. ჯორჯაძე აქაც ვერავითარ ორიგინალობას ვერ იჩენსო“⁵⁷.

ნ. ჟორდანიას, რომელიც თავისი საპროგრამო წერილით ჯერ კიდევ „მესამე დასელებთან“ ერთად გამოვიდა, მართლაც, ამისი „მტკიცების“ ერთგვარი საფუძველი ჰქონდა. მაგ., თავის საპროგრამო წერილში, რომელიც რამდენჯერმე გაკრიტიკებისა და გასწორების შემდეგ, 1894 წ. ჟურ. „მოამბეში“ გამოქვეყნდა ნ. ჟორდანიამ წერდა: „...ერის სიდიადეში დაინტერესებულა, როგორც ბურჟუა-ვაჭარი, ისე გლეხი—მუშა“⁵⁸ და ამიტომ, საერთო მიზნის განსახორციელებლად, მათ საერთო მოქმედებისათვის უნდა იზრუნონ. ნ. ჟორდანიას, რომელიც თავის ოპორტუნისტულ იდეებს ყოველთვის მარქსისტულ სამოსელში ახვევდა, ამის საწინააღმდეგო აზრებით ჰქონდა, რაც მის პოზიციას, პირველ რიგში, მისივე მოკავშირეებისთვის ხდიდა გაუგებარს. მაგ., ნ. ჟორდანიამ უყოყმანოდ აღიარებდა კაპიტალიზმის განვითარებას და თვლიდა, რომ „...როცა ერი კაპიტალიზმის გზაზე შედგება, მისი იქედან გადმოვდება ან უკან დახევა ყოველად შეუძლებელია. მან უეჭველად მთელი გზა ბოლომდე უნდა გაი-

⁵⁵ ა. ჯორჯაძე, თხზ., წიგნი მეოთხე, გვ. 111.

⁵⁶ ნ. ჟორდანიამ, რჩეული ნაწერები, თბილისი, 1911, გვ. 440.

⁵⁷ იქვე, გვ. 451.

⁵⁸ იქვე, გვ. 42.

როს“⁵⁹. კაპიტალიზმის ბოლომდე განვითარებას შედეგად ახლავს ის, რომ ძველი წოდებები ერთმანეთში ითქვიფებიან და გვაძლევენ ორ კლასს: „ბურჟუაზიას და მუშათა კლასს“⁶⁰. „...ამ ორი ელემენტის შერეგება კი, დასძენს ნ. ჟორდანიას, ვერ მოხდება“⁶¹.

ნ. ჟორდანიას ამ ურთიერთ გამომრიცხავ დებულებებს ა. ჯორჯაძე კარგად იცნობდა და ამიტომ სრულიად სამართლიანად შენიშნავდა: „ნ. ჟორდანიას, ერთი მხრივ, კლასთა ბრძოლის პრინციპს იცავს, მეორე მხრით, საერთო ინტერესებზე ლაპარაკობს. ჩვენს აზრით ეს ორი წინადადება ერთი-ერთმანეთში შეუთანხმებელია“⁶².

ცხადია, ყოველივე ამის საფუძველზე ა. ჯორჯაძეს შეეძლო ხ ჟორდანიას არა თუ თავის წინამორბედად, არამედ თავის თანამოაზრედაც კი არ ჩაეთვალა. მაგრამ ყოველივე ეს საქმის მხოლოდ გარეგანი. არაარსებითი მხარე იყო, რადგან ისინი, ფაქტიურად, ერთსა და იმავე ბურჟუაზიულ სინამდვილეს იცავდნენ და ერთსა და იმავე მიზანს ემსახურებოდნენ.

ბურჟუაზიული პარტიების ეს პელადები თავიანთი მახვილიდ. პირველ რიგში მიმართულნი იყვნენ არა ურთიერთ წინააღმდეგ, არამედ მუშათა რევოლუციური მოძრაობისა და მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს ისევე ნათლად გვისაბუთებს ნ. ჟორდანიას, როგორც ეს. ზემოთ, ნათლად დაგვიდასტურა ა. ჯორჯაძემ. მაგალითად, თავისი პოზიციის ნათელსაყოფად ნ. ჟორდანიას წერს: „კაპიტალიზმის ტენდენციამ ერი დაყო ორ ნაწილად: ფულიანი და უფულო, მდიდარი და ღარიბი, ბურჟუა და მუშა. ეს ორი ძალა ერთ ერთმანეთის მტერია, მათი ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ამისათვის ცხოვრებაშიაც ორი მიმდინარეობა ჩნდება, ერთი მფარველობს კაპიტალის ინტერესებს, მეორე — შრომას.

პირველი ბურჟუაზიული მიმართულებაა სხვადასხვა სახით, მეორე — სოციალ-დემოკრატიულია“⁶³. „ამ დავაში ჩვენ მუდამ ერთი ადგილი გვეჭირა. ჩვენი პროგრამა მოკლე და ნათელია: ქართული ენის, ლიტერატურისა და საზოგადოებრივ კულტურის საშუალებით. ქართველი „მშრომელი ხალხის“ თანდათანობითი გაცნობიერება, გამძ-

⁵⁹ ნ. ჟორდანიას, რჩული ნაწერები, გვ. 122.

⁶⁰ იქვე, გვ. 118.

⁶¹ იქვე, გვ. 205.

⁶² ა. ჯორჯაძე. თხზ. წიგნი მეოთხე, გვ. 56.

⁶³ ნ. ჟორდანიას, რჩული ნაწერები, გვ. 101—101.

ლავრება და თანამედროვე ცხოვრების შეგნებულ რაზმად გადაქცევა ერთი მხრივ; მისი თვით-მოქმედებისა და, დამოუკიდებელი მოძრაობისათვის ხელის შეწყობა — მეორე მხრით, აი ჩვენი იდეალი, აი ჩვენი პროგრამა“⁸⁴.

ყოველივე აქედან შეიძლება დაეასკვნათ, რომ მსჯელობათა განსხვავებული ფორმის მიუხედავად, როგორც ა. ჯორჯაძე ისე ნ. ყორდანიას ერთსა და იმავე აზრს იცავდნენ. ორივენი თვლიდნენ: ა) კაპიტალიზმის განვითარებამ ერი გაყო ბურჟუეზად და მუშებად. ბ) ამის შესაბამისად ცხოვრებაში გაჩნდა ორი მიმდინარეობა, რომელთაგან ერთი, თავისი სხვადასხვა სახით, ბურჟუაზიულია და კაპიტალის ინტერესებს იცავს, ხოლო მეორე — სოციალ-დემოკრატიული. გ) განვითარების ამ ეტაპზე ქართველ ხალხს მხოლოდ ბურჟუაზიის მეთაურობით შეუძლია შეინარჩუნოს და განავითაროს თავისი ენა და კულტურა, თავისი ვაჭრობა-მრეწველობა და მიწა. დ) ყველა კლასმა და ყველა პარტიამ უნდა მონახოს „საერთო ნიადაგი“ საერთო ენა. ე) მართალია, ნაციონალური იარაღით შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა ვერ ამოიფხვრება, ამ გზით მუშათა მატერიალური მდგომარეობა დიდხანს ვერ გაუმჯობესდება, მაგრამ, მაინც, თავისი ეროვნული თვითცნობიერების სიმწიფის დასადასტურებლად საქართველოს პროლეტარიატი რუსეთის პროლეტარიატს კი არ უნდა დაუკავშირდეს, არამედ ქართველ ბურჟუაზიას. ვ) ამ გზით უზრუნველყოფთ ქართველი ერის პოლიტიკურ სეპარატიზმს.

ცხადია, ყოველივე ეს უდიდეს ზიანს აყენებდა მუშათა რევოლუციურ მოძრაობას, ასუსტებდა და კქსაქსავდა რევოლუციურ ძალებს, პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს ბურჟუაზიული ნაციონალიზმი უპირისპირდებოდა და ხელს უშლიდა მუშათა საბრძოლო გაერთიანების საქმეს.

ამიტომაც, ქართველი სოციალ-დემოკრატები, ქართული ბოლშევიკური პრესა უდიდეს ყურადღებას აქცევდა ამ მავნე, ოპორტუნისტული იდეების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ ბრძოლაში საქართველოს მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი საუკეთესო წარმომადგენლები პრინციპულად იცავდნენ რევოლუციური მარქსიზმის სიწმინდეს. ამის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მ. დავითაშვილის შრომები.

⁸⁴ ნ. ყორდანიას, რჩეული ნაწერები, გვ. 461.



წინააღმდეგ კლასთა ბრძოლის „საერთო ნიადაგის“ ბურჟუაზიული თეორიისა, რომელიც ერთი ერის შიგნით ანტაგონისტურად დაპირისპირებულ კლასებს შორის ურთიერთ თანამშრომლობას ქადაგებს, მ. დავითაშვილის ყველა ზემოთ დასახელებული ნაწარმოები გამსჭვალულია იმ აზრით, რომ კლასთა ბრძოლას აუცილებლობით მიუყვებათ კლასების მოსაზრებისა და, მაშასადამე, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისაკენ.

მ. დავითაშვილის შრომების ძირითადი აზრი, მიმართულია ისტორიული მატერიალიზმის იმ ძირითადი დებულების აღიარებისაკენ, რომლის თანახმადაც ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება, შინაგანი აუცილებლობით მიემართება დაბალი საფეხურიდან მაღალი საფეხურისაკენ.

ისტორიული მატერიალიზმის ამ პრინციპიდან გამოსული მ. დავითაშვილი წერდა: ის, ვისაც ცხოვრების შესახებ სურს იცოდეს რაიმე იგი „... ცხოვრებას უნდა დაუკვირდეს. გაიგოს რა ხდება მის გარშემო“⁶⁵. ხოლო ის ვინც ცხოვრებას დაუკავშირდება, ვინც ორი-ც და წიგნს მანც წაიკითხავს და ცხოვრების ისტორიას გაეცნობა, აუცილებლად მიხვდება, რომ დღეს ყველაფერი ისე არ არის, როგორც ძველად იყო. და არც მომავალში ყველაფერი ისე არ იქნება, როგორც დღესაა. ცხოვრება დულს, ყოველ დღეს რაღაც ახალი მოაქვს. რაც დღეს იყო, ხვალ უარყოფილი ხდება, ძველი ისპობა, ახალი იბადება. მაგალითად, იყო დრო, როცა მდიდარი და ღარიბი არ იყო, როცა საზოგადოების ყველა წევრი თანაბარ პირობებში ცხოვრობდა, როცა „... კერძო საკუთრება ჯერ კიდევ არ იყო და მთელი სიმდიდრე საზოგადოებას, ყველას ეკუთვნოდა“⁶⁶. მაგრამ მაშინ ადამიანი ჯერ კიდევ ბუნების მონა იყო. ნაკლებად იცნობდა ბუნების კანონებს. წარმოების იარაღებიც ძალიან პრიმიტიული ჰქონდა და ამიტომ საწარმოო ძალთა არსებულ დაბალ დონეს სრულიად შეესაბამებოდა წარმოებისა და განაწილების საზოგადოებრივი ხასიათი. ეს იყო პირველყოფილი თემური წყობილება, რომელსაც აუცილებლობით მოყვა მონათმფლობელური, ფეოდალური და სხვა ფორმაციები.

არც ერთი ამ წყობილებათაგანი, მ. დავითაშვილის აზრით, ადამიანთა სურვილის მიხედვით არ დამყარებულა. პირიქით, ბუნებას-

⁶⁵ წერილები ძმასთან, გვ. 3.

⁶⁶ იქვე, გვ. 21.

თან საბრძოლველად, მისი აზრით, ადამიანები უნდა რაიმე ურთიერთობაში ჩამდგარიყვნენ ერთმანეთთან, ეს ურთიერთობა დამოკიდებული იყო არა მათ სურვილებზე, არა მათ შეგნებასა და ნებაზე, არამედ იმ საშუალებებზე, რომელთა შემწევობით ისინი აპირებდნენ ბუნებასთან გამკლავებას⁶⁷. ერთი სიტყვით, ისტორიის იდეალისტური გაგების წინააღმდეგ ბრძოლაში, მ. დავითაშვილი ყველგან და ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საწარმოო ძალთა განვითარება იწვევს განსაზღვრულ წარმოებით ურთიერთობას, განსაზღვრულ დამოკიდებულებას ადამიანებს შორის წარმოების პროცესში.

ისტორიული მატერიალიზმის ამ კლასიკურ დებულებას, რომელიც სავსებით შეესაბამება კ. მარქსის ცნობილ „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის“ შესავალს, მ. დავითაშვილი მეტად მნიშვნელოვანი კუთხით განმარტავდა. სახელდობრ, იგი თვლიდა, რომ, მართალია, ისტორიის მსვლელობა აუცილებლობის კანონს ემორჩილება, ე. ი. განსაზღვრული მიზეზითაა გამოწვეული და განსაზღვრული გზით მიემართება. მაგრამ ის მიემართება არა ადამიანის გარეშე, არამედ ადამიანის შემწევობით; ადამიანი ამ აუცილებლობის ამსრულებელი, ადამიანი დგას მისი მოქმედების ცენტრში და სწორედ ეს ადამიანის მოქმედება ემორჩილება აუცილებლობის კანონს.

ცხადია, ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა ქონდა მაშინ, არა მარტო რევოლუციური მასების ორგანიზაციის საქმეში, არამედ მარქსიზმის ისეთი აშკარა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაშიც, რომელნიც დაუფარავად წერდნენ: „...საპირთა ისტორიულ პროცესის განმარტების გადასინჯვა და კაცთა ცხოვრების ობიექტურ, კაცისაგან დამოუკიდებელ პროცესის უარყოფა“⁶⁸.

ისტორიული მატერიალიზმის ზოგად დებულებათა სწორი მეცნიერული ინტერპრეტაციის შემდეგ მ. დავითაშვილი გადადიოდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კონკრეტულ ანალიზზე და „საერთო ნიადაგის“ სეპარატისტულ თეორიას კლასთა ბრძოლის მარქსისტულ პრინციპს უპირისპირებდა.

საწარმოო იარაღების გაუმჯობესების თანავე, წერდა მ. დავითაშვილი, პირველყოფილ თემურ წყობილებაში, თევზ-პერასა და ნადირობას აუცილებლობით მოჰყვა ხვნა-თესვა. „მაგრამ რაკი ხვნა-თესვა შემოიღეს, თითველმა დაიჩემა ესა თუ ის მიწა“⁶⁹. გაჩნდა კერძო საკუთრება, ხოლო „რაკი კერძო საკუთრება აღორძინდა, რაკი კერძო საკუთრება გაჩნდა ამას უსათუოდ უთანასწორობა უნდა

⁶⁷ ს.კ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი. მ. დავითაშვილის ფონდი, რვ. 2, ფურ. 102.

⁶⁸ ა. ქოჩაძე, თხზ., წიგნი მეოთხე, გვ. 75.

⁶⁹ წერილები ძმასთან, გვ. 21.

მოპყოლოდა⁷⁰. მართლაც, უთანასწორობის აღმოცენება და პირველყოფილი თემური წყობილების დაშლა გარდუვალა გახდა. გაჩნდნენ მდიდრები და ღარიბები. ერთიანი უკლასო საზოგადოება ანტიგონისტურ კლასებად დაიყო. „და აი, თითქმის მთელი წარსული, კაცობრიობის მთელი ისტორია წარმოადგენს ასეთნაირ კლასთა ბრძოლას თავიანთი ინტერესებისათვის“⁷¹.

კლასთა ბრძოლა, განაგრძობს მ. დავითაშვილი, წინეთაც და ეხლა ცხვადასხვა იყო და არის. მაგრამ მისი „თ ა ვ ი დ ა თ ა ვ ი მ ი ზ ე ზ ი“ ყველგან კერძო საკუთრება იყო და არის. კერძო საკუთრების გაჩენამ საზოგადოების უმრავლესობა თანდათან მოწყვეტა შრომის საშუალებებს და აი დღეს, კაპიტალიზმის პირობებში „...შრომის საშუალებანი ერთი კლასის ხელშია, ხალხის უმრავლესობა კი მოკლებულია ამ საშუალებებს“⁷².

კლასთა ბრძოლამ თავის უმაღლეს საფეხურს მიაღწია კაპიტალიზმის პირობებში, ამის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს რუსეთი. დღევანდელ „რუსეთში ას ორმოც მილიონამდე ხალხი ცხოვრობს, ეს ხალხი დაყოფილია რამდენიმე კლასებათ, ამ კლასებს შორის კი გამუდმებული ბრძოლა“⁷³.

ისევე, როგორც საერთოდ, განაგრძობს მ. დავითაშვილი, დღევანდელ კაპიტალისტურ საზოგადოებაშიაც კლასთა ბრძოლის მთავარი მიზეზი კერძო საკუთრებიდან გამომდინარე უთანასწორობაა. ამიტომ ვისაც ამ უთანასწორობის მოსპობა სურს, მან „...თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე კ ე რ ძ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ა ს ა წ ა რ მ ო ო ი ა რ ა ლ ე ბ ზ ე უ ნ და მ ო ს პ ო ს“⁷⁴. კერძო საკუთრების მოსპობისთანავე მოისპობა უთანასწორობა და კლასთა ბრძოლა, „...ვინაიდან კლასები სრულიად მოისპობა“⁷⁵. კლასებისა და, მაშასადამე, კერძო საკუთრების მოსპობის გზით კი დამყარდება უკლასო სოციალისტური საზოგადოება, სადაც ყველა თანასწორი იქნება.

მაგრამ ვინ, რომელი კლასი იკისრებს ამ მისიას? სვამს კითხვას მ. დავითაშვილი. დღევანდელ საზოგადოებაში რამდენიმე კლასი არსებობს. მაგ., მ ე მ ა მ უ ლ ე ბ ი, რომელთაც ყველაზე მეტი მიწა აქვთ. შეადგენენ ერთ კლასს. ისინი მიწას თითონ კი არ ამუშავენ, არამედ იჯარით აძლევენ უმიწო გლეხებს, ან დაქირავებული მუშე-

70 წერილები ძმასთან, გვ. 21.

71 იქვე, გვ. 7.

72 იქვე, გვ. 9—10.

73 იქვე, გვ. 5.

74 იქვე, გვ. 27—28.

75 იქვე.

ბითა და მოჯამაგირეებით ამუშავებენ. ასეთსავე განსაკუთრებულ კლასს შეადგენენ მრეწველ-კაპიტალისტები, რომელნიც თავიანთ ფაბრიკა-ქარხნებში, ქვანახშირისა და მთა-მადნეულის მოპოვებაზე ათასობით დაქირავებულ მუშას ამუშავებენ. ჩვენ და ჩვენისთანა ხალხი კი, რომელთაც საკუთარი სამუშაო ძალის გარდა არაფერი გავგაჩნია; შევადგენთ მუშათა კლასს, ან როგორც ეხლა ეძახიან პროლეტარტა კლასს; არის კიდევ ე. წ. შუათანა კლასი, რომელიც შედგება წვრილი ვაჭრების, ხელოსნებისა და გლეხობისაგან. მაგრამ, რაც დრო გადის, მით უფრო ნიადაგი ეკარგება ეგრეთ წოდებულ შუათანა კლასს და მთელი რუსეთი, მთელი დედამიწა თანდათან ორ მთავარ კლასად — კაპიტალისტთა და პროლეტარტთა კლასად—იყოფა⁷⁶.

სოფელში, მაგალითად, ბევრია ისეთი გლეხი, რომელიც არც კაპიტალისტი და არც პროლეტარი. მაგრამ კაპიტალი ულმობელია, იგი ყლაპავს, ნთქავს, როგორც წვრილ მრეწველ კაპიტალისტებს, ისე გლეხებსა და ხელოსნებს. ყველა ისინი პროლეტარტა რიგებში გადაჰყავს. ამიტომ, „...თუ შენ გინდა გაიგო, რა ხდება შენს გარშემო, როგორია ეხლანდელი წყობილება, ყველაზე უფრო დაუკვირდი ორ კლასთა, კაპიტალისტთა და პროლეტარტთა შორის ბრძოლას“⁷⁷.

კაპიტალისტთა კლასი გაბატონებული კლასია. მთელი სიმდიდრე მას ეკუთვნის. ცხადია, კაპიტალისტთა კლასი, თავის ბატონობაზე უარს არ იტყვის, პროლეტარიატთან გატოლებას არ მოისურვებს. ამის გაკეთება მან მაშინაც კი არ მოისურვა, როცა ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, პროლეტარიატი მხარში ედგა. მით უმეტეს, ბურჟუაზია ამას არ გააკეთებს ახლა, როცა „...ყველა კანონი, ყველა სახელმწიფო დაწესებულებანი, მოხელენი, კანცელარიები და ციხეები“, ...მის ხელშია⁷⁸.

გაბატონებული, კაპიტალისტური კლასის ინტერესებს ემსახურება ეკლესიაც. კაპიტალის ბატონობის პირობებში, „საღმრთო სჯული“, „ბურჟუაზიის სჯულათაა“ გამოცხადებული და ამიტომ ეკლესია სხვა არაფერია თუ არა „...ს ა შ უ ა ლ ე ბ ა . რ ო მ ლ ი თ ა ც კ ა პ ი ტ ა ლ ი ე ბ რ ძ ვ ი ს შ რ ო მ ა ს“⁷⁹.

კაპიტალისტთა ინტერესებს ემსახურება სკოლაც, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა „საღმრთო სჯულითაა“ შემოფარგლული.

⁷⁶ წერილები ძმასთან, გვ. 9.

⁷⁷ იქვე.

⁷⁸ იქვე.

⁷⁹ იქვე, გვ. 12.

კაპიტალისტთა ინტერესებს ხმარდება მძიმე გადასახადების გზით შეგროვილი სახელმწიფო ხაზინაც, რომელიც ერთიანად გაბატონებული კლასის ხელშია⁸⁰.

კაპიტალისტთა კლასობრივ ინტერესებს იცავს „ჯარი და სახელმწიფო აპარატში მოკალათებული მთავრობა“, რომელიც თავის არსებით „კლასობრივია“⁸¹.

მაშასადამე, დასკვნის მ. დავითაშვილი. „... შკოლა, როგორც ჯარი, ეკლესია. ხაზინა, მთავრობა,— ყველა ეს გაბატონებული კლასის ხელშია, ყველა ეს მჩაგვრელთა ხელშია“⁸². ყოველივე ამით „ბურჟუაზია ცდილობს დაისაკუთროს არა მარტო პროლეტარიატის სამუშაო ძალა, არამედ მისი ხორცი, ტვინი და სისხლი, მისი ოჯახი, მისი შთამომავლობა. შეხუთული სახელოსნო და ეკლესია, ყაზარმა და პოლიციის ნაწილი (უჩასტოკი) ციხე და შკოლა—ყოველივე ბურჟუაზიას იმიტომ უნდა. მშრომელი ხალხი თავის ნებაზე ატაროს“⁸³.

ბურჟუაზიული სახელმწიფო არსებობს ერთი მუჟა კაპიტალისტთა კეთილდღეობის, სიმდიდრის დასაცავად, მაშინ, როცა მშრომელი ხალხის პირდაპირი ხვედრია — უმიწობა, მძიმე გადასახადები, სიღატაკე, გაუნათლებლობა, ოჯახის დარღვევა, ბავშვების ბუზებივით ამოხოცვა და სხვა მრავალი ამგვარი უბედურება.

როგორც ვხედავთ, მ. დავითაშვილი სახელმწიფოს განიხილავს ისე, როგორც ერთი კლასის მეორეზე ბატონობის იარაღს, რაც სრულიად შეესაბამება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ ბურჟუაზიულ სახელმწიფოზე გამოთქმულ აზრს.

კაპიტალისტთა კლასი, მარტო სახელმწიფო აპარატს როდი სჯერდება. იგი თავის ბატონობის შენარჩუნების მიზნით „... აარსებს სხვა და სხვა პარტიებს“⁸⁴. ბურჟუაზიული პარტიები სიტყვით „საყოველთაო თავისუფლებას“⁸⁵ ქადაგებენ, საქმით კი კაპიტალის ბატონობას იცავენ. ბურჟუაზიულ პარტიებს უპირისპირდება მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია და ეს უკანასკნელი ამხელს მათ სიყალბეს. და აი, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ „რუსეთში ეხლა სხვა-და სხვა ჯგუფთა და პარტიათა ბრძოლა

⁸⁰ წერილები ძმასთან, გვ. 16.

⁸¹ იქვე, გვ. 14—15.

⁸² იქვე, გვ. 17.

⁸³ იქვე, გვ. 14.

⁸⁴ იქვე, გვ. 18.

⁸⁵ იქვე, გვ. 51.

პოლიტიკური თავისუფლებისათვის, არის იგივე კლასთა ბრძოლა⁸⁶.

ასე იქცეოდა ყველა გაბატონებული კლასი და ასევე იქცევა ბურჟუაზიაც. მაგრამ იქნებ კაპიტალისტებს წარმოების თანამედროვე წესის გაუმჯობესება ძალუძთ? არა, დასძენს მ. დავითაშვილი, სასაქონლო წარმოების კაპიტალისტური წესი გეგმაზომიერ განვითარების არავითარ შესაძლებლობას არ შეიცავს. თითოეული კაპიტალისტი იძულებულია რაც შეიძლება მეტი საქონელი გამოუშვას და მეტი მოგება მიიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კაპიტალისტური კონკურენცია მას გადაყლაპავს. ამ უკანასკნელის მიზეზი კი—კერძო საკუთრებაში იმალება. „...კერძო საკუთრების წყალობითაა, რომ ყველა ფაბრიკანტი თავისკენ ეწევა, ყველა თავის ჯიბეზე ფიქრობს, არავითარი შეთანხმება არ არსებობს, შრომის ნაყოფიერება ძლიერ კლებულობს, მანქანებს ვერ აუმჯობესებენ, ბუნებასაც უფრო ნელა იმონავენ და სხვა“⁸⁷.

საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად, განაგრძობს მ. დავითაშვილი, საჭიროა წარმოების ყველა საქმე „...მთელ საზოგადოებას ეკუთვნოდეს და არა რამდენიმე კაცს“⁸⁸, ამისათვის, როგორც იტყვა, საჭიროა საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობა, რაც საბოლოო ჯამში, კაპიტალიზმის მოსპობას და სოციალიზმის დამყარებას ნიშნავს.

სოციალიზმი ერთადერთი ხსნაა მთელი კაცობრიობისათვის. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სოციალიზმის დამყარების დროს დიდ სიძნელეებთან გვექნება საქმე. საქმე გვექნება არა ძველი ბურჟუაზიული შენობის შეკეთებასთან, არამედ „მთელი ქვეყნის გარდაქმნასთან“, „ახალი შენობის“, ახალი საზოგადოების აშენებასთან⁸⁹. რაკი კაპიტალისტურ წყობილებას, კაპიტალისტურ მანქანას ბოლო მოეღება, უნდა შეიცვალოს ამ მანქანის ყველა ნაწილი, ე. ი. უნდა ახლებურად, სოციალისტურად მოეწყოს სახელმწიფოც, ოჯახიც, სკოლაც და ყველაფერი. და აი, ვპასუხობთ ზემოთ დასმულ კითხვაზე, ამ საქმეს გააკეთებს არა ყველა კლასი ერთად, როგორც ამას „საერთო ნიადაგის“ თეორიის მქადაგებელნი ფიქრობენ, არამედ ის რევოლუციური „პოლიტიკური

⁸⁶ წერილები ძმასთან, გვ. 53.

⁸⁷ იქვე, გვ. 53.

⁸⁸ იქვე, გვ. 27.

⁸⁹ იქვე, გვ. 31.

რომელიც ყველაზე უფრო დაბალ კლასს შეადგენს კაპიტალისტურ წყობილებაში⁹⁰.

დღევანდელ კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროლეტარიატი არის ერთადერთი კლასი, რომელსაც პირადი თავისუფლებისა და საკუთარი სამუშაო ძალის გარდა არაფერი გააჩნია. ამიტომ, სხვა კლასების მსგავსად, ერთი კლასის ბატონობას მეორეთი ვერ შეცვლის. მას არა აქვს ამის საშუალება⁹¹. და ამიტომ, „...აქ გულკეთილობასა და სიუხვეში კი არ არის საქმე, არამედ მუშათა კლასის მდგომარეობაში. ეს მდგომარეობა ისეთია, რომ მუშათა კლასმა ძალიანაც, რომ მოინდომოს არ შეუძლია თავისი განთავისუფლება ისე, თუ ყველა, მთელი კაცობრიობა არ განთავისუფლა“⁹².

ამ ბრძოლაში ბურჟუაზიული კლასი მუშათა მოწინააღმდეგე იქნება. „...დახვავებული შენობის დანერგვა და ახლის აგება“⁹³ მართო მუშათა კლასს მოუხდება, ამიტომ, პროლეტარები იძულებულნი არიან შეერთდნენ. ყველა ქვეყნის პროლეტარებს ერთი ამოცანა აქვთ, მათ შორის არ არსებობს არავითარი ზღვარი. ხოლო „რაკი მუშები შეიგნებენ თავიანთსა და მთელი კაცობრიობის ინტერესებს. მაშინ, დასძენს მ. დავითაშვილი, მართლაც, პროლეტარები ყველა ქვეყნისა შეერთდებიან, ჩააგდებენ ხელში მართვა-გამგეობას და მიჰყოფენ ხელს თანამედროვე „უწესო“ წეს წყობილების გარდაქმნას ნამდვილ წყობილებად, გარდაქმნიან კაპიტალისტურ წეს წყობილებას სოციალისტურად“⁹⁴.

მაშასადამე, დაასკვნის მ. დავითაშვილი, ინტერნაციონალის იმ სიტყვებში, რომ „მუშათა განთავისუფლება მუშათა ხელით უნდა მოხდეს“, ყველა ოპორტუნისტულ პარტიის წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატები ასეთ შინაარსს დებენ: „კლასთა ბრძოლა, როგორც პირობა, რომელსაც აუცილებლობით მიჰყავს მუშათა კლასი განთავისუფლებისაკენ, პოლიტიკური ბრძოლა და დამოუკიდებელი პოლიტიკა, როგორც უმადლესი ფორმა კლასობრივი ბრძოლისა; პოლიტიკური ძალაუფლება, როგორც იარაღი „განთავისუფლებისა“; პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც აუცილებელი ფორმა ამ იარაღის მოხმარებისა“⁹⁵.

⁹⁰ წერილები ძმასთან, გვ. 57.

⁹¹ იქვე, გვ. 30.

⁹² იქვე, გვ. 57.

⁹³ იქვე, გვ. 32.

⁹⁴ იქვე, გვ. 30.

⁹⁵ გაზ. „ღრო“, 1907, № 13.

ერთი სიტყვით, მ. დავითაშვილი საზოგადოებრივ ცხოვრებას განიხილავდა ა) მის წინსვლით განვითარებაში. ბ) საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლით განვითარების საფუძველს ხედავდა საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა მუდმივ ცვალებადობაში, გ) მ. დავითაშვილის აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება არის ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ობიექტური პროცესი, რომლის ცენტრშიაც ადამიანი დგას, დ) მისი აზრით, კლასები და კლასთა ბრძოლა არის ისტორიული კატეგორია, რომელიც კერძო საკუთრების გაჩენასთან ერთად წარმოიშვა და კერძო საკუთრების მოსაზობასთან ერთად გაქრება, ე) „საერთო ნიადაგის“ ოპორტუნისტული თეორიის წინააღმდეგ მ. დავითაშვილი აღნიშნავს, რომ კლასთა ბრძოლას აუცილებლობით მიეყვებათ კაპიტალიზმის დამხობისა და, მაშასადამე, უკლასო საზოგადოების აშენებისაკენ, ვ) დაბოლოს, მ. დავითაშვილის აზრით, დრომოქმული კაპიტალისტური საზოგადოების შენობა კი არ შეეკეთდება, ან გადაკეთდება, არამედ პირიქით, იგი ძირფესვიანად გ ა რ დ ა ი ქ მ ნ ე ბ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ა ტ უ რ ი ს გ ზ ი თ.



ყოველივე ზემოთ ნათქვამი შეიძლება ასე შეჯამდეს: „საერთო ნიადაგის“ თეორიის მომხრე ქართველი სოციალ-ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები ამოდითონენ ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილი ერის ერთიანობიდან. ისინი ყველა კლასს, ყველა პარტიას „საერთო მოქმედებისაკენ“ მოუწოდებდნენ და ქართველ ერს, როგორც ასეთს, — ქართული ენის დაცვის, ქართული ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების და საქართველოს მიწების ქართველთა ხელში შენარჩუნების მიზნით, — სხვა ერებს უპირისპირდებოდნენ. ამავე მიზნით ისინი აყენებდნენ „ეროვნული ავტონომიის“ და „პოლიტიკური სეპარატიზმის“ მოთხოვნას. ცხადია, ყოველივე ამით ისინი საქართველოს პროლეტარიატს რუსეთის პროლეტარიატისაგან თიშავდნენ და მუშათა რევოლუციური მოძრაობის შიგნით პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნაცვლად, ოპორტუნისტების ნაციონალისტურ თეორიას ნერგავდნენ. ყოველივე ამით ისინი არსებულ სინამდვილეს იცავდნენ და მუშათა რევოლუციურ მოძრაობას უდიდეს ზიანს აყენებდნენ.

ქართველი სოციალ-დემოკრატები და მათ შორის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი

მ. დავითაშვილი პირიქით, საზოგადოებრივი ცხოვრების გაგებაში კლასთა ბრძოლის მარქსისტული პრინციპიდან ამოდიოდნენ და „საერთო ნიადაგის“ სეპარატისტულ თეორიას პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს უპირისპირებდნენ. ცხადია, მ. დავითაშვილის ბრძოლას ამ მიმართულებით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო რევოლუციური მასების პროლეტარიატის ირგვლივ დარაზმვაში, არამედ სოციალიზმის მეცნიერული თეორიის—მარქსიზმის—დაცვასა და გავრცელების საქმეშიც.

თ ა ვ ი მ ი ო რ ა

ჩინხაილ ღავითაშვილის ბრძოლა მარქსისტულ- რევოლუციური თეორიის დასაცავად 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში

ჩინხაილ ღავითაშვილი გუბერნიულ-დემოკრატიული რევოლუციის შესახებ

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ზეაღმავალ გზაზე ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად მოპოვებული დემოკრატიული რესპუბლიკა სრულიადაც არ არის კაცობრიობის ისტორიის გადაულახავი ზღვარი. პირიქით, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი მხოლოდ ერთ-ერთი ეტაპია ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ და კაპიტალიზმიდან კომუნისმისაკენ მიმავალ გზაზე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს რევოლუციური პროლეტარიატის თვითშეგნების ზრდისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ დარაზმვის საქმეში¹.

გამოჩენილი ქარაველი რევოლუციონერი და მოაზროვნე მ. დავითაშვილი რუსეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის მთელ მანძილზე პრინციპულად იცავდა ამ აზრს და თვლიდა, რომ: მიმდინარე რევოლუციაში პროლეტარიატს პირველი დარტყმა თვითმპყრობელობისათვის უნდა მიეყენებინა, ხოლო პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების შემდეგ თავისი პირდაპირი მტრის, კაპიტალიზმის დამხობაზე უნდა ეზრუნა. ამ თანამიმდევრობის დაცვა მ. დავითაშვილის აზრით აუცილებელი იყო, როგორც ერთი, ისე მეორე. მტრის დასამხობად. ამიტომ მ. დავითაშვილი მუშათა კლასს საქმის ვითარებას ასე განუმარტავდა: მართალია, „სოციალიზმი — ჩვენითავე და თავი მოთხოვნილებათა, სოციალიზმი ჩვენის პროგრამათა“². ...მაგრამ ჩვენ უნდა გიცოდეთ საიდან

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 588.

² წერილები ძმასთან, გვ. 31.

დავიწყოთ ამ იდეალისათვის ბრძოლა მაშინ, როდესაც ერთსა და იმავე ღროს... მეფის მთავრობისა და კაპიტალისტების სახით — ორი ჯალათი გვადგას თავს. ასეთ ვითარების დროს საჭიროა რევოლუციის განვითარებისა და გაღრმავების ზუსტი თანამიმდევრობის დაცვა.

საზოგადოებრივი ცხოვრების დღევანდელ პირობებში „... ჩვენში ყველა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმეს სწყვეტს მეფისაგან დანიშნული მინისტრები და ჩინოვნიკები. მთავრობა დღეს გამოსცემს რაიმე კანონს და ხვალ, თუ მოესურვება, გააუქმებს, ...ჩვენში ჩინოვნიკები — ბატონია, მოქალაქენი — მონა. ჩინოვნიკები — ყველაფერია, მოქალაქენი — არაფერია. მაგრამ უკაცრავად, მოქალაქენი არც კია ჯერ ჩვენში. არიან ქვეშევრდომები, რომელთაც როგორც უნდათ ისე ექცევიან: დღეს ცხვირში ამოკრავენ. ხვალ ციხეში გადასახლებენ, ზეგ გამოუშვებენ და ასე. როგორც მოეხასიათებათ. მეფე არავის წინაშე არ არის პასუხისმგებელი, ის განუსაზღვრელი თვითმპყრობელია“³. მეფის განუსაზღვრელი უფლებები პოლიტიკურ მონობაში აგდებს საზოგადოების უმრავლესობას და მათ შორის მუშათა კლასს. მუშათა კლასს არა აქვს სიტყვის, კრების, კავშირების და სხვა რაიმე ამგვარის უფლება. ეს კი უდიდეს ზიანს აყენებს მუშათა გათვითცნობიერების საქმეს. და აი, იმისათვის, რომ მუშათა კლასმა ნაბიჯი გადადგას წინ თავის განთავისუფლების გზაზე, იმისათვის, რომ იგი გადაიქცეს „კლასად თავისთვის“, იმისათვის, რომ მან თავის საბოლოო მიზანს — სოციალიზმს — მიაღწიოს, პირველ რიგში საჭიროა დაამხოს „...პოლიტიკური მონობა“⁴. დღეს „ყველაფერზე უფრო ჩვენ ხელს გვიშლის ჩვენი პოლიტიკური მონობა“⁵.

პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში მუშათა კლასი მარტო არ იქნება. მეფის თვითმპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ აღსდგებიან გლეხებიც, რომელნიც სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ ყოველგვარი ფეოდალური გადმონაშთების წინააღმდეგ. მუშათა კლასის მხარეზე დადგება ინტელიგენცია. „...ინტელიგენტები ხომ დიდი ხანია ებრძვიან თვითმპყრობელობას“⁶. ისინი ხომ ყველაზე უკეთესად ხედავენ მეფის რუსეთის ჩამორჩენის მიზეზებს და იმ პოლიტიკურ უუფლებობას, რომელშიაც დღეს რუსეთის საზოგადოების

³ წერილები ძმასთან, გვ. 38—39.

⁴ იქვე, გვ. 41.

⁵ იქვე, გვ. 40.

⁶ იქვე, გვ. 43.

უმრავლესობა ცხოვრობს. თვითმპყრობელობის მტერია ბურჟუაზია. ბურჟუაზია მიისწრაფვის თავისი უფლებების გაფართოებისაკენ, რათა მრეწველობას თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა მიეცეს. ერთი სიტყვით, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში მუშათა კლასს მიემხრობა გლეხობაც, მოწინავე ინტელიგენციაც და ბურჟუაზიაც⁷. თვითმპყრობელობას კი მხარს დაუჭერენ „...მარტობობოლა ჩინოვნიკები, ჟანდარმები, ხუცები, მებატონე-მემამულეები, გაუმძღარი და გაუნათლებელი ვაჭრები და ჩარჩები“⁸.

მუშათა კლასი მტკიცედ უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ იგი მეფის თვითმპყრობელობის დამხობას შესძლებს. მაგრამ მუშათა კლასმა ისიც უნდა იცოდეს, რომ „...თვითმპყრობელობა თითონ არ გაიყრის დანას ყელში, პირიქით, ის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იარაღს არ დაჰყრის, გინდ მთელი რუსეთი სისხლის ნიაღვარმა გაანადგუროს. ამიტომ, ...ხალხმა და განსაკუთრებით კი მუშათა კლასმა, თითონ უნდა იხმაროს ყოველგვარი ღონისძიება, რომ თვითმპყრობელობას ბოლო მოუღოს“⁹.

პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისათვის საჭიროა პოლიტიკური რევოლუცია. ვერავითარი რეფორმები ამ საქმეს ვერ უშველის. ეს კი, დასძენს მ. დავითაშვილი, საბოლოო ჯამში, ნიშნავს თვითმპყრობელობის რუსეთის დამხობას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას, რაც მუშათა კლასის საბოლოო მიზნის სოციალიზმის დამყარების აუცილებელი წინა პირობაა. იგი აუცილებელია იმდენად, რამდენადაც „ასეთ წესწყობილების დროს მუშა ხალხი თითონაა თავის ბატონ-პატრონი, ის ეჩვევა სათავეში დაუდგეს ყოველ საზოგადოებრივ საქმეს, სწავლობს როგორ უნდა მოაწყოს სოციალისტური შკოლა, სასამართლო, სახალხო მილიცია, —...ცდილობს კარგად და სახელმწიფოს სასარგებლოდ მოაწყოს სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი. ერთი სიტყვით, დემოკრატიულ წყობილებაში მუშათა კლასი ამზადებს ნიადაგს საზოგადოების ძირიანად გარდაქმნისათვის, ემზადება სოციალისტური რევოლუციისათვის“¹⁰.

მიხეილ დავითაშვილი მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში: სტკ-ვ-სხვა კლასების დროებით კავშირს იმდროინდელა საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური პირობებით ხსნიდა. იგი ხედავდა, რომ არსებული ცხოვრების პირობებით უკმაყოფილო იყო

⁷ წერილები ძმასთან, გვ. 44.

⁸ იქვე, გვ. 45.

⁹ იქვე, გვ. 54.

¹⁰ იქვე.

ყმა-გლეხიც, მუშაც და მეფეაბრიკეც. ამიტომ ის სრულიად სამართლიანად მიუთითებდა მუშათა კლასს თავის მოკავშირეებზე. მაგრამ მ. დავითაშვილი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა იმას, რომ ბურჟუაზიის და პროლეტარიატის კავშირი დროებითი იყო, რომ ამ კლასების დროებითი ერთიანობის იქით უმძაფრესი კლასობრივი ანტაგონიზმი იწყებოდა. ამიტომ იქ, სადაც, ერთი მხრივ, მ. დავითაშვილი მოკავშირეებზე მითითებით მხნეობასა და გამარჯვების რწმენას უნერგავდა მუშათა კლასს, მეორე მხრივ, იგი იქვე აფრთხილებდა: „მართალია, პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში ბურჟუაზიული კლასები ჩვენი მოკავშირენი არიან, მაგრამ ეს მოკავშირეები თავისებურია: ესენი არიან ჩვენი „მოკავშირე—მტრები“. ამიტომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ. რომ თუ ვინმე თვითმპყრობელობის მტერია, ეს კიდეც იმას არ ნიშნავს, რომ მას უნდა სრული დემოკრატიული რესპუბლიკა, ეს კიდეც იმას არ ნიშნავს, რომ მას ხალხის სრული თავისუფლება უნდა!“.

ბურჟუაზია არასდროს არ იქნება სრული დემოკრატიის მომხრე. იგი არასდროს არ იტყვის თავის ბატონობაზე უარს. პირიქით, მას მხოლოდ თავის ბატონობის გაფართოება სურს. ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ლიბერალური ბურჟუაზია რევოლუციურ მასებს ეყრდნობა, ამ მასებზე დაყრდნობით უპირისპირდება მთავრობას. ამიტომ იძულებულია პირველ ხანებში ხალხის ინტერესები თავის ინტერესებზე გამოაცხადოს და მერე, როგორც კი გაიმარჯვებს, ხალხს ზურგი აქციოს. ასეთი გაიძვერობა მას ბევრჯერ დაუმტკიცებია. მაგალითად, როცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მუშებს იერიში მიჰქონდა მეფის თვითმპყრობელობაზე, მაშინ ბურჟუაზიაც მხარში ედგა მათ. ამიტომ მუშები ფიქრობდნენ, რომ ყველას „... ერთნაირი ინტერესები აქვთ, ფიქრობდნენ, რომ კაპიტალისტები და მათი ინტერესების დამცველები მუშების ნამდვილი მოკავშირეები არიან და არა მოკავშირე — მტრები“¹². ამ გარემოებამ დასავლეთის მუშები შეცდომაში შეიყვანა და საკუთარი სისხლით მოპოვებული თავისუფლება დააკარგინა. „საყოველთაო თავისუფლება“ დასავლეთის ბურჟუაზიამ საკუთარ თავისუფლებად გადააქცია. რევოლუციის მონაპოვარი ბურჟუაზიამ მიითვისა.

დასავლეთ ევროპის მუშების შეცდომა რუსეთის მუშებმა აღარ უნდა გაიმეორონ. უფრო მეტიც, დასძენდა მ. დავითაშვილი, რუსეთის მუშათა კლასმა უნდა იცოდეს, რომ „... რაც გინდ სრული

¹¹ წერალები ძმასთან, გვ. 47.

¹² იქვე, გვ. 50.

პოლიტიკური თავისუფლება იყოს ის მაინც ვერ მოსპობს კლასთა ბრძოლას, იმიტომ რომ თითონ კლასები არ მოისპობიან..., ბურჟუაზია და პროლეტარიატი უწინდებურად დარჩება. ბურჟუაზია კი, რომელიც ეკონომიურად იმონავეებს მუშათა კლასს, შეეცდება პოლიტიკურადაც დაიმონოს ის¹³.

რუსეთის ბურჟუაზიამ იცის, რომ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბრძოლის არენაზე მხოლოდ პროლეტარათა კლასი და კაპიტალისტური კლასი დარჩება. ამიტომ ბურჟუაზია ყოველ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ თავისი მომავალი ბატონობა განამტკიცოს. ხელში ჩაიგდოს პოლიტიკური ძალაუფლება და მუშათა კლასი მორჩილებაში იყოლიოს. ამ მხრივ იგი უკვე შეუდგა მუშაობას. აარსებს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს და ყოველნაირად ცდილობს მუშათა კლასმა არ ისარგებლოს თავისუფლებით. ეს გარემოება გააფთრებულ ბრძოლას იწვევს მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და ბურჟუაზიულ პარტიებს შორის. „ბურჟუაზიულ დემოკრატიას პოლიტიკური თავისუფლება უნდა. იმიტომ, რომ სამუდამოდ გააბატონოს, ნიდადაგი გაუმაგროს კაპიტალისტურ წესწყობილებას; სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის კი პოლიტიკური თავისუფლება იმიტომ უნდა საჭირო, რომ მისი საშუალებით ეს პარტია უფრო ჩქარა მოუღებოს ბოლოს კაპიტალისტურ წესწყობილებას და გაამეფებს სოციალისტურ რს¹⁴.

მიხაილ დავითაშვილი პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ

1905 წლის რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია იყო. ამ რევოლუციაში პროლეტარიატმა ნათლად უჩვენა არა მარტო თავისი დამოუკიდებელი სახე და დამოუკიდებელი პოლიტიკა, არამედ ის ისტორიული როლიც, რომელსაც ის საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომ განვითარებაში შეასრულებდა. ცხოვრების ისტორიულმა განვითარებამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მამოძრავებელი ძალების ერთგვარი გადაჯგუფება გამოიწვია. ბურჟუაზიის მაგიერ რევოლუციის ჰეგემონად პროლეტარიატი გამოვი-

¹³ წერილები ძმასთან, გვ. 50.

¹⁴ იქვე, გვ. 54.

და, ხოლო მის უახლოეს მოკავშირედ რევოლუციური გლეხობა. ამ გარემოებამ კლასთა ბრძოლა კიდევ უფრო გაამწვავა. ბურჟუაზიული პარტიების ოპორტუნისტულ პოლიტიკას ფარდა ახადა და მათი რეაქციული ზრახვები ბოლომდე ამხილა.

ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზიული პარტიები და მათ შორის მენშევიკები ამტკიცებდნენ, რომ: ა) ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბელადი ყოველთვის ბურჟუაზია იყო. დღევანდელ ბურჟუაზიულ რევოლუციაშიც ჰეგემონია მას ეკუთვნის და ამიტომ ყველა რევოლუციური ელემენტი მის გარშემო უნდა ირახმებოდეს; ბ) შეიარაღებული აჯანყების გამარჯვებისას მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა არავითარ შემთხვევაში დროებით-რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობა არ უნდა მიიღონ, რადგან პროლეტარიატს არა აქვს თავისი განსაკუთრებული კლასობრივი ინტერესები.

ბოლშევიკური პარტია და მისი ბელადი ვ. ი. ლენინი პირიქით, — ბურჟუაზიული პარტიების და, კერძოდ, მენშევიკების სრულიად საწინააღმდეგო ხაზს იცავდნენ. ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე რუსეთის პროლეტარიატს აქვს თავისი კლასობრივი თვითშეგნება, თავისი საკუთარი მოთხოვნები. ყავს საკუთარი ძლიერი პარტია და ამიტომ მას შეუძლია მიმდინარე რევოლუციაში გამოვიდეს, როგორც დამოუკიდებელი კლასი. უფრო მეტიც, რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატი დღეს ვეღარ გადაიქცევა იმ ბურჟუაზიული კლასის მაჩანჩალად, რომელსაც არა თუ რევოლუციის ჰეგემონობა არ ძალუძს, არამედ პირიქით, ცარიზმის მოკავშირედაც კი გამოდის. რუსეთის დღევანდელი სინამდვილე გვიჩვენებს, რომ „დემოკრატიზმისათვის თანმიმდევარი მებრძოლი შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარიატი“¹⁵. დღევანდელ რუსეთში პროლეტარიატი არის ის ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია თავის გარშემო დარაზმოს რევოლუციური გლეხობა, ძალით დათრგუნოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგობა და გააქარწყლოს ბურჟუაზიის მერყეობა, რათა ბოლომდე გაატაროს დემოკრატიული გადატრიალება. გამარჯვებულმა პროლეტარიატმა უნდა შეჰქმნას მუშურ-გლეხური დროებითი რევოლუციური მთავრობა და ამ გზით კურსი აიღოს სოციალისტური რევოლუციისაკენ.

ერთი სიტყვით, ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის არსებული უთანხმოებანი აუცილებლობით აყენებდა მორიგი პარტიის მე-

¹⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 59.

სამე ყრილობის მოწვევის საკიროებას. რათა გამომუშავებული და მიღებული ყოფილიყო მოქმედების ერთიანი ტაქტიკური ხაზი. მართლაც, 1905 წლის აპრილში მოწვეულ იქნა რსდმპ მესამე ყრილობა; მაგრამ ამ ყრილობაზე მენშევიკები არ გამოცხადდნენ. მესამე ყრილობის პარალელურად მენშევიკებმა მოიწვიეს კონფერენცია. თავიანთ კონფერენციაზე მენშევიკებმა აღადგინეს „ეკონომისტების“ ტაქტიკური ხაზი. ბოლშევიკური პარტიის მესამე ყრილობამ პირიქით, მიმდინარე რევოლუციის ჰეგემონად სცნო პროლეტარიატი და სახელმძღვანელოდ მიიღო ლენინური ხაზი.

1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციას, რომელსაც ვ. ი. ლენინი 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების აუცილებელ წინა პირობად („გენერალურ რეპეტიციად“) თვლიდა¹⁶, დიდი აღფრთოვანებით შეხვდა მ. დავითაშვილი. რევოლუციის დაწყებისთანავე, როგორც ზემოთ ითქვა, იგი საზღვარგარეთიდან სამშობლოში დაბრუნდა და მთელი ძალით რევოლუციურ მუშაობაში ჩაება. რევოლუციის მთელ მანძილზე მ. დავითაშვილი დაუღალავად იბრძოდა არა მარტო აჯანყებული მასების პრაქტიკული ხელმძღვანელობის საქმეში¹⁷, არამედ მარქსისტული რევოლუციური თეორიის დაცვისა და გავრცელებისათვის. იგი მტკიცედ იცავდა ბოლშევიკური პარტიის როგორც სტრატეგიულ, ისე ტაქტიკურ ხაზს.

ბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ ბრძოლაში მ. დავითაშვილი პრინციპულად იცავდა პროლეტარიატის ჰეგემონის საკითხს და სრულიად მართებულად წერდა: მე-18 საუკუნის საფრანგეთის დიდ რევოლუციაში ბურჟუაზია იმიტომ გამოვიდა ჰეგემონად, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი სუსტი იყო. საფრანგეთის პროლეტარიატს იმ დროისათვის არ ჰქონდა დამოუკიდებელი პოლიტიკა და დამოუკიდებელი მოთხოვნები; არ ყავდა თავისი საკუთარი პარტია და არ გააჩნდა თავისი კლასობრივი თვითშეგნება. ამიტომ პროლეტარიატი კულში მისჩანჩალებდა ბურჟუაზიას. ბურჟუაზიაც თავის მიზნებისათვის იყენებდა მას. მიმდინარე რევოლუციაში კი საქმის ვითარება შეიცვალა. პროლეტარიატი უკვე დამოუკიდებელ კლასად გადაიქცა. პროლეტარიატს უკვე თავისი კლასობრივი თვითშეგნება, თავისი კლასობრივი ინტერესები და მოთხოვნები აქვს. ამასთან ერთად პროლეტარიატს დღეს თავისი ძლიერი პარტია ყავს და იგი

¹⁶ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 13.

¹⁷ მ. დავითაშვილის მოღვაწეობის ეს მხარე კარგად აქვს დახასიათებული ი. ზუციშვილს თავის ზემოთ დასახელებულ წიგნში.

ბურჟუაზიის მაჩანჩალად ველარ გადაიქცევა. უფრო მეტიც, „...რუსეთის პროლეტარიატმა თავის გაფიცვებით, თავის დემონსტრაციებით თავის ჩარევით ერის ყველა საქმეში“¹⁸, „...არა მარტო თავის თავი გამოაფხიზლა. არამედ, „...მთელი ერი საზოგადოდ და განსაკუთრებით გლახობა: რონელთანაც ჩამომავლობითი კავშირი აქვს“¹⁹. გარდა იმისა, რომ პროლეტარიატმა საკუთარი ბრძოლის გზით განუზომლად გაზარდა თავისი თვითშეგნება, მკვეთრად გამოკვეთა თავისი კლასობრივი ინტერესები და მოთხოვნები, მან კიდევ სხვა დიდი საქმეც გააკეთა. სახელდობრ, პროლეტარიატმა „...გაუღვიძა მთელ რევოლუციურ დემოკრატიას პოლიტიკური აზრი, გაუღვიძა თვითმოქმედების ხალისი, აღზარდა ის პოლიტიკურად“²⁰, „...და თითონვე შობა თავისი ხელმძღვანელი ძალა. „...ყველა ამით ის შეიქმნა მეთაური რევოლუციისა, მასწავლებელი რევოლუციური შეგნებისა, ოსტატი რევოლუციური ბრძოლის ხელოვნებისა“²¹.

„მენშევიკებს კი,—განაგრძობს მ. დავითაშვილი,—სიცილად არ ჰყოფნით დიდებული როლი პროლეტარიატისა დღევანდელ რევოლუციაში; მათი აზრით, ჭორია, ვითომ პროლეტარიატი დღევანდელი რევოლუციის მეთაური იყოს“²². მენშევიკები ფიქრობენ, რომ რუსეთის პროლეტარიატი წვრილბურჟუაზიული აზრებით და გრძობებით არის გაყდენილი, მას არც დამოუკიდებელი პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილება აქვს, არც ხელმძღვანელის საკმარისი კულტურული დონე, არც საკუთარი პარტია, ამიტომ სიცრუეა პროლეტარიატის ჰეგემონიაზე ლაპარაკი. ისინი დაყინებით იმეორებენ: თუ დღევანდელი რევოლუცია „...ბურჟუაზიულია, მაშინ რევოლუციის ხელმძღვანელიც ბურჟუაზია უნდა იყოს. მაშინ სოციალ დემოკრატიაც ასე შორს არ უნდა მიდიოდეს თავის პოლიტიკის დამოუკიდებლობაში და ჰეგემონია ხომ ფიქრადაც არ უნდა გაიტაროს“²³. რა გაეწყობა, წერდა მ. დავითაშვილი, „დეე, ნუ სცნობენ პროლეტარიატის დიდებულ როლს მენშევიკები, მარა მას სცნობს მსოფლიო პროლეტარიატი“²⁴. მსოფლიო პროლეტარიატი საპატიო ადგილს დაუთმობს თავის ინტერნაციონალურ ოჯახში რუსეთის იმ მუშათა კლასს,

¹⁸ გაზ. „დრო“, 1907, № 20.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე.

²¹ იქვე.

²² იქვე, № 6.

²³ იქვე, № 3.

²⁴ იქვე, № 20.

რომელიც არა მარტო მოწაფეა ევროპის პროლეტარიატის, არამედ მასწავლებელიც.

მიხეილ დავითაშვილი ბოლომდე ამხელდა მენშევიკების ოპორტუნისტულ პოლიტიკას და მათ „ეკონომისტებთან“ ნათესაობაზე მიუთითებდა. „მოიგონეთ ეკონომიზმი, წერდა მ. დავითაშვილი, რომელიც მიმართული იყო პროლეტარიატის პოლიტიკური თვითმოქმედების წინააღმდეგ“²⁵. და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენი დღევანდელი მენშევიკები სიტყვასიტყვით იმეორებენ მათ. „ეკონომისტებს“ არ სწამდა რუსეთის პროლეტარიატის შემოქმედებითი ძალა. ისინი „...თავის ევროპული განათლების სიმადლიდან არაფრად აგდებდნენ რუსეთის პროლეტარიატს, ხაზს უსვამდნენ მის სისუსტეს, არ სწამდათ მისი დიდებული როლი“²⁶... „ეკონომიზმის“ იდეური სულის ჩამდგმელები პროლეტარიატს ეუბნებოდნენ: „შენ ეკონომიურად იბრძოლე, ... პოლიტიკური ბრძოლა კი „პროგრესულ“ ბურჟუაზიას მიანებე, და შენ მას მხოლოდ მხარი დაუჭირეო. ე. ი. უბირი ენით რომ ვთქვათ, ბურჟუაზიის მაჩანჩალა კუდად გადაიქციო“²⁷. ჩვენი მენშევიკებიც ხომ ასევე იქცევიან. ისინი „...პროლეტარიატის საკუთარ პოლიტიკაზე არას ამბობენ, მაგრამ კადეტებისა და მათი მოთხოვნილებების მხარის დაჭერაზე ბევრს ლაპარაკობენ“²⁸.

ცხადია, დაასკვნის მ. დავითაშვილი, მენშევიკებმა „ეკონომისტების“ ტაქტიკური ხაზი აღადგინეს. პროლეტარიატის დიდებული როლი დაამცირეს და მისი ბურჟუაზიის მაჩანჩალად გადაქცევა მოისურვეს. მაგრამ მენშევიკებმა უნდა იცოდნენ, რომ ისევე, როგორც „ეკონომისტები“ უძლურნი აღმოჩნდნენ მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ და „უძლური წყევლა-კრულვით განშორდნენ მას..., ასევე მენშევიკებსაც თანდათან ნიადაგი ეცლება რუსეთში — შემოქმედებისათვის“²⁹. მენშევიკებმა უნდა იცოდნენ, რომ „ვიდრე სოციალდემოკრატია კიდევ არსებობს რუსეთში, კადეტებსა და მათ უანგარო მეგობრებს გაუძნელდებათ პროლეტარიატი „მესამე წოდების“ მაჩანჩალად გადააქციონ“³⁰;

²⁵ გაზ. „დრო“, 1907, № 20.

²⁶ იქვე, № 6.

²⁷ იქვე, 1907, № 6.

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე, № 3.

პროლეტარიატის ჰეგემონიის გაგონება არ სურს არც ერთ ბურჟუაზიულ პარტიას. მაგრამ პროლეტარიატის რევოლუციურმა მოქმედებამ საკმარისად დააჩქარა ისინი თავის ხელმძღვანელ ძალასა და ძლიერებაში. ამ გარემოებამ აიძულა ბურჟუაზიული პარტიები სახე ეცვალათ თავიანთ ტაქტიკისათვის. მათ ახლა „საერთო ნიადაგისკენ“ აიღეს გეზი და ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს ყველა მხრიდან გვიკიჟინებდნენ: „საერთო პლატფორმა ყველა ოპოზიციურ პარტიებთან“—წინადადებას იძლევა მცხოვანი პლებანოვი. შესდგეს საერთო კონსტიტუციონალური პარტია..., გვირჩევს დოქტორი ვასილიევი.—რესპუბლიკა ამოღებული იქნას ჩვენი პროგრამიდან, — ამბობს „ამხანაგი“ მალიშევსკი. სამივე რჩევა „გაბედული“ ლოგიკური დასკვნაა მენშევიკების მიერ „საერთო ნაციონალური ნიადაგის ძებნისა“³¹. მაგრამ ეს ცდაც დასამარცხებლადაა განწირული. რევოლუციურ პროლეტარიატს და მის პარტიას არ შეიძლება საერთო რამე ჰქონდეს იმ ბურჟუაზიულ კლასთან, რომლის „...ერთმა ნაწილმა“ დავა თვითმპყრობელობასთან პრინციპულად უკვე გაათავა და ახლა სიტყვების შადრევნები მხოლოდ ზავის უფრო სასურველ პირობებზე იხარჯება“³².

ბურჟუაზიას არ სურს რევოლუციის ბოლომდე მიყვანა. მას არ სურს პროლეტარიატის პირისპირ მარტო დარჩენა. ამიტომ ის მეფის თვითმპყრობელობის დამხობას აღარ ცდილობს. პირიქით, ბურჟუაზია თვითმპყრობელობას უკავშირდება, მასთან ჰკრავს კავშირს და რევოლუციას ებრძვის. ბურჟუაზია, რომელიც მეფის თვითმპყრობელობის პირობებში მხოლოდ თავის უფლებების გაფართოებისაკენ მიისწრაფვის, რომელიც დღედაღამ იმის ცდაშია, რაც შეიძლება მეტი კანდიდატები გაიყვანოს სათათბიროში, საერთოდ უნდა ჩამოიცილოს პროლეტარიატმა. „...პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის კავშირზე ლაპარაკი სასაცილოა და მეტი არაფერი... პირიქით, თვითმპყრობელობასა და ბურჟუაზიას შორის აქ ნამდვილი კავშირი არსებობს,... და ეს კავშირი უფრო და უფრო განმტკიცდება იმდენად, რამდენადც გამწვავდება ბრძოლა, ერთი მხრივ, პროლეტარიატს. მეორე მხრივ, ბურჟუაზიასა და თვითმპყრობელობას შორის და გადამწყვეტი ბრძოლის დროს ეს კავშირი საგრძნობელ ძალას დაუ-

³¹ გაზ. „დრო“, 1907, № 3.

³² გაზ. „ახალი ცხოვრება“, 1906, № 3.

ყენებს წინ პროლეტარიატს... ამ ძალის დასაძლევად დიდი მომზადებაა საჭირო“³³.

მუშათა პარტიის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის საერთო წინააღმდეგობის გატეხას პროლეტარიატი შესძლებს მხოლოდ მაშინ, თუ იგი ამ ბრძოლაში გაიყოლიებს გლეხობას. მართლაც, ამ ორი ძალის — მუშებისა და გლეხების შეერთებას შეუძლია მოსპოს ყოველგვარი უსამართლობა და ყოველგვარი ბოროტება, რასაც მეფის თვითმპყრობელობა და ბურჟუაზია თესავს. „და რადგან ამ მიზნის განხორციელება მხოლოდ თვით ხალხის, პროლეტარიატისა და გლეხობის ძლევა-მოსილი მოძრაობით, აქტიური ბრძოლით შეიძლება, ამიტომ ს. დ. მოვალეა ყველგან და ყოველთვის ხმა მალლა ქადაგებდეს ამ თავის უტყუარ რწმენას“³⁴.

რუსეთის რევოლუციური გლეხობა, „...რომელსაც თვითმპყრობელობამ გამოსწოვა... ყოველგვარი სასიცოცხლო ძალა, დაავალიანა, ყოველგვარი ადამიანური მოთხოვნა გაუქრო და, ... ზავოდების კარებზე დამშეულ, ... ურდოებად მიაყენა“³⁵, შინაგანად არის დაინტერესებული რევოლუციის გამარჯვებაში, ბატონყმობის პოლიტიკური ორგანიზმის მოსპობაში. მან უკვე დიდი ხანია თავის დროშას დააწერა: „მიწა ან სიკვდილი“. იგი, მართლაც, სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევა დღეს მთელ რუსეთში. ან კი როგორ შეიძლება არ იბრძოდეს, როცა მისი „... სურვილის განხორციელებას რევოლუცია ჯერაც არ მიახლოებია“³⁶...

გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებში სიახლის ნიშნები იგრძნობა. დღეს რუსეთის მთელი გლეხობა „...წინანდელზე უფრო მწყობრად და შეგნებულად გამოდის რევოლუციის სცენაზე“³⁷. იგი ახლა უფრო აქტიურად და ორგანიზებულად იბრძვის თავის კანონიერი უფლებებისათვის, მთელი მიწის ხელში ჩაგდებისათვის. მაგრამ ეს ცოტაა. რუსეთის გლეხთა ცხოვრებაში სხვა უფრო ღირსეული სიახლეც იგრძნობა. ეს სიახლე, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ „ფეტიშისტური შეხედულება გლეხისა მიწაზე ნელნელა ქრება და უფრო სადა პოლიტიკურ მსოფლმხედველობას უთმობს ადგილს“³⁸. ეს ყველაზე მისასალმებელი ფაქტია, რადგან

33 გაზ. „ახალი ცხოვრება“, 1906, № 3.

34 გაზ. „დრო“, 1907, № 31.

35 გაზ. „ახალი ცხოვრება“, 1906, № 10.

36 იქვე, № 3.

37 იქვე, № 2.

38 იქვე, № 3.

რუსეთის რევოლუციური გლეხობა თანდათან ხედება, რომ მიწების ხელში ჩაგდებისათვის საკმარისი არ არის ადგილობრივ მემამულეებთან ბრძოლა, რომ ამისათვის საჭიროა მეფის მონარქიული პოლიტიკის დამხობა.

ამასთან ერთად, წერდა მ. დავითაშვილი, გლეხობას უნდა ვავაგებოთ და მან კარგად უნდა იკოდეს, რომ თავის სანუკვარ სიზანს პროლეტარიატთან კავშირის, მისი დანხარების და მისი ხელმძღვანელობის გარეშე ვერ მიაღწევს. ხოლო იმის შემდეგ, როცა გლეხობა ამას შეიგნებს, როცა ის თავის პირველ მოთხოვნილებას („მთელი მიწა“) პროლეტარიატის პირველ მოთხოვნილებას („სრული თავისუფლება“) შეუერთებს, მაშინ ის მიიღებს იმ დიდებულ ფორმულას („მიწა და თავისუფლება“), „...რომელიც უტყუარი თავდებია რევოლუციის ბრწყინვალე გამარჯვებისა“³⁹...

„აი ვისთვის არის პროლეტარიატი საჭირო, როგორც მრავალჭირნახულევი მხედარ მთავარი, და ვინ არის საჭირო პროლეტარიატისათვის, როგორც მთავარი სიმაგრე, უდიდესი ლაშქარი“⁴⁰. აი, რატომ უნდა იღადადოს ხმამაღლა სოციალ-დემოკრატიათ „...მუშებისა და გლეხების ინტერესთა ერთიანობაზე აწინდელ რევოლუციამ“⁴¹. აი რატომ არის აუცილებელი, რომ სოციალდემოკრატიათ „...დაახლოს და დარაზმოს საერთო იერიშისათვის ეს ორი რევოლუციის მაწარმოებელი ძალა და შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყოს. რომ ერთდროულად ამოძრავდეს ქალაქის ქუჩა და სოფლის ორობე“⁴².

მაშასადამე, დაასკვნის მ. დავითაშვილი, ჩვენ, ბოლშევიკები, ვამბობთ და ყოველგვარი ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში ვამტკიცებთ, რომ „...მუშათა კლასია ერთად-ერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, ის იბრძვის თავისი შეგნებული ნაწილის, ს. დ. პარტიის მეთაურობით დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად. მან უნდა შემოიკრიბოს თავის გარშემო რევოლუციური გლეხობა და მასთან ერთად ებრძოდოს ყოველგვარ მტერს, ვინც კი ამ გზაზე ეღობება... მენშევიკები კი კადეტებთან ერთად გაიძახიან ეს აბსურდია, პროლეტარიატი თითონაც არაა ორგანიზებულად შეკავშირებული, პოლიტიკურად განათლებული და აბა გლეხობას როგორ შემოიკრებს თავის გარშემოვ“⁴³.

³⁹ გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1906, № 3.

⁴⁰ იქვე.

⁴¹ გაზ. „დრო“, 1907, № 31.

⁴² იქვე.

⁴³ გაზ. „დრო“, 1907, № 31.



მართალია, მენშევიკებს არ სწამთ რუსეთის პროლეტარიატის შემოქმედება, მაგრამ რუსეთის „პროლეტარიატი და მისი პარტია ხელაღებით შესდგა რუსეთის რევოლუციის მეთაურობის გზაზე“⁴⁴..., რამაც კიდევ უფრო გააბოროტა მენშევიკები. ამ გარემოებამ ისინი იმ უკიდურესობამდის მიიყვანა, რომ მათ „ყველაფერი უარყვეს, — პროლეტარიატის ჰეგემონიაც..., მისი პარტიაც“⁴⁵... ამჟამად „არ არის ისეთი „ღრმა“ მენშევიკი, რომელსაც თვით არსებობა სოციალდემოკრატიისა დღევანდელ ისტორიულ ხანაში „პარადოქსად“, „დიალექტიკურ“ წინააღმდეგობად არ ჩაეთვალოს. — ეს როგორი სოციალდემოკრატიაა... — გეტყვის მენშევიკი — რომ იმას ასე ხშირად უხდება გლეხებისა და მისი წარმომადგენლების გვერდით სულა? როგორი სოციალდემოკრატიაა, რომ მან გლეხობის ლოზუნგი „მიწა და თავისუფლება“ შეითვისა?“⁴⁶.

ბურჟუაზიულმა პარტიებმა, განაგრძობს მ. დავითაშვილი, და მათ შორის მენშევიკებმა კარგად იციან, თუ რას ნიშნავს პროლეტარული პარტიის გაუქმება, მათ კარგად იციან იმ პარტიის მოსპობის მნიშვნელობა, რომელიც პროლეტარიატს იცავს ბურჟუაზიის მიერ გონებრივი და პოლიტიკური დამორჩილებისაგან; მათ კარგად იციან, რომ „მხოლოდ პარტია შეაძლებინებს პროლეტარიატს მისი დიდებული ისტორიული მიზნების შესრულებას“⁴⁷. და ამიტომ, ისინი ყოველნაირად ცდილობენ, რომ ეს ბასრი იარაღი პროლეტარიატს ხელიდან გამოსტაცონ. „მაგრამ, რადგანაც ძნელი მოსალოდნელია, რომ სოციალდემოკრატია მოკრძალებით გზა დაუთმოს კონსტიტუციურ უპარტიო პარტიას და თავისი კეთილის ნებით ჩაწევა იმ საფლავში, რომელშიაც თავაზიანად იწვევენ მას ჩერევენინი. მიროვი და სხვები, ამიტომ „გამბედავი“ რაინდები ნაციონალურ ბურჟუაზიული რევოლუციისა უსასტიკეს ბრძოლას უცხადებენ სოციალდემოკრატიულ პარტიას“⁴⁸.

პროლეტარული პარტია, რომელიც თავისი კლასის მოწინავე რაზმს წარმოადგენს, არავითარ ბრძოლას არ გაურბის. პირიქით, მას ყოველგვარი წინააღმდეგობა, ყოველგვარი ბრძოლა ბოლომდე მიჰყავს. ამ ბრძოლებში მომწიფდა და ამ ბრძოლებში აამაღლა მან თავისი კლასის პოლიტიკური სიფხიზლე. „მართლაც, განა შეეძლო რუ-

⁴⁴ გაზ. „ღრო“, 1907, № 6.

⁴⁵ იქვე, № 20.

⁴⁶ იქვე, № 3.

⁴⁷ იქვე, № 13.

⁴⁸ იქვე, 1907, № 3.

სეთის პროლეტარიატს, ასე გაზრდილიყო პოლიტიკურად, ასეთი რევოლუციური როლი ეთამაშნა, თუ საკუთარი პოლიტიკური პარტია არ ჰყოლოდა?“⁴⁹... ამიტომ, ვფიქრობთ, არ ვიქნებით შემცდარი თუ ვიტყვით, „რუსეთის სოციალდემოკრატიის ისტორია — ეს რუსეთის პროლეტარიატის პოლიტიკური ზრდის და მომწიფების ისტორიაა“⁵⁰. რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია ყოველთვის შეუპოვრად ებრძოდა იმ მძიმე დაბრკალებებს, რომლებიც ამ ზრდასა და მომწიფებას წინ ეღობებოდა. სოციალ-დემოკრატიული პარტია აუცილებელი ნაყოფია მუშათა რევოლუციური მოძრაობისა და ისიც ამ უკანასკნელს ემსახურება.

მარქსი კომუნისტების ანუ სოციალდემოკრატების მთავარ დანიშნულებად თვლიდა „პროლეტარიატის კლასად გარდაქმნას“. ამისათვის „საჭირო იყო მეცნიერული, სოციალისტური აზრი მუშათა მოძრაობას ჩაჰსოვებოდა... რომ რუსეთის პროლეტარიატის „კლასად გარდაქმნა“ სწრაფი ნაბიჯით წინ გაქანებულყო“⁵¹. ჩვენი აზრით, დასძენს მ. დავითაშვილი, „არც ერთ მოწინავე ქვეყნის სოციალდემოკრატებს არ შეუსრულებია ეს ვალი ისე პირნათლად და თან ისე გაჭირვებულ პირობებში. როგორც ეს რუსეთის სოციალდემოკრატებმა მოიმოქმედა“⁵².

მიხეილ დავითაშვილი სათანადოდ აფასებდა რევოლუციური თეორიის მნიშვნელობას. იგი სიტყვასიტყვით იმეორებდა ვ. ი. ლენინის აზრს იმის შესახებ, რომ „რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც“⁵³. ამ აზრს მ. დავითაშვილი პრინციპულად იცავდა არა მარტო თავის ხელნაწერებში, არამედ გამოქვეყნებულ შრომებშიც. მაგ., გაზ. „დროში“ იგი სრულიად ხაზგასმით წერდა: „მუშათა განთავისუფლების საქმე მხოლოდ შეგნებით შეიძლება წარმოებული და შესრულებული იქნეს. იმ მუშებისაგან, რომელიც ამ საქმეს კისრულობს, მოითხოვება ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა გვესმოდეს მუშათა განთავისუფლება. და რა გზით განხორციელდება ის“⁵⁴.

⁴⁹ გაზ. „დრო“, 1907, № 20.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ იქვე.

⁵² იქვე, № 20.

⁵³ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რე. 2, ფურ. 65.

⁵⁴ გაზ. „დრო“, 1907, № 13.

ამასთან ერთად მ. დავითაშვილმა კარგად იცოდა ისიც, რომ სოციალიზმის მეცნიერულ თეორიას მთელი მუშათა კლასი ერთბაშად ვერ დაეუფლებოდა; იცოდა, რომ ჭერჭერობით ასეთი შეგნება მხოლოდ „...პროლეტარიატის მცირე ნაწილს აქვს“⁵⁵. იცოდა, რომ ეს მცირე ნაწილი იყო ის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც „თავის შეუწყვეტელი მოქმედებით პროლეტარიატის სტიქიურ ბრძოლაში ჩარევით და ხელმძღვანელობით შეგნება შეაქვს მეტსა და მეტს მასაში“⁵⁶.

ერთი სიტყვით, მ. დავითაშვილი სათანადოდ აფასებდა არა მარტო რევოლუციური თეორიის მნიშვნელობას, არამედ ამ თეორიის მასების მიერ თანდათანობით დაუფლების საქმეში პარტიის როლის საკითხსაც. მაგრამ მ. დავითაშვილი ამავე თანმიმდევრობას ვერ იჩენდა სოციალიზმის მეცნიერული თეორიის წარმოშობა-შემუშავების საკითხში.

მ. დავითაშვილი სპეციალურად ეხება სოციალიზმის მეცნიერული თეორიის საკითხს. მოყავს ამონაწერებიც ვ. ი. ლენინის შრომიდან „რა ვაკეთოთ?“, იცნობს ვ. ი. ლენინის აზრებს იმის შესახებ, რომ სოციალიზმის მეცნიერული თეორია მუშათა მოძრაობის შიგნით ვერ შემუშავდება; რომ მუშათა კლასს მარტოდენ თავისი საკუთარი ძალებით შეუძლია შეიმუშაოს მხოლოდ ტრედ-უნიონისტური შეგნება; რომ სოციალიზმის მეცნიერული თეორია საკაცობრიო აზროვნების ძირითადი გზის მიღმა ვერ აღმოცენდება; რომ აზროვნების საუკეთესო მონაბოვრის გათვალისწინება და გამოყენება შეუძლია მხოლოდ იმ მდიდარი კლასის წარმომადგენლებს. რომელთაც საამისო დროც აქვთ და მომზადებაც; რომ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები, მარქსი და ენგელსი, თვითონაც ბურჟუაზიულ ინტელიგენციას ეკუთვნოდნენ; რომ ყოველივე ამის გამო სოციალიზმის მეცნიერული თეორიის შეტანა მუშათა მოძრაობაში შეიძლება მხოლოდ გარედან და ა. შ.⁵⁷

მაგრამ მ. დავითაშვილი ბოლომდე თანმიმდევრულად ვერ იცავდა ამ თვალსაზრისს. სახელდობრ, იგი თვლიდა, რომ სოციალიზმის მეცნიერული თეორიის შემუშავება შესაძლებელია მუშათა მოძრაობის შიგნით. „ჩვენი აზრით, წერდა მ. დავითაშვილი, ... სრულიადაც არ არის დამტკიცებული, რომ „მხოლოდ და მხოლოდ თავის ძალებ-

⁵⁵ ვაზ. „დრო“, 1907, № 13.

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რვ. 2, ფურ. 65.

ბით“ მუშებს არ შეეძლოს სოციალისტურ შეგნებამდე მისვლა; გერმანიის ისტორიის მაგალითზე, მგონი, საწინააღმდეგოს მტკიცება შეიძლება; პროლეტარიატმა თავიდანვე წამოაყენა თავისი მოაზროვნეები, ამიტომ სრულიად დასაშვებია,—მარქსი და ენგელსი რომ არ წარმოშობილიყვნენ, რომელთაც, რა თქმა უნდა, დააჩქარეს მეცნიერული სოციალიზმის შექმნა, — პროლეტარიატი თავისი საკუთარი მოაზროვნეების დახმარებით შესძლებდა შეუდარებლად უფრო ხანგრძლივი ცდების შემდეგ მისულიყო სოციალიზმის მეცნიერულ თეორიამდე“⁵⁸.

მ. დავითაშვილას ხელნაწერებიდან შეიძლებოდა ეს აზრი არ წარგვეწია წინ, შეიძლებოდა ეს „საკითხის თავისთვის გარკვევად“ ჩავეთვალა, მით უმეტეს ამავე დებულების წინ იგი სრულიად საწინააღმდეგოს წერს და აღიარებს რომ „... პროლეტარიატი თავის კლასობრივი ბრძოლით არ ქმნის თავის „იდეოლოგიას“, იგი ქმნის საფუძველს“⁵⁹... და ა. შ. მაგრამ მ. დავითაშვილი ასეთ მერყეობას იჩენს არა მარტო თავის ხელნაწერებში, არამედ გამოქვეყნებულ შრომებშიც. მაგალითად, გაზ. „დროში“ წერდა: „პროლეტარული სოციალიზმი მასიური მოძღვრებაა: ის მიზნად ისახავს მთელი მუშათა კლასი, მთელი მუშები „მუშათა განთავისუფლების საქმეში“ ჩააბას... მუშათა განთავისუფლების საქმე მხოლოდ შეგნებით შეიძლება წარმოებულ და შესრულებული იქნას, ... ასეთი შეგნება პროლეტარიატის მცირე ნაწილს აქვს; და ეს შეგნება, — განმარტავს ჩვენთვის საინტერესო საკითხს, — მას დედის მუცლიდან არ დაჰყოლია, არც ზეციდან ჩამოვარდნია, არამედ ხანგრძლივი და მედგარი ბრძოლით, ბევრი გამარჯვებით და უფრო მეტი დამარცხებით, სხვა ქვეყნის მუშათა გამოცდილების სარგებლობით შეუქმნია“⁶⁰.

მაშასადამე, მ. დავითაშვილი ერთგვარ მერყეობას იჩენდა სოციალიზმის მეცნიერული თეორიის შემუშავების საკითხში; ბოლომდე ვერ ერკვეოდა საკითხის არსში და საწინააღმდეგო დებულებათა აღიარებით ეკლექტიციზმში ვარდებოდა; ყოველივე ეს კი, მისდა უნებურად, საკითხის ტრედუნიონისტული გაგებისაკენ ხრიდა მას; ამ თეორიულ დებულებაში გაურკვეველობას ხელი არ შეუშლია მინი პრაქტიკული საქმიანობისათვის. იგი მთელი არსებით იცავდა რევოლუციას და მისი გამარჯვებისაკენ მიისწრაფოდა.

⁵⁸ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რვ. 2, ფურ. 65.

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ გაზ. „დრო“, 1907, № 13.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დროს, რევოლუციის მოღუნების მიზნით, მთავრობამ გამოსცა კანონი პირველი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ. ბოლშევიკებმა ტამერფორდის კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად პირველ სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტით უპასუხეს.

მიხეილ დავითაშვილმა მტკიცედ დაუჭირა მხარი ბოლშევიკური პარტიის ბოიკოტის ტაქტიკას. მან რამდენიმე წერილი უძღვნა ამ საკითხს, სადაც იგი ხაზგასმით წერდა: დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ, კონსტიტუციური „მოღვაწეობის“ გზით, რევოლუციის ნაყოფის მოკრეფა კადეტებმა სცადეს, მათ „თავისი ხმები შეუერთეს პლეხანოვმა და ძმათა მისთა და გულუბრყვილოდ იწყეს ყვირილი: არ უნდა მოგეკიდათ იარაღისათვის ხელიო“⁶¹.

კადეტები ყოველნაირად ცდილობენ დაარწმუნონ ხალხი იმაში, რომ თითქოს „...სათათბირო კონსტიტუციური რუსეთის პირველი პარლამენტი, ... რომელიც თვითვე მშვიდობიანი გზით შეავსებს თავის უმნიშვნელო ნაკლოვანებათ, რომელიც მშვიდობიანი გზითვე ჩაიგდებს ხელში მთელი რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების საჭეს და ხელბედნიერად წარმართავს ქვეყანას, ... ამიტომ კადეტები დიდი უკმაყოფილებით უყურებენ ქუჩებს, ... მაგრამ სოციალდემოკრატია, რომელიც ამგვარ გულუბრყვილო ოპტიმიზმს პოლიტიკურ კრეტინიზმს უწოდებს, რომელმაც იცის რაშიც მდგომარეობს „კონსტიტუციის დედა აზრი“, სულ სხვა საფუძველზე ამყარებს თავის შეხედულებას სათათბიროზე. ქვეყნის ბედ-იღბლის გადასვლა წარმომადგენლობის ხელში მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა რევოლუციის სასტიკი რეგლამენტით სათათბიროს ორატორები უკან ჩამოდგებიან და ტრიბუნაზე შესდგება ქუჩა, რომელსაც სიტყვა და საქმე ერთი აქვს“⁶².

მართალია, წერდა მ. დავითაშვილი, გაიძვერა ვიტტე ცდილობდა ფიზიკური გამარჯვება მორალური გამარჯვებით დაეგვირგვინებინა. მაგრამ „...პროლეტარიატმა ბოიკოტით იხსნა რევოლუცია“⁶³, „...რევოლუციის დამარცხება კადეტებმა ვერ იზეიმეს, რადგან, საბოლოო ჯამში, მაინც მიხვდნენ, რომ „ბოიკოტი ეს თვით რევოლუციაა...“⁶⁴

⁶¹ გაზ. „ახალი ცხოვრება“, 1906, № 15.

⁶² იქვე, № 2.

⁶³ იქვე, № 15.

⁶⁴ იქვე.

რევოლუციის უკუქცევის პირობებში ბოიკოტის ტაქტიკა ბოლშევიკებმა აქტიური მონაწილეობის ტაქტიკით შეცვალეს. კერძოდ, ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს მეორე სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობა მიეღოთ, რათა იგი გამოეყენებინათ, როგორც ტრიბუნა რევოლუციური აგიტაციისათვის, რევოლუციური ძალების პროლეტარიატის ირგვლივ დარაზმისათვის, თვითმპყრობელობის და კონტრ-რევოლუციური ბურჟუაზიის მხილებისათვის. მ. დავითაშვილის ნაწერებიდან დღემდე გამოვლენილი მასალები ამ პერიოდზე კონკრეტულ ცნობას არ გვაწვდის, მაგრამ მთელი მისი პრაქტიკული მოღვაწეობა 1905—1907 წწ. რევოლუციაში გადაჭრით მიგვითითებს იმაზე, რომ იგი ამ საკითხშიაც მტკიცედ იცავდა ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკურ ხაზს.

მიხეილ დავითაშვილის რევოლუციური ალტკინება არ ცხრებოდა არც რევოლუციის დამარცხების შემდეგ. იგი ამ დამარცხებებს სამუდამო დამარცხებად არ თვლიდა და გამარჯვების უდიდესი რწმენით აღსავსე სიტყვებით მიმართავდა რევოლუციურ მასებს: „ამ ბოლო დროს გამეფებულმა და გამძვინვარებულმა რეაქციამ ააფრთოვანა და გაახარა ხალხის თავისუფლების მტრები, რომელნიც ცდილობდნენ თავიანთ დროებით გამარჯვებას, რაც შეიძლება ჯეროვანი ელფერი და სიდიადე მისცენ თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხის დაპატიმრებით, უდანაშაულო ხალხის სახლების და ქონების დაწვა-განადგურებით, გადასახადებით და სხ. და სხ. ხალხიც გატვრინდა: აქა-იქ ჩურჩულით და ხან ხმამაღლა კითხულობს — „დავმარცხდით თუ არაო?“

დამარცხებისა ეშინიან თავისუფლებისათვის ბრძოლის ველზე ახლად გამოსულ მეომარს იმიტომ კი არა, რომ თავისუფლებისათვის სიკვდილი შემადრწუნებელი იყოს იმისათვის. იმან იცის ნამდვილად, რომ მთავრობის გამარჯვება: მოსდევს ხალხის განვითარების შეფერხება და ერის უფლებების გათახსირება. მაგრამ ჩვენში ასეთი მარცხი ჯერ არ მოსვლიათ მეომრებს; ეს მხოლოდ მთავრობის უკანასკნელი სულის ამოთქმაა. სკდებიან ისინი, ვინც შეცდომით ამ დამარცხებას სამუდამო დამარცხებად სთვლიან.

ისეთი დამარცხება, როგორც ჩვენი, აუცილებელია ყველასათვის, როცა კი ხალხი ახლად გამოდის ბრძოლის ველზე. მაგრამ მაინც კიდევ გამარჯვება რჩება ხალხს“⁶⁵.

⁶⁵ გაზ. „შრომა“, 1906, № 14.

თავი მესამე

რევოლუციის დამარცხების შემდეგ შექმნილი ისტორიული პირობების მიმოხილვა

რევოლუციის გახლეჩა იდეოლოგიის დარღვი

1905—1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ რეაქციამ თავი იჩინა ცხოვრების ყველა დარგში. მეფის მთავრობა სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულ მასებს. საპყრობილეები პატიმრებით აივსო. დამსჯელი ექსპედიციები, რომელთაც მემამულეები ხელმძღვანელობდნენ, წვავდნენ და ანადგურებდნენ სოფლებს. ცარიზმი ცდილობდა რევოლუციის დამარცხება გამოეყენებინა იმისათვის, რომ ფიზიკურად მოესპო რევოლუციის ყველაზე აქტიური და შეგნებული მონაწილენი. გაბატონებულმა კლასებმა რეაქციის ძირითადი ცეცხლი პროლეტარიატის წინააღმდეგ მიმართეს. ჟანდარმერია განუწყვეტლივ ესხმოდა თავს მუშათა ორგანიზაციებს. ერთი სიტყვით, ცარიზმი მოქმედებდა, როგორც ხალხის უბოროტესი მტერი, რომელიც რევოლუციასთან ერთად სისხლში ახრჩობდა რუსეთის ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

რეაქციის წლებში ცარიზმი განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა ბოლშევიკებს. სტოლიპინის სისხლიანმა ტერორმა ათასობით გამოცდილი და გამობრძმედილი რევოლუციონერი გამოსტაცა მათ. მაგრამ რეაქციამ წელში ვერ გატეხა მუშათა რევოლუციური მოძრაობის მოწინავე რაზმი.

მენშევიკური პარტიის შემთანხმებლური პოლიტიკის წინააღმდეგ ბოლშევიკების სტრატეგიული ნაზი უცვლელი დარჩა. ისევე, როგორც წინათ, ბოლშევიკების მიზანი იყო ცარიზმის დამხობა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა, რათა შემდეგ განეხორციელებინათ სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლა. მაგრამ რეაქციის პირობებში საჭირო იყო ბრძოლის ტაქტიკისა და ხერხების შეცვლა. ლეგალური მდგომარეობიდან ბოლშევიკები არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდნენ. პარტიის ეს ტაქ-

ტიკა ითვალისწინებდა მომავალი რევოლუციისათვის მასების მომზადებას არალეგალური და ლეგალური მუშაობის შეხამების გზით.

მენშევიკები, რომლებიც სტოლიპინის რეჟიმთან შეხამებას ცდილობდნენ, სასტიკ ბრძოლას აწარმოებდნენ ბოლშევიკური პარტიის ახალი ტაქტიკური ხაზის წინააღმდეგ; უფრო მეტიც, მენშევიკთა ერთი ნაწილი აშკარად ცდილობდა მოეხდინა არალეგალური პარტიის ლიკვიდაცია და შეექმნა მუშათა ისეთი ლეგალური პარტია, რომელიც საბოლოოდ აიღებდა ხელს რევოლუციურ ბრძოლაზე. მენშევიკ-ლიკვიდატორებს უერთდებოდნენ „ოტზოვისტები“, რომელნიც მოითხოვდნენ მუშათა დეპუტატების სახელმწიფო სათათბიროდან გამოწვევას და ყოველგვარი მუშაობის შეწყვეტას ლეგალურ ორგანიზაციებში. სახელმწიფო სათათბიროდან და ლეგალური ორგანიზაციებიდან მუშათა წარმომადგენლების წასვლა კი მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიისათვის იყო ხელსაყრელი.

რეაქციამ თავი იჩინა აგრეთვე მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. მაგ., 1909 წელს კადეტური ინტელიგენციის მიერ გამოცემული კრებული „ვეხი“ აშკარად უგულვებელყოფდა ყოველივე რუსულს დ. მონურ მორჩილებას იზენდა უცხოეთისადმი. „ვეხი“ იყო რუსეთის ბურჟუაზიული ინტელიგენციის იდეური დაცემულობის და სულიერი გახრწნილობის პირდაპირი გამოხატულება.

„ვეხი“ ანუ, როგორც მას ვ. ი. ლენინი უწოდებდა, „ლიბერალური რენეგატების ენციკლოპედია“ სამ ძირითად თემას მოაკავდა: 1) ბრძოლა დემოკრატიული მსოფლმხედველობის იდეური საფუძვლების წინააღმდეგ, 2) განდგომა გამათავისუფლებელი მოძრაობისაგან და 3) ლაქიაობა ძველი, ბურჟუაზიული ხელისუფლების მიმართ¹.

„ვეხის“ მესვეურები — ნ. ბერდიაევი, ს. ბულგაკოვი, პ. სტრუვე, მ. გერშენზონი და სხვები მთელი საზოგადოებრივი მიმართულების ნამდვილ ბელადებად ასაღებდნენ თავს. „სინამდვილეში კი, — როგორც ამას სრულიად მართებულად წერს მ. ჭელიძე, — მათ ფილოსოფიაში ძველი დახავსებული იდეალიზმი იქადაგეს, მატერიალიზმის „დოგმატიზმისა“ და „მეტაფიზიკის“ წინააღმდეგ გაილაშქრეს, ხოლო პოლიტიკაში უკიდურესი რეაქციული იდეები წამოაყენეს, რითაც თვითმპყრობელობასთან მათი პოლიტიკური ერთიანობა დაადასტურეს“².

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 145—156.

² მ. ჭელიძე, მახიზმის კრიტიკა ვ. ი. ლენინის მიერ, თბილისი, 1958,

რეაქციამ განსაკუთრებული სიძლიერით იჩინა თავი იდეოლო-
გიის დარგში. მენშევიკ-ლიკვიდატორებს—ვალენტინოვს, იუშევეჩის
და სხვებს ბოგდანოვის, ბაზაროვის, ლუნაჩარსკისა და სხვების მე-
თაურობით აშკარად ამოუდგა მხარში პარტიული ინტელიგენციის
ის ერთი ჯგუფი, რომელიც არასდროს მტკიცედ არ მდგარა მარქსიზ-
მის პოზიციებზე. ეს უკანასკნელი კი მარქსიზმის ფილოსოფიური
საფუძვლების „გადასინჯვას“ შეუდგნენ. მათ ხელში მარქსიზმი,
„არასრული“ და „ნაკლოვანი“ აღმოჩნდა. ამიტომ მათ მარქსიზმის
„შეესება-შესწორება“ დაიწყეს. განსაკუთრებულ მოღაღ იქცა მარქ-
სიზმის მ ა ხ ი ზ მ ი თ შეცვლა.

მახიზმმა, გასული საუკუნის 900-იანი წლებიდან მოიკიდა რუ-
სეთში ფეხი. მაგ., ბოგდანოვმა ჯერ კიდევ 1901 წელს გამოაქვეყნა
პირველი მახისტური შრომა „შემეცნება ისტორიული თვალსაზრი-
სით“. ჩქარა ამ შრომას მოჰყვა მისი „ემპირიომონიზმი“. ბოგდანოვის
ფილოსოფიური ევოლუციის გზა წინააღმდეგობებით არის აღსავსე.
იგი ჯერ ოსტეალდის „ენერგეტიკის“ დამცველი ხდება, ხოლო შემ-
დეგ მახიზმს ლებულობს. ბოლოს ის თავის „ემპირიომონიზმით“ მა-
ხის ზოგიერთი წინააღმდეგობის დაძლევის ცდილობს, მაგრამ „ინდი-
ვიდუალური ცდის“ (მის მიერ) „კოლექტიური ცდით“ შეცვლა საქ-
მის არ შევლის და, საბოლოოდ, სუბიექტური იდეალიზმის პოზიცი-
ებზე რჩება.

ბოგდანოვის წიგნებს მოყვა უამრავი მახისტური ლიტერატურა. მა-
რტო 1908 წელს გამოქვეყნდა: ლუნაჩარსკის „რელიგია და სოცია-
ლიზმი“, იუშევეჩის „მატერიალიზმი და კრიტიკული რეალიზმი“. ბერმანის
„დიალექტიკა შემეცნების თანამედროვე თეორიის თვალ-
საზრისით“, ვალენტინოვის „მარქსიზმის ფილოსოფიური წყაროე-
ბი“ და სხვა მრავალი წიგნები და ნაკვეთები. რუს მახისტთა აი ამ
პლუადის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „ვინც ცოტათი მაინც იც-
ნობს ფილოსოფიურ ლიტერატურას, მან უნდა იცოდეს, რომ ძნე-
ლია ფილოსოფიის (და აგრეთვე თეოლოგიის) თუგინდ ერთი თანამე-
დროვე პროფესორის პოვნა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ
არ ცდილობდეს მატერიალიზმის უარყოფას“³.

მახისტებს საქართველოშიც გამოუჩნდნენ მიმდევრები. განსა-
კუთრებით გამოცოცხლდნენ ანტიმარქსისტული მიმართულების
წარმომადგენლები, ფედერალისტები. სოციალ-ფედერალისტთა ბე-
ლაღმა ა. ჯორჯაძემ ჯერ კიდევ ცხრაასიან წლებში დაიწყო ცალმხრი-
ვი ემპირიზმის იმავე სუბიექტურ-იდეალისტური აზრების ქადაგება,

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 11.

რასაც მახიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის წარმომადგენლები ქადაგებდნენ. თუმცა ა. ჯორჯაძე ამ უკანასკნელს თანამიმდევრულად ვერ იცავდა და კანტის კრიტიკული ფილოსოფიისაკენ იღებდა გეზს.

სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებიდან ებრძოდა არ. ჯორჯაძე მარქსიზმის ფილოსოფიურ საფუძვლებს და მის ძირითად ცნებებს. მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის თანახმად, წერდა ა. ჯორჯაძე, „...ერთად-ერთი საგანი, რომელიც თავის თავად, ადამიანის დამოუკიდებლად არსებობს არის მატერია (ნივთი). მატერია უტყუარი სინამდვილეა, ... ცხოვრების ძირითადი საფუძველია. მატერია სი-ცოცხლის დასაწყისია, გრძობების და აზროვნების მიზეზია. მატერია უპირობო აბსოლუტური სუბსტანციააო, ამბობენ მატერიალისტები“⁴, მაგრამ ეს არ არის ა. ჯორჯაძის აზრით მართალი. ეს არ არის მატერიის ცნების მეცნიერული განმარტება. „მეცნიერულ ცოდნას მხოლოდ ის ცოდნა შეადგენს, რომელიც ექვემდებარება განსაზღვრულ პირობებს“⁵. ეს უკანასკნელი კი სუბიექტის შინაგან ორგანიზაციაზე არის დამოკიდებული და ამიტომ მეცნიერების „...საგანი პირობითი საგანია და არა აბსოლუტური“⁶.

ადამიანს მხოლოდ იმისი ცოდნა შეუძლია, რაც მას „ცდაში“ ეძლევა, ე. ი. რასაც ის შეგრძნებისა და წარმოდგენის სახით უშუალოდ განიცდის. უშუალოდ მოცემულის იქეთ გასვლა ადამიანის გონებას არ ძალუძს. ამიტომ „...არც ჩვენი ცოდნა, არც ამ ცოდნის საგანი არ სცილდება მოვლენათა სამფლობელოს“⁷... ე. ი. „...საგანი მეცნიერული გამოკვლევებისა, ცხოვრების მოვლენაა და არა სუბსტანცია“⁸. ამავე საფუძველზე, სუბსტანციის ცნებასთან ერთად, მეცნიერებიდან „...განდევნილია აგრეთვე პირველ ყოფილი მიზეზის ცნებაც“⁹.

ერთი სიტყვით, დაასკვნის ა. ჯორჯაძე, ორივე ეს ცნება დოგმატურ-მეტაფიზიკურია. „...ორივე მცნება გამოცდილებაზე დამყარებულ ცოდნად არ ჩაითვლება და იმგვარი ცნებები კი, რომელიც ადამიანის გამოცდილების გარეშე არის, ეკუთვნის მეტაფიზიკას, ხოლო ამ მეტაფიზიკის დამამტკიცებელ საბუთს დოგმატურ საბუთს უწო-

⁴ ა. ჯორჯაძე, თხზ., წიგნი მეოთხე, გვ. 76—77.

⁵ იქვე, გვ. 77.

⁶ იქვე.

⁷ იქვე, გვ. 124.

⁸ იქვე, გვ. 77.

⁹ იქვე.

დებენ. ასე, რომ ფილოსოფიურ მატერიალიზმს აქვს დოგმატურ მე-
ტაფიზიკის ნიშნობრივი ხასიათი¹⁰.

ამ ცნებების გარკვევაში, განაგრძობს ა. ჯორჯაძე, განსაკუთრე-
ბული დამსახურება მიუძღვის „კრიტიკულ“ ფილოსოფიას. კანტის
კრიტიკულმა ფილოსოფიამ ნათელყო. რომ „ჩვენი აზრი მოვ-
ლენას, ე. ი. ჩვენი გონებით წარმოდგენილ საგანს ვერ გასცილ-
დება“¹¹. მოვლენებს კი ჩვენ ვიგებთ ჩვენი გონების შემწეობით,
ე. ი. ცოდნა, რომელიც ჩვენ გვაქვს თითონ ჩვენი გონების ნაყოფია.
„რასაკვირველია ამ ცოდნის შემუშავებისათვის საჭირო არის აგრე-
თვე საგანი, ჩვენ გარეშე მყოფი. და ეს საგანი არსებობს კიდევ,
მხოლოდ, როგორც ამ საგნის არსებითი ხასიათი, როგორც ის თა-
ვისთავად ჩვენ არ ვიცით, რადგან ჩვენი გონება საგნის არსებით-
შეგნებამდე ვერ სწვდება“¹².

კანტის კრიტიკულმა ფილოსოფიამ, დასძენს ა. ჯორჯაძე, საბო-
ლოდ უარყო, როგორც აბსოლუტური სუბიექტივიზმი, რომლის
თანახმადაც ადამიანის გონება აუცილებელი პირობაა საგანთა არ-
სებობის, ისე აბსოლუტური ობიექტივიზმი, სადაც ყოველგვარო-
ცოდნა გარეგანი საგნითაა განსაზღვრული. აბსოლუტური სუბიექ-
ტივიზმის და აბსოლუტური ობიექტივიზმის უარყოფით კანტის ფი-
ლოსოფიამ კავშირი გასწყვიტა ძველ დოგმატურ მეტაფიზიკურ სის-
ტემებთან და „...დაადგინა, რომ არც ჩვენი ცოდნა, არც ამ ცოდნის
საგანი არ სცილდება მოვლენათა სამფლობელოს, იმ მოვლენ-
ათა სამფლობელოს, რომელშიც ჩვენს გონებას წყობა და
რიგი შეაქვს და რომელთა ერთი-ერთმანეთზე დაკავშირება ისევ
ჩვენს წარმოდგენაში აუცილებლობის კანონს ექვემდებარება“¹³.

ასე რომ, კანტის კრიტიკულმა ფილოსოფიამ სულ ცოტა ორი-
რამ მაინც გამოარკვია: პირველი, საგანი ანუ მოვლენა, რომელსაც
ზედაპირულად რომ შევხედოთ, ვითომ ობიექტურად არსებობს, ფაქ-
ტიურად, ჩვენი წარმოდგენა ყოფილა. მეორე, მოვლენათა ურთიერთ
კავშირსაც ობიექტური ხასიათი არ ქონია, რადგან კავშირის ეს
ფორმა სუბიექტს, მოაზროვნე „მე“-ს მიეკუთვნება. „ამრიგად, დაას-
კვნის ა. ჯორჯაძე, ჩვენი ცოდნა, სოციოლოგიურია ის, თუ ფილოსო-
ფიური ექვემდებარება განსაზღვრულ პირობებს: იგი ეკუთვნის
მოვლენათა სამფლობელოს. ამ სამფლობელოს თავის დღეში.

¹⁰ ა. ჯორჯაძე, თბზ., წიგნი მეოთხე, გვ. 77.

¹¹ იქვე, გვ. 123.

¹² იქვე, გვ. 123.

¹³ იქვე, გვ. 124.

ვერ გადასცილდება და ამიტომ აბსოლუტურად ობიექტური არ არის; იგი ექვემდებარება მიზეზის კანონს და ამ კანონს აქვს აუცილებლობის ხასიათი. ხოლო მიზეზის კანონიც და აუცილებლობაც — ობიექტურად კი არ არსებობს, არამედ იგი ის პირობაა, ურომლოდაც საგნის ცოდნა შეუძლებელია“¹⁴.

ფაქტიურად, წერდა იქვე ა. ჯორჯაძე, ამავე თვალსაზრისის ასაბუთებს თანამედროვე ფსიხო-ფიზიოლოგია. „თანამედროვე ფსიქო-ფიზიოლოგიამ უარჰყო მონისტური ხასიათი მეტაფიზიკურ ფსიხოლოგიისა. მისი განმარტებით, არც ს უ ლ ი ა მიზეზი და დასაყრდენი ცხოვრებისა, არც მ ა ტ ე რ ი ა. ორივე ჰიპოთეზა წმინდა მეტაფიზიკური ჰიპოთეზაა და, მაშასადამე, როგორც დოგმატი მეცნიერებიდან უნდა იყოს განდევნილი,... სინამდვილეში ორივეს,... თანაბარი ადგილი უჭირავს და ერთი მეორის მიზეზად ჩათვლა შეუწყნარებელია. ამგვარია ნამდვილი მეცნიერების დასკვნა“¹⁵.

არჩილ ჯორჯაძე ამ თვალსაზრისის იცავდა არა მარტო ცხრაასიანი წლების დამდეგს, არამედ ცხრაასათიან წლებშიც. მაგ., 1908 წელს დაწერილ წერილში („ინდოეთის სიბრძნე“) იგი წერდა, რომ: „...ჩვენთვის არ არსებობს არც სუბსტანცია, არც დამოუკიდებელი „სუბიექტი“,... ჩვენთვის არსებობს მხოლოდ ის, რაც აშკარადება განიცდილებით“¹⁶.

აგრამ რით იყო განსაზღვრული „ნამდვილი მეცნიერების“ ეს დასკვნები, რომელნიც სინამდვილისა და მისი კანონზომიერების ობიექტურობას უარყოფდნენ? უპირველეს ყოვლისა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების აუცილებლობის უარყოფით. ამ ამოცანის განხორციელებას მიეძღვნა სწორედ იმ წერილების დედააზრი, რომელიც ა. ჯორჯაძემ 1901 წელს გაზ. „ცნობის ფურცლებზე“ „ისტორიული მატერიალიზმის“... სათაურით გამოაქვეყნა.

სოციალ-ფედერალისტებისა და მენშევიკ-ლიკვიდატორების გზას დაადგა აგრეთვე ზოგიერთი არამტკიცე ქართველი ბოლშევიკიც. მაგ., მახიზმის აშკარა ქადაგი იწყო ა. სვანიძემ. 1911 წელს ა. სვანიძემ „ემპირიოკრიტიციზმის“ სახელწოდებით გამოაქვეყნა წიგნი, სადაც პეტროლდის წიგნის მიხედვით რიხარდ ავენარიუსის „წმინდა ცდის კრიტიკას“ ალაგებდა.

ამ პატარა წიგნაკის წინასიტყვაობაშივე ა. სვანიძე თავგამოდებით იცავდა მახისტურ იდეებს და წერდა: „რაც შეეხება ემპირიო-

¹⁴ ა. ჯორჯაძე, თხზ., წიგნი მეოთხე, გვ. 124.

¹⁵ იქვე, გვ. 78—79.

¹⁶ იქვე, წიგნი მესამე, გვ. 54.

კრიტიციზმის ვითომ-და სოლიფსიზმს ეს. ჩემის აზრით. ზეპირა ბრალდებაა¹⁷. მაგრამ ამის მიუხედავად მანისზმის მარქსიზმთან შეერთება არ შეიძლება. ეს უბრალოდ შეუძლებელია იმის გამო, რომ მარქსიზმი საერთოდ არ არის ფილოსოფიური სისტემა.

ა. სვანიძე კანტის ფილოსოფიისაკენ იღებდა გეზს და თვლიდა, რომ ჩვენი ადამიანური გონება ქმნის არა მარტო ყოველგვარ ცოდნას, არამედ ცოდნის საგანსაც. „როცა ჩვენ წინ მოვლენათა მთელი ჯგუფია, წერდა იგი, მაშინ ჩვენ ვცდილობთ რაიმე წესრიგი შევიტანოთ მასში, დაუქვემდებაროთ იგი რაიმე კანონს და მით იგი შემეცნების ობიექტად გავხადოთ. ის, რაც განუსაზღვრელია, რაშიც ჩვენი კანონიერების ნასახსაც ვერ ვპოულობთ, მუდამ გაუგებარი დარჩება ჩვენთვის“¹⁸.

ერთი სიტყვით, მარქსიზმის, როგორც ფილოსოფიური სისტემის უარყოფა მთელი მაშინდელი ბურჟუაზიული პრესის ერთ-ერთ ძირითად დებულებად გადაიქცა. ეს საკითხი კარგად არის გაშუქებული ჩვენს მარქსისტულ ლიტერატურაში¹⁹; ამიტომ ამ საკითხის განხილვას აღარ შევუდგებით.

მარქსიზმის სიწმინდის დასაცავად უდიდესი ბრძოლა დასჭირდა ბოლშევიკებს. ჯერ კიდევ 1908 წელს „გოლოს სოციალ-დემოკრატა“-ში პლენანოვმა რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა ბოგდანოვის წინააღმდეგ. პლენანოვის ეს წერილები, რომლებიც შემდეგ „მებრძოლი მატერიალიზმის“ სახელწოდების ქვეშ იქნა გაერთიანებული, მართალია, არათანმიმდევრულად, მაგრამ მაინც ამხელდნენ ბოგდანოვის მოძღვრების სუბიექტურ-იდეალისტურ არსს.

ბოგდანოვი დროულად იქნა გაფრთხილებული ვ. ი. ლენინის მიერაც, მაგრამ იგი საბოლოოდ განუდგა მარქსიზმს და პარტიული პრესის ფურცლებზე ღია დისკუსიის გახსნა მოითხოვა. ბოგდანოვს, რომელსაც სხვა მომხრეებთან ერთად ზოგიერთი ქართველი სოციალ-დემოკრატიც უთანაგრძობდა²⁰, ვ. ი. ლენინმა საშუალება არ მისცა მასების ყურადღება პოლიტიკური საკითხებისაგან ჩამოეცილებინა

¹⁷ ა. სვანიძე, ემპირიოკრიტიციზმი, 1911, გვ. V.

¹⁸ იქვე, გვ. 4.

¹⁹ ლ. გორგილაძე, იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში, თბილისი, 1963, გვ. 132—169; А. Шерозия, Философская мысль в Грузии в первой четверти XX века, Тб., 1960, გვ. 76—186 და სხვ. ✓

²⁰ ვ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, გვ. 161—176.

და პარტიული პრესის ფურცლებზე ფილოსოფიური დისკუსია გაეშალა.

ცენტრში მომხდარი უთანხმოების შესახებ მაშინვე შეუტყვიათ ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებს. როგორც ეს ს. შაუმიანის წერილებიდან²¹ და სხვა მიმოწერებიდან ჩანს მათ დაუგმიათ ბოგდანოვის პოზიცია და მოუწონებიათ ბოლშევიკური პარტიის ლენინური ხაზი.

რეაქციის წლებში შექმნილმა ასეთმა ვითარებამ ბოლშევიკური პარტიის წინაშე აუცილებლობით დააყენა მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლების დაცვის ამოცანა. ამ ამოცანის შესრულებას ხელი მოკიდა მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა. თავის გენიალურ ნაწარმოებებში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ვ. ი. ლენინმა არა მარტო ბოლომდე ამხილა მახიზმის გნოსოლოგიური ფესვები და კლასობრივ-რეაქციული არსი, არამედ ვ. ენგელსის შემდეგდროინდელი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მონაპოვარიც განაზოგადა.

მიხვილ დავითაშვილის ხელნაწერი ტექსტის დადგენისათვის

ვ. ი. ლენინის წიგნმა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ დიდი აღშფოთება გამოიწვია რუს მახისტ-ლიკვიდატორთა წრეებში. მ. ბულგაკოვის, ი. ა. ილინის, ლ. ი. აქსელროდის და სხვათა უარყოფით რეცენზიებს უარყოფითი რეცენზიები მოყვა. მახისტები არ ცხრებოდნენ.

ვ. ი. ლენინის წიგნზე „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ თავდასხმის ასეთივე ფაქტია ასახული მ. დავითაშვილის ფილოსოფიური ხელნაწერების მეორე რეეულის 83, 84 და 85-ე ფურცლებზე. ამ ფურცლებზე მოთავსებულია ამონაწერები ვინმე (?) ნ. ო.-ს სტატიიდან. როგორც მეორე რეეულის 93-ე ფურცლიდან ვტყობილობთ ეს ამონაწერები მ. დავითაშვილს გაუკეთებია რომელიღაც „კრებულიდან“. 93-ე ფურცელზე, ანუ თავის მეორე ფილოსოფიური წერილის დასაწყისში მ. დავითაშვილი სიტყვასიტყვით წერს, რომ „ჩვენი კრებულის ფურცლებზე გამოქვეყნდა ნ. ო.-

²¹ С. Г. Шаумян, Избранные произведения, М., 1957, т. I, 267—269.

სტატია“²²; დღემდე ეს „კრებული“ მიგნებული არ არის და ვერც ნ. ო.-ს პიროვნების დადგენა მოხერხდა²³.

მართალია, ნ. ო.-ს სტატიიდან მ. დავითაშვილის მიერ 83.84 და 85 ფურცლებზე გაკეთებული ამონაწერების წინა ფურცლები დაკარგულია, მაგრამ დარჩენილი სამი ფურცელიც სრულიად ნათლად გვიჩვენებს იმას, რომ ნ. ო.-ი სიტყვასიტყვით იმეორებს მახიზმის ძირითად დებულებებს. მაგ., ნ. ო.-ს აზრით მარქსიზმი შეიცავს რამდენიმე დოგმატურ დებულებას. ასეთ დებულებებს მიეკუთვნება, მისი აზრით, ფილოსოფიის ძირითადი საკითხის და ამ საკითხის მეორე მხარის მარქსისტული გადაწყვეტა. არც ერთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებას, წერს ნ. ო.-ი, ჯერჯერობით არ დაუმტკიცებია ის, რომ „აზროვნება მატერიის განვითარების პროდუქტია“. ამ აზრს სრულიად დოგმატურად დებულობს მარქსიზმი. ასევე დოგმატურია ის აზრი, თითქოს ჩვენი აზროვნება „საგნობრივ კეშმარიტებას“ ასახავდეს.

თუ საკითხი უბრალოდ ისე დაისმის, განაგრძობს ნ. ო.-ი, რომ ჩვენი შემეცნების გრძნობად სფეროში ყოველგვარი ობიექტი გამოცხადდება ფიზიკურად და ფსიქიკურად. მაშინ პირველადობის საკითხი თავისთავად მოიხსნება და უაზრო გახდება. ხოლო თუ ამასთან ერთად ფიზიკურისა და ფსიქიკურის „უბრალო კეშმარიტებასაც ვაღიარებთ“, მარქსიზმის მეორე დოგმაც მოიხსნება და აღარც „აზროვნების საგნობრივი კეშმარიტების“ საკითხი დაისმის. ეს აღმოჩენა ეკუთვნის მახიზმს. ამ უკანასკნელით უნდა შეივსოს და განიკურნოს მარქსიზმი.

მახისტური ფილოსოფიის თანახმად, წერს ნ. ო.-ი, სამყაროს ელემენტები, ნეიტრალურ-იგივეობრივნი არიან. ისინი მხოლოდ იმ კავშირის ფორმით განსხვავდებიან, რომელ მიმართებაშიაც ჩვენ მათ ვიხილავთ. ეს კი არავითარ საფუძველს არ გვაძლევს იმისათვის, რომ მახი, იუმი და ბერკლი ერთ ჯგუფში მოვათავსოთ. და არც ლენინი არ არის მართალი, როცა მახს მიაწერს—„სხეულები შეგრძნებათა კომპლექსებია“, ანდა „სამყარო შედგება შეგრძნებისაგან“²⁴.

²² სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რე. 2, ფურ. 93.

²³ 1960 წლის „ვოპროსი ფილოსოფიის“ მეოთხე ნომერში მ. კილაბერიას აქვს გამოთქმული აზრი, რომ „ნ. ო.-ი არის დ. ონიანი“²⁴, მაგრამ სტატიიდან არ ჩანს რას ეყრდნობა ეს მტკიცება.

²⁴ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რე. 2, ფურ. 83—85.

ასეთი „კრიტიკოსებისა“ და უარყოფითი რეცენზიების საპასუხოდ ვ. ი. ლენინს ახალი წიგნის დაწერა არ დაჭირვებია, რადგან მისი შრომა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ თითონვე ამხელდა ასეთი კრიტიკის უსაფუძვლობას. მაგრამ ადგილებზე მტკიცე მარქსისტ-ლენინელები სასტიკად ებრძოდნენ მახისტთა ასეთ გამოხდომებს. ა. ბრძოლის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მ. დავითაშვილის ხელნაწერების მეორე რეველის 85—92 და 93—105-ე ფურცლებზე მოთავსებული სტატიები, რომელიც მან ნ. ო.-ს ზემოთ აღნიშნულ სტატიას დაუპირისპირა.

მიხეილ დავითაშვილის ორივე ეს სტატია მოთავსებულია ნ. ო.-ს სტატიიდან გაკეთებული ა მ ო ნ ა წ ე რ ე ბ ი ს შემდეგ და ამ „ამონაწერების“ სრულ დაპირისპირებას წარმოადგენს. ამ ფაქტის უდავო დამადასტურებელია, უპირველეს ყოვლისა, მ. დავითაშვილის აღნიშნული სტატიების შინაარსი, ხოლო შემდეგ 93—105-ე ფურცლებზე მოთავსებული მეორე სტატიის ის დასაწყისი, სადაც მ. დავითაშვილი წერს: „ჩვენი კრებულის [ფურცლებზე]“²⁶ გამოქვეყნდა ნ. ო.-ს სტატია, რომელიც მიძღვნილია დიალექტიკური მატერიალიზმის [საკითხებ]ისადმი. [როგორც] სტატიიდან ჩანს [ავტორი] მარქსიზმის იმ [?] კრიტიკოსებს არ ეკუთვნის, რომელნიც [მარქსიზმზე] სხვანაირად არ ლაპარაკობენ, თუ არა დიდიხნის წინეთ დასამარებულზე, ... თავის სტატიის დასასრულს ნ. ო.-ი ლაპარაკობს მარქსიზმის „მისთვის ძვირფას არსზე“, თუმცა იგი არ გვიხსნის, რომელია ეს ძვირფასი არსი, ... ხოლო, თუ ამასთან ერთად ნ. ო.-ი დამწუხრებული არ არის მისთვის ძვირფასი არსის ავადმყოფობით ეს იმიტომ, რომ მან იცის, მისი მკურნალობის საშუალება, ეს საშუალებაა—მარქსიზმის მახიზმთან შეერთება მაგრამ ვნახოთ რამდენად სწორია მისი დიაგნოზი მარქსიზმის ავადმყოფობის შესახებ და რამდენად გონივრულია ის საშუალება, რომელსაც ის მარქსიზმის სამკურნალოდ გვთავაზობს“²⁶.

ამის შემდეგ მ. დავითაშვილი გადადის ნ. ო.-ს სტატიის დეტალურ განხილვაზე და სასტიკად აკრიტიკებს მას. უნდა ითქვას, რომ მახიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმ ქართველ სოციალ-დემოკრატებთან ერთად, რომელნიც მტკიცედ იდგნენ მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებზე, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის მ. დავითაშვილს. მ. დავითაშვილის ეს განსაკუთრებული დამსახურება მდგო-

²⁶ ევლარატულ ფრჩხილებში — ჩვენ მიერ აღგვნილი სიტყვებია—ფ. ნ.

²⁶ სკვპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რვ. 2, ფურ. 93.

მარეობს იმაში, როგორც ამას. დღემდე გამოვლენილი და შესწავლილი მასალები გვიჩვენებს, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლენინური სკოლის იმ წარმომადგენლებიდან, რომელნიც მზად იყვნენ „ჭრილობები მიეღოთ მარქსისა და ლენინის მოძღვრების დასაცავად“, მაზიზმის სისტემატური წესით კრიტიკა მხოლოდ მან სცადა.

და აი ამისათვის, რომ უკეთესად ნათელვყოთ მ. დავითაშვილის ბრძოლა მაზიზტური ფილოსოფიის წინააღმდეგ, ჩვენ ჯერ, მოკლედ, მაზიზტური ფილოსოფიის წყაროებსა და პრინციპებს წარმოვადგენთ, ხოლო შემდეგ მ. დავითაშვილის ბრძოლას ამ უკანასკნელის წინააღმდეგ.

მახისტური ფილოსოფიის წყაროები და პრინციპები

ჯონ ლოკის ეპიკურიზმი

არსისა და აზრის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი, რომლის თავისებური გადაწყვეტა ერთიმეორისგან პრინციპულად მიჯნავს იდეალიზმსა და მატერიალიზმს, ფილოსოფიის ყველა კონკრეტული საკითხის გადაწყვეტაში იჩენს თავს. იგი თავს იჩენს შეგრძნების საკითხშიც. შეგრძნების განმარტებიდან იწყება მატერიალისა და იდეალურის ურთიერთ სუბსტანციონალური განსაზღვრის დადგენა და ყველა დანარჩენი ფილოსოფიური პრობლემის მატერიალისტური ან იდეალისტური გადაწყვეტა. შეგრძნების ინტერპრეტაციაში დაშვებულ არათანმიმდევრობას მხოლოდ დუალიზმამდღე (კანტი) და, საბოლოო ჯამში, იდეალიზმამდღე მიეყავართ.

ახალ დროში შეგრძნების მატერიალისტური ინტერპრეტაცია ემპირიზმის წარმომადგენლებმა (ბეკონი, პოპსი, ლოკი) აწარმოებს. ამ მხრივ განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ფრენსის ბეკონს (1561—1628). ბეკონის მოძღვრების თანახმად გრძნობები უტყუარ ცნობებს გვაწვდიან და ყოველგვარი ცოდნის წყაროს წარმოადგენენ. მარქსი და ენგელსი ბეკონს თვლიდნენ არა მარტო ინგლისური მატერიალიზმის ფუძემდებლად, არამედ ექსპერიმენტალურ მეცნიერებათა ფუძემდებლადაც¹.

ბეკონი პირველი იყო, რომელმაც თავისი „ახალი ორგანოთი“ აღმავალი ბურჟუაზიის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სცადა და მთელი თავისი ინდუქციური მეთოდი, შუასაუკუნეებში სქოლასტიკურად დამახინჯებულ, არისტოტელეს დედუქციური ლოგიკის კრიტიკაზე დააფუძნა. მაგრამ თავის ეპოქის ჩარჩოებში მოქცეულმა ბე-

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., изд. 2-е, Москва, 1955, т. 2, 83-142.

კონმა აზროვნების მეტაფიზიკურ წესს თავი მაინც ვერ დააღწია და ცალმხრივი ემპირიზმის პოზიციებზე დარჩა.

ბეკონის იდეათა თავისებური სისტემატიზაცია მოახდინა ჰობსმა (1588—1679), მაგრამ გრძნობადი სამყაროდან შეგვრძნების წარმოქმნის პრინციპი არც მას დაუსაბუთებია. ამ უკანასკნელის გაკეთება წილად ხვდა ჯონ ლოკს (1632—1704).

ახალი დროის მატერიალისტურმა ემპირიზმმა თავის უმაღლეს განვითარებას ჯონ ლოკის ფილოსოფიაში მიაღწია. ლოკი მატერიალისტური ემპირიზმის კლასიკური წარმომადგენელი და მამამთავარია. მან თავის ძირითად ნაწარმოების („ცდა ადამიანური გონების შესახებ“) პირველ წიგნში უარყო დეკარტის თანდაყოლილი იდეები და ყოველგვარი შემეცნების საგნად გარეგანი სამყარო გამოაცხადა. ლოკის აზრით არ არსებობს არავითარი თანდაყოლილი იდეა. ყოველგვარი იდეა, რომელიც კი ჩვენში არსებობს, შეგვრძნების გზითაა მიღებული. ჩვენს გონებაში არ შეიძლება ისეთი რამე არსებობდეს, რაც შეგვრძნებაში არ ყოფილა. იდეები ისე მოედინებიან გარეგანი სინამდვილიდან ჩვენში, როგორც ფანჯრებიდან სინათლე ოთახში.

თანდაყოლილი იდეები რომ არსებობდნენ, აყენებს არაგუმენტებს ლოკი, მაშინ ბავშვებმაც უნდა იცოდნენ რაიმე მათ შესახებ, ხოლო თუ იტყვიან, რომ იდეები იღვიძებენ ჩვენს განსჯასთან ერთად, მაშინ თანდაყოლილი იდეები სხვა იდეებისაგან არაფრით განსხვავებულან, რადგან ისინიც განსჯით ცნებებთან (იდეებთან) ერთად წარმოიქმნებიან. იდეები ან მთლიანად თანდაყოლილი უნდა იყოს, ან შექმნილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთ-ერთი მხარე აუხსნელი რჩება.

ამავე შრომის მეორე წიგნში ლოკს ნაჩვენები აქვს იდეათა წარმოქმნის ცდისეული გზა. ლოკის აზრით ყოველგვარი იდეა ჩვენში წარმოიქმნება შინაგანი (რეფლექსიის) და გარეგანი შეგვრძნებების გზით². შეგვრძნების გზით ერთეული იდეები შემოდის ჩვენს გონებაში და პირველად ისინი იკავებენ ცარიელ ადგილებს. შემდეგ, განაგრძობს ლოკი, ჩვენი გონება აბსტრაქციას ახდენს და თანდათან ეჩვევა მათი საერთო სახელით ხმარებას³. მაგრამ ჩვენი გონების შემეცნებითი ძალა საგანთა მთელი მოცულობით ათვისებისათვის საკმარისი არ არის⁴.

² Дж. Локк. Избранные философские произведения, Москва, 1960 гб. 128.

³ იქვე, გვ. 82.

⁴ იქვე, გვ. 73—74.

მაშასადამე, აქედან ცხადია, რომ ლოკს, რომელსაც უდიდესი დამსახურება მიუძღვის დეკარტეს თანდაყოლილი იდეების კრიტიკის საქმეში, თვითონაც ქონდა ხარვეზები. სახელდობრ: ა) შემეცნების პროცესი ლოკს წარმოდგენილი და განხილული ჰქონდა მექანიციკურად, რაც იმაში გამოიხატება, რომ „შეგრძნებათა გზით მიღებული ერთეული იდეები ჩვენს გონებაში ისე იკავებენ ცარიელ ადგილებს“, როგორც ტრანსპორტში მგზავრები სკამებს. ბ) ლოკი შემეცნებას იხილავს არა სოციალურ-ისტორიულად, არამედ ინდივიდუალური ადამიანის ცნობიერების ევოლუციის გზით. გ) თუ შეგრძნებებს, როგორც ლოკი წერს, მხოლოდ ერთეული იდეები შემოყავს ჩვენში, მაშინ მათგანი ზოგადი არასდროს არ მიიღება. დ) აბსტრაქციას ლოკთან ობიექტურად არსებულ ზოგადთან კი არ მივყავართ, არამედ ცარიელ სახელთან (ნომინალიზმი). ე) ლოკის იმ აზრს, რომ თითქოს ჩვენი გონების შემეცნებითი ძალა საგანთა მთელი მოცულობით ათვისებისათვის საკმარისი არ არის — პირდაპირი გზით მივყევართ აგნოსტიციზმისა და სკეპტიციზმისაკენ, რაც მის ფილოსოფიაში განუვითარებელი სახით დარჩა.

ცხადია, ცალმხრივი ემპირიზმის პოზიციებიდან ლოკს მატერიალისტური კონცეფციის თანმიმდევრული გატარება არ შეეძლო; ცალმხრივი ემპირიზმი შინაგანი აუცილებლობით მიდის არა მატერიალიზმთან, არამედ აგნოსტიციზმთან და, მაშასადამე, იდეალიზმთან. ამ უკანასკნელს გარკვევით ამქლავნებს ის კითხვა, რომელიც ცალმხრივი ემპირიზმის თანამიმდევრულად განვითარებული სისტემის დასასრულს აუცილებლობით აღიმართება: თუ ყოველგვარი ცოდნა ცდის საფუძველზე მიიღება, მაშინ მიზეზის შესახებ საიდან ვიცით რაიმე?

ეს სიძნელე დიდხანს დარჩა სიძნელედ. იგი მხოლოდ მარქსისტულმა ფილოსოფიამ გადაწყვიტა შემეცნების თეორიაში პრაქტიკის შეპოტანით. ცხადია, ამ სიძნელის არა თუ გადაწყვეტა, არამედ დანახვაც კი ლოკისათვის ძნელი იყო, რადგან მისი ფილოსოფია თითონ იყო იმ ლოგიკურად დასრულებული ფილოსოფიური მოძღვრების გამოსავალი წყარო, სადაც ეს სიძნელე ნათელი და გასაგები გახდა. ლოკმა მხოლოდ მოამზადა ყოველივე ეს და მთელი თავისი ფილოსოფიით, განსაკუთრებით კი საგანთა თვისებების ორ რიგად დაყოფით, მე-18 საუკუნის ფრანგული მატერიალიზმის გვერდით, დასაბამი მისცა უკიდურეს სუბიექტურ იდეალიზმს.

სუბიექტური იდეალიზმის კლასიკურმა წარმომადგენელმა ჯორჯ ბერკლიმ (1685—1753) თავის ფილოსოფიის გამოსავალ წერტილად ლოკის ფილოსოფიიდან საგანთა მეორადი თვისებების სუბიექტურობა აიღო და თავის ფილოსოფიური მოღვაწეობის ძირითად მიზნად მატერიალური სუბსტანციის უარყოფა დაისახა; ამ მიზნით თავის მთავარ შრომაში „ტრაქტატი ადამიანური ცოდნის საწყისების შესახებ“, უპირველეს ყოვლისა ზოგადის უარყოფა სცადა⁵.

ზოგადი რომ არსებობდეს, წერს ბერკლი, მაშინ ის ერთდროულად, ერთსა და იმავე მიმართებაში, ისეთი უნდა იყოს, როგორც ყველა ის ცალკეული საგნები და მოვლენები არიან, რომელთაც ჩვენ ყოველდღიურად, ყოველ წუთს ვხვდებით. მაგ., ზოგადი ადამიანი რომ არსებობდეს, იგი ერთდროულად უნდა იყოს მაღალიც, დაბალიც, მოხუციც, ახალგაზრდაც, თეთრკანიანიც, შავკანიანიც და სხვ., მაგრამ ასეთი ადამიანი არ არსებობს. ასევე ითქმის ყველა სხვა საგანზე. მაგ., სამკუთხედი რომ საერთოდ, ზოგადი სახით არსებობდეს, იგი უნდა იყოს სწორკუთხაც, ბლაგვეკუთხაც და სხვა, მაგრამ ასეთი სამკუთხედი არავის უნახავს და არც შეიძლება რომ ენახა, რადგან სინამდვილეში ასეთი ზოგადი სამკუთხედი არ არსებობს. იგივე ითქმის მატერიალურ სუბსტანციაზე; მატერია რომ ზოგადი სახით არსებობდეს, იგი ერთდროულად უნდა იყოს ხეც, ქვაც, წყალიც და ა. შ., მაგრამ ასეთი მატერია არავის უნახავს. ეს კი იმის დამადასტურებელია, დაასკვნის ბერკლი, რომ მატერია ზოგადი სახით არ არსებობს, ხოლო მატერიალიზმი მთელი თავისი შენობით ასეთ მცდარ აზრს ემყარება⁶.

სენსუალიზმის პროზიციებიდან ეს სრულიად გასაგებია: სენსუალისტიკისათვის გრძნობად საგნების უშუალო აღქმის იქით არაფერი არ არსებობს. ხოლო, თუ თავის არსებობის გამართლება სურს რაიმეს, მაშინ ის ისეთივე გრძნობადი სახით უნდა წარმოსდგეს, როგორც ყველა სხვა ერთეული საგანი. მაგრამ ბერკლი ანგარიშს არ უწევს თავისი მოთხოვნის იმ უაზრობას, რომ ასეთი ზოგადი, ზოგადი კი არა, ერთეული იქნება, მაშინ, როდესაც ზოგადი თვით ერთეულში და ერთეულის საშუალებით არსებობს, როგორც ამ უკანასკნელის არსება. ბერკლი ზოგადის ბუნებას კი არ არკვევს, არამედ

⁵ Дж. Беркли, Трактат о началах человеческого знания, С.-Петербург, 1905, стр. 35—38, § 7, 8, 9; гл. 44—46, § 13.

⁶ იქვე, გვ. 66, 9; გვ. 77, § 23, გვ. 85, § 35.

მის არსებობას უარყოფს იმ მოტივით, რომ ის „წმინდა“ გრძნობადი სახით არ არსებობს. მან არ იცოდა, რომ „წმინდა“ სახით აღებული ზოგადი თავისთავის ისეთივე უარყოფაა, როგორც „წმინდა“ სახით აღებული ერთეული. ამ გზით განხილული ყოველი მოვლენა თავის საწინააღმდეგოში გადადის.

ზოგადის „უარყოფის“ შემდეგ ბერკლი ერთეულის უარყოფას იწყებს. ერთეული, სასრულო საგნები მისთვის თვისებათა ჯამია. ბერკლის აზრით საგანი თავის თვისებებზე უნაშთოდ იშლება, ე. ი. საგნის თვისებების იქით არაფერი ისეთი არ რჩება, რომელიც შეიძლება სუბსტანციად გამოდგეს. საგანთა თვისებების ბუნება პირდაპირ არის დამოკიდებული სუბიექტზე. მაგალითად, ფერი, სუნი, გემო და სხვა საგნის თვისებები კი არ არის, არამედ ჩვენი შეგრძნებებია. მაშასადამე, დაასკვნის ბერკლი, არ არსებობს არც ერთეული საგნები. ის, რასაც ჩვენ საგნებს ვუწოდებთ, თვისებათა უბრალო ჯამია, ხოლო საგანთა თვისებები იგივე ჩვენი შეგრძნებებია. ერთი სიტყვით, იმას, რასაც ჩვენ საგნებს ვუწოდებთ, მხოლოდ ჩვენი შეგრძნებათა ჯამია, ჩვენი შეგრძნებათა კომპლექსია⁷.

ბერკლის აზრით, აღმქმელის და აღქმის მიღმა არაფერი არ არსებობს. რაიმეს არსებობა და აღქმა ერთი და იგივეა — *esse est percipi*⁸. ყველაფერი არის „მე“. შეგრძნება და შეგრძნების წყარო ერთი და იგივეა. მათი ურთიერთ გამოყოფა არ შეიძლება.

ბერკლის ფილოსოფიის ეს სუბიექტურ-იდეალისტური დასკვნები სიტყვასიტყვით გაიმეორეს მახმა და მახისტებმა. მაგრამ იმას, რასაც 200 წლის შემდეგ მახი და მახისტები ვერ მიხვდნენ, თითონ ბერკლი მიხვდა. იგი მიხვდა, რომ მატერიალური სუბსტანციის „უარყოფით“ პლურალიზმი მიიღო და შემდეგი სიძნელის წინაშე დადგა: თუ სინამდვილე, თავისი მრავალფეროვნებით, მართლაც, მხოლოდ სუბიექტის აღქმაში არსებობს, თუ, მართლაც, აღქმა და სინამდვილე ერთი და იგივეა, მაშინ, სინამდვილე ხომ იმდენივე უნდა იყოს, რამდენიც აღმქმელია. ყოველივე ეს კი ნიშნავს იმას, რომ ცალ-ცალკე არსებულ აღმქმელ-სუბიექტებს ერთიმეორის შესახებ არაფერი ეცოდინებათ.

ასეთი სიძნელეები ბერკლის ფილოსოფიიდან, მართლაც, გამომდინარეობდა, რაც მის მხრივ მოვლას საჭიროებდა. ამისათვის კი მას მხოლოდ ერთი გზა ჰქონდა დარჩენილი, სახელდობრ: ბერკლი იძულებული იყო აბსოლუტური თვითგანსაზღვრულობა წაერთმია

⁷ Дж. Беркли, *დასახ. შრომა*, გვ. 81—84, § 29, 30, 33, 34.

⁸ იქვე, გვ. 62, § 3.

სუბიექტისათვის და მიეწერა ღმერთისათვის. ბერკლი ასეც მოიქცა⁹. მაგრამ ამით არა თუ არ გასწორდა ბერკლის ფილოსოფიიდან გამომდინარე წინააღმდეგობანი, არამედ პირიქით, იგი ახალ წინააღმდეგობათა ქსელში გაეზა. ის, რაც, მატერიალური სუბსტანციის სახით, უარყოფის საგანი იყო ბერკლის ფილოსოფიის დასაწყისში, იდეალური სუბსტანციის (ღმერთის) აღიარებით — მტკიცების საგანი შეიქმნა ბოლოში.

ერთი სიტყვით, ლოკიდან მომდინარე ემპირიზმის გამოსავალ დებულებებს ბერკლიმ სუბიექტურ-იდეალისტური მიმართულება მისცა, მატერიალური სუბსტანცია იდეალური სუბსტანციით შეცვალა და თავისი ფილოსოფიის შინაგანი წინააღმდეგობებით ნიადაგი მოამზადა ცალმხრივი, სუბიექტურ-იდეალისტური ემპირიზმის ლოკიკური დასრულებისათვის. რისი გაკეთებაც წილად ხვდა იუმს.

იუმის სამატიციზმი

დავით იუმი (1711—1776) ცალმხრივი, სუბიექტური ემპირიზმის განვითარების გზაზე იმ მრავალმხრიობათა ზოგადგამაერთიანებელი ფილოსოფიის შექმნელია, რომლის მოძღვრებაშიც, ერთი მხრივ, ლოკიდან გამოსულმა ბერკლის სუბიექტურმა იდეალიზმმა პაოვა რავისი ლოგიკური დასასრული, ხოლო, მეორე მხრივ, მახიზმმა და ნეოპოტივიზმის მრავალსახეობამ — თავისი დასაწყისი.

თავის მოღვაწეობის ძირითად ამოცანად ან, როგორც თვითონ წერდა, „თავის ბედნიერების საწინდრად“ იუმი თვლიდა სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობათა შორის საზღვრების წაშლას¹⁰. ეს ამოცანა იუმმა მხოლოდ იმდენად გადაწყვიტა, რამდენადაც მან ცალმხრივი, სენსუალისტური ემპირიზმის თანმიმდევრულად განვითარების საფუძველზე მატერიალურ სუბსტანციასთან ერთად იდეალურიც უარყო. მაგრამ ამ გზით იუმის ფილოსოფიაში მატერიალიზმი და იდეალიზმი კი არ მორიგდნენ, არამედ პირიქით, პრინციპულად გაითიშნენ.

თავისი ძირითადი შრომის — „გამოკვლევა ადამიანური გონების შესახებ“ — დასაწყისში იუმმა მეტად გონივრული და პრინციპულად სწორი მოთხოვნა წამოაყენა იმის შესახებ, რომ ფილოსოფოსი ადამიანად უნდა დარჩეს მაშინაც, როცა ის ფილოსოფოსობას ეძლევა¹¹. ამ მოთხოვნის გასამართლებლად იუმს ის სამართლიანი საბუთი

⁹ Дж. Беркли, *დასახ. შრომა*, გვ. 79, § 26.

¹⁰ Д. Юм, *Исследование о человеческом уме*, Москва, 1916, გვ. 14.

¹¹ იქვე, იქვე, 6.

მოჰყავს, რომ ადამიანი არა მარტო გონიერი არსებია, არამედ მოქმედიც და ამიტომ, ამ მიდრეკილებების და ცხოვრების სხვადასხვა მოთხოვნილებათა გამო მეცნიერება უნდა გახდეს ადამიანური, რომელსაც პირდაპირი კავშირი ექნება ცხოვრებასთან, საზოგადოებასთან¹². მაგრამ ეს არსებითად სწორი მოთხოვნა პირველმა თითონ დაარღვია. როგორც კი „ფილოსოფოსობას მიეცა“ იუმმა მაშინვე დაივიწყა ამქვეყნიურობა და მთელი სინამდვილე ჩაკეტილ ცნობიერებაში განიხილა¹³.

გარეგან, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებულ სინამდვილესთან ყოველგვარი კომუნიკაციების გადაჭრის გზით იუმმა აზროვნების შინაარსი ერთადერთ სინამდვილედ გამოაცხადა და თავისი ფილოსოფიის დანასაკვად აგნოსტიციზმზე დაფუძნებული სკეპტიციზმი მიიღო.

მცდარმა გამოსავალმა პრინციპმა იუმი ფსიქოლოგიზმამდე მიიყვანა. იგი იძულებული გახდა გონების უშუალო დახასიათება დაეწყო. ამ მიზნით მან პირველ რიგში ის აღნიშნა, რომ სულს, გონებას თითონ გააჩნია სხვადასხვა ძალა და უნარები¹⁴. ასეთი უნარებიდან იუმი პირველ რიგში ასახელებს მეხსიერებას და წარმოსახვას. მისი აზრით, ეს უკანასკნელი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან და ამიტომ სხვადასხვა შედეგებს გვაძლევენ გონების მოქმედების დროს. თუმცა, დასძენს იქვე იუმი, არც ერთი და არც მეორე, გონების მოქმედების არეს არ სცილდება.

იუმის აზრით, მეხსიერებაში თავს იყრიან და თავიანთი პირვანდელი, ცხოველი სახით ინახებიან რეფლექსიისა და შეგრძნებების გზით მიღებული პერცეფციები. წარმოსახვაში კი პერცეფციები იღებებად გარდაიქმნებიან და მკრთალდებიან. ამიტომ სიცხოველის მიხედვით პერცეფციები შეიძლება გაიყოს ორ სახედ: ნაკლებ სიცხოველის და უფრო ცხოველ პერცეფციებად. პირველს შეიძლება ეწოდოს იდეა, ხოლო მეორეს—შთაბეჭდილება¹⁵.

იდეები, წერს იქვე იუმი, შთაბეჭდილებათა ასლები არიან და ამიტომ ყველაზე ნათელი იდეებიც კი ყველაზე სუსტ შთაბეჭდილებებს ჩამორჩებიან თავისი სიცხოველით.

¹² Д. Юм, დასახ. შრომა, გვ. 5.

¹³ იქვე, გვ. 59.

¹⁴ იქვე, გვ. 11.

¹⁵ იქვე, გვ. 16.

იუმი განაგრძობს ჩვენი გონების ერთადერთი შინაარსის — აპერცეფციების—დახასიათებას და წერს: ყველა ფაქტი, რომელიც ადამიანური გონებისათვის, კვლევისათვის მისაწვდომია, თავისი ბუნებით შეიძლება გაიყოს ორ სახედ: იდეათაშორის მიმართებად და ფაქტებად¹⁶. სინამდვილის ანუ ჩვენი გონების ყოველი ფაქტი ინდივიდუალური, ცალკეული, იზოლირებულია. საერთოდ, დასძენს იუმი, მოვლენები არ არიან ურთიერთ კავშირში, ისინი მხოლოდ გარეგნულად არიან შეერთებულნი¹⁷. მოვლენათა შორის რომ რაიმე კავშირი არსებობდეს ცდაში მოგვეცემოდა, მაგრამ არც ერთი ფაქტი, არც ერთი მოვლენა (თავის თვისებებში) ჩვენი გრძნობებისათვის მისაწვდომად არ ავლენს, არც თავის წარმოშობის მიზეზს და არც იმ მოქმედებას, რასაც ის (მომავალში) მოახდენს. ამიტომ ჩვენს გონებას ცდის გარეშე არ შეუძლია რაიმე დასკვნა გააკეთოს რეალურად არსებობისა და ფაქტების შესახებ¹⁸. ცდის გარეთ გასვლა კი შეუძლებელია, რადგან ცდის მიღმა გასვლით იმ საზღვრებს ვცდებით, სადაც არც მეხსიერების და არც გრძნობების არავითარი მოწმობა არ გვაქვს¹⁹.

ყველა ამ დებულების საერთო მცდარობის მიუხედავად იუმი ერთ რაიმეში მაინც მართალი იყო. სახელდობრ, მას, როგორც ემპირისტს, მართლაც, არ ქონდა ლოგიკური უფლება გასცდომოდა გრძნობად-ერთეულ ფაქტებს. მაგრამ ამავე „ლოგიკის“ საფუძველზე სინამდვილის ფაქტები კიდევ უფრო დამახინჯდნენ.

ჩემამდე, წერდა იუმი, მიზეზობრიობის ცნებას განუსჯელად იღებდნენ²⁰. ამ საკითხს ოდნავ მაინც ვინმე რომ დაფიქრებოდა, მაშინ შეამჩნევდა, რომ ჩვენ სულს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია იპოვოს ამა თუ იმ მოქმედების მიზეზი, რადგან მოქმედება მიზეზისაგან სრულიად განსხვავდება²¹. მართალია, საგანთა და მოვლენათა მოქმედება ჩვენი აღქმისათვის, ცდისათვის მისაწვდომია, მაგრამ ამ მოქმედებათა გამომწვევი მიზეზი, რომელიც სრულიად არ ჰგავს მოქმედებას, ცდაში არ გვეძლევა და ამიტომ, ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, რაიმე მის შესახებ. თუ ერთი მოვლენა, განაგრძობს იუმი, ცალკეულ შემთხვევაში წინ უსწრებს მეორეს, აქედან არ იქნება გონივრული გავაკეთოთ ის დასკვნა, რომ ერთი მათგანი — მი-

¹⁶ Д. Юм, даსახ. შრომა, გვ. 26.

¹⁷ იქვე, გვ. 85.

¹⁸ იქვე, გვ. 28.

¹⁹ იქვე, გვ. 27.

²⁰ იქვე, გვ. 106.

²¹ იქვე, გვ. 30.

ზეზია, ხოლო მეორე—შედეგი²². მართალია, ცდა მარტო იმა გვასწავლის, რომ ერთი მოვლენა მეორეს მისდევს, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში იმ დაფარულ კავშირს ვერ გვიხსნის, თითქოს მიზეზი და შედეგი განუყოფელი იყოს²³.

იუმმა ბევრი დრო და ენერგია მოანდომა მიზეზობრიობის ცნების უარყოფას. თუმცა მისი არგუმენტები ზემოთ მოყვანილ აზრებს არ გასცილებიან. მაგრამ ზემოთ მოყვანილი არგუმენტები უარყოფითია და მიზეზობრიობის ახსნის მაგიერ, მის ხელალებით უარყოფას ემყარება. იუმმა იცის, რომ მიზეზობრიობის ცნების უარსაყოფად ეს საკმარისი არ არის. იმას, რაც მიზეზობრიობას უწოდებენ რაციონალად ახსნა-განმარტება და მოვლა უნდა. ამიტომ იუმი მსჯელობაში ახალ სერიას აგებს, რომელთა ძირითადი აზრი ასეთია: აუცილებლობისა და მიზეზობრიობის იდეა წარმოიქმნება მხოლოდ და მხოლოდ ერთგვარობის საფუძველზე²⁴. მოვლენების დროსა და სივრცეში თანაარსებობა ჩვენში იწვევს მიზეზობრივი კავშირის ილუზიას. მიზეზობრივი კავშირის დოგმატური აღიარება ემყარება იმ ჩვევას და ჩვეულებას, რომელიც საგანთა და მოვლენათა დრო და სივრცეში თანაარსებობით იქმნება. ერთი მოვლენა ასოციაციით იწვევს მეორეს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ისინი რამდენჯერმე გვინახავს ერთიმეორესთან და ა. შ. ამიტომ, დაასკვნის იუმი, მიზეზობრიობის იდეა წარმოიქმნება ან მსგავსი ობიექტების მუდმივი შეერთების გზით, ან გონების იმ დასკვნით, რომელსაც ჩვენ ვაკეთებთ ერთი ობიექტის შესახებ მეორის საფუძველზე²⁵. მაშასადამე, იგი შეიძლება ასე განისაზღვროს: მიზეზობრიობა არის ობიექტების მუდმივი შეერთება და ჩვენი გონების მომდევნო დასკვნა ერთი ობიექტის შესახებ მეორის საფუძველზე²⁶. რაც შეეხება აუცილებლობას იგი მიზეზობრიობის ნაწილია და განსაზღვრებასაც ამ უკანასკნელისას უნდა დაექვემდებაროს²⁷.

ამრიგად, იუმმა უარყო ყოველგვარი კანონზომიერების და, მაშასადამე, მეცნიერული ცოდნის შესაძლებლობა, რითაც გზა გაუხსნა სკეპტიციზმსა და ფიდეიზმს. მაგრამ იუმი აქ არ შეჩერებულა. ის მიზანი, რომელიც მან თავის ტრაქტატის დასაწყისში დაისახა, არც იძლეოდა ამის უფლებას. ამიტომ, იუმმა მორიგი, სრულიად კანონზომიერი კითხვა დასვა. იქნებ ჩვენი აზროვნების ძალა განპირობე-

²² Д. Юм, *დასახ. შრომა*, გვ. 46—47.

²³ იქვე, გვ. 75.

²⁴ იქვე, გვ. 95.

²⁵ იქვე, გვ. 86—87.

²⁶ იქვე, გვ. 106.

²⁷ იქვე, გვ. 111—112.

ბულია მატერიალური ან იდეალური სუბსტანციით? იუმმა ამ კითხვაზე უარყოფითად უპასუხა. ეს პასუხი მას ახალი არგუმენტებით არ დაუსაბუთებია. მას ეს არც ესაჭიროებოდა, რადგან ყოველგვარი სუბსტანციის უარყოფა მისი ფილოსოფიური სისტემის ლოგიკური, დანასკვი იყო. და ეს უკანასკნელი, რასაც იუმი თავის მთავარ ამოცანად თვლიდა შეიძლება, მოკლედ, ასე ჩამოყალიბდეს: მიზეზობრიობის არც ერთი კერძო ფაქტი იმის შესახებ არაფერს გვატყობინებს, რომ შეგრძნებაში აუცილებელი კავშირის, ან ძალის შესახებ რაიმე გვეძლევა, ამიტომ, სუბსტანციის, როგორც ცდის მიღმა მდგომის შესახებ, ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ რაიმე²⁸.

ბერკლის შიერ, მატერიალური სუბსტანციის ადგილზე, იდეალური სუბსტანციის შემოყვანას იუმი სრულ ულოგიკობას უწოდებს და ბერკლის მისამართით წერს: თუ ჩვენ არ ვიცით რა ფორმით მოქმედებენ სხეულები ერთი მეორეზე, თუ მათი ძალა და ენერჯია სრულიად მიუწვდომელია ჩვენთვის, განა ჩვენთვის მიუწვდომელი არ არის ის წესი და ის ძალა, რომელთა საშუალებითაც სული, თუნდაც უმადლესი სული, მოქმედებს თავისთავზე და სხეულებზე?²⁹

ასე და ამრიგად იუმმა ლოგიკურად დაასრულა ცალმხრივი ემპირიზმი და თავის სისტემის დასასრულს შენიშნა: ყოველივე ამით ჩვენ არა ვცვლით ნების თავისუფლების არც ერთ პირობას, ჩვენ მხოლოდ ცვლილებები შეგვაქვს მატერიალური ობიექტების და მიზეზობრიობის თეორიაში³⁰. ეს კი ცოტა არ იყო, პირიქით, ეს ისეთი ხასიათის ცვლილება იყო, რომლითაც იუმმა ერთი მხრივ, მთელი სინამდვილე აზროვნების შინაარსზე დაიყვანა, მას გაუიგივა და ამ გზით გარეგანი სინამდვილის ობიექტური არსებობა უარყო. ხოლო, მეორე მხრივ, საგანთა და მოვლენათა შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი ყალბ მოჩვენებად გამოაცხადა და სკეპტიციზმს გაუღო კარი, რაც საუკეთესო მასაზრდოებელი მასალა გახდა არა მარტო მანზიმისათვის, არამედ პოზიტივიზმის თანამედროვე მრავალსახეობათათვისაც.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იუმის ფილოსოფიურმა ერთდღიანმა თავი იჩინა არა მარტო ცალმხრივი სუბიექტური ემპირიზმის ლოგიკურად დასრულებაში, არამედ ამ უკანასკნელის შემდეგ წამოჭრილ პრობლემათა დანახვაშიაც, რაც ფილოსოფიის ისტორიის განვითარების აღმავალ გზაზე იშვიათი მოვლენაა. იუმი მიხვდა, რომ

²⁸ Д. Юм, *დასახ. შრომა*, გვ. 75—81.

²⁹ იქვე, გვ. 112.

³⁰ იქვე, გვ. 108.

მიზეზობრიობის უარყოფით ცდისეულ მეცნიერებათა არსებობის შესაძლებლობა უარყო; მიხვდა, რომ ცალმხრივმა ემპირიზმმა უკიდურესად გაუმართლებელ დასკვნებამდე მიიყვანა და ამიტომ პრობლემა, რომელიც მისი მოძღვრების დასასრულს იხადებოდა თითონვე მან ასე ჩამოაყალიბა: იქნებ ყოველგვარი მოქმედების აუცილებლობა, როგორც მატერიის, ისე გონების, ჩვენთვის რომ ვთქვათ, არის თვისება, რომელიც მიეწერება არა მოქმედ მიზეზს, არამედ მოაზროვნეს, ანუ მოქმედების განმხილველ გონიერ არსებობას?³¹.

მაგრამ იუმის ფილოსოფიური სისტემის დასასრულს წამოჭრილი პრობლემა, ცხადია, მისი ფილოსოფიის დასაწყისად ველარ გამოდგებოდა. იგი დასაწყისი და გამოსავალი უნდა გამხდარიყო ისეთი ფილოსოფიური სისტემისათვის, რომელიც ცალმხრივი ემპირიზმიდან გამომდინარე დასკვნებს კი არ დაეყრდნობოდა, არამედ უარყოფდა. ამიტომ. ამ პრობლემის გადაჭრა იუმს მომავლისათვის უნდა ეანდერძნა.

კანტის აპრიორიზმი

იუმის ფილოსოფიაში დასმული პრობლემატიკის პირველი თავისებური გადაწყვეტა წილად ხვდა იმანულ კანტს (1724—1804). ინგლისური ემპირიზმის გაცნობისთანავე კანტმა დაასკვნა, რომ ცალმხრივად განვითარებული ემპირიზმი, ერთი მხრივ, მეტად გაუმართლებელ სექტიკურ დასკვნებს იძლევა, ხოლო, მეორე მხრივ, უკიდურესად ზღუდავს და ამცირებს გონების მოქმედების არეს, მაშინ, როდესაც გონება შეიძლება (როგორც ეს უკვე იუმმაც აღნიშნა) ყოველივეს კანონმდებლად გამოდგეს. ამ პრობლემატიკიდან გამოსულმა კანტმა თავის კრიტიკულ ფილოსოფიაში მოგვცა მატერიალიზმისა და იდეალიზმის „ცალმხრიობათა“ მოხსნის და მათზე მალა დადგომის პირდაპირი ცდა.

ამ ცდის შედეგად კანტმა მხოლოდ უპრინციპო კომპრომისი მიიღო. მაგ., როცა კანტი წერს—„...მე მაინც ვუშვებ ყოველ შემთხვევაში, რომ ჩვენს გარეშე სხეულები არსებობენ“³²... კანტი მატერიალისტია და იდეალიზმის სამართლიან საყვედურს იმსახურებს. მაგრამ, როდესაც ჩვენს გარეშე არსებულ სხეულებზე კანტი წერს, რომ—„... იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ ისინი თავისთავად, ჩვენ არაფერი ვიცით, ჩვენ ვიცით მხოლოდ მათი მოვლენები,

³¹ Д. Юм, *დასახ. შრომა*, გვ. 108.

³² კ ა ნ ტ ი, *პროლეგომენები... თბილისი*, 1936, გვ. 97.

ე. ი. ჩვენ ვიცით მხოლოდ ის წარმოდგენები, რომლებიც ჩვენი გრძნობის აფიცირებით ჩვენში მათ გამოუწვევია“³³... კანტი იდეალისტია და მატერიალიზმს დალატობს. ამიტომაც, კანტის ფილოსოფიის ძირითადი ნიშანი არის არა მატერიალიზმისა და იდეალიზმის ცალმხრიობათა მოხსნა და მათზე მალლა დადგომა, არამედ „...მატერიალიზმის შერიგება იდეალიზმთან, კომპრომისი მათ შორის. ერთ სისტემაში სხვადასხვაგვარი, მოწინააღმდეგე ფილოსოფიური მიმდინარეობების შეთავსება“³⁴.

კანტმა ვერც შეძლო ემპირიულისა და რაციონალურის დიალექტიკური დაკავშირება. ცალმხრივი ემპირიზმისა და რაციონალიზმისაგან განსხვავებით, კანტთან ორივე ეს მომენტი აღიარებული, მაგრამ ურთიერთმოწყვეტილი დაჩა. ამიტომ ის, რაც ზეგრძნობადის სახით იუმის ფილოსოფიაში უარყოფილ იქნა, კანტმა ჩვენი გონების აპრიორულ ფორმად გამოაცხადა. ამ ფაქტს კანტი თვლიდა არა მარტო თავის დიდ აღმოჩენად, არამედ ისეთ აღმოჩენადაც, რომელიც მატერიალიზმს არავითარ ზიანს არ აყენებს³⁵. მაგრამ ამით კანტმა გეზი აიღო არა მატერიალიზმისაკენ, არამედ აგნოსტიციზმისაკენ. მართალია, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური სინამდვილე კანტისათვის რეალურად არსეაობს, შეგრძნებათა მრავალფეროვნებანიც გარეგანი სინამდვილიდან მოედინებიან ჩვენში, მაგრამ, როგორც კი ცნობიერების ამ პირველი ფაქტის, შეგრძნების ინტერპრეტაციას იწყებს კანტი, მაშინათვე იდეალიზმი იჩენს თავს მასთან. შეგრძნების განმარტების დროს კანტი არ ამბობს, რომ შეგრძნება გარეგანი სინამდვილის სურათია. პირიქით, კანტის აზრით „ჩვენ ვიცით მხოლოდ ის წარმოდგენები, რომლებიც ჩვენი გრძნობის აფიცირებით ჩვენში მათ გამოუწვევიათ“, რაც შეეხება „ჩვენი გრძნობის გარეშე არსებულ საგნებს, თუ რას წარმოადგენენ ისინი თავის თავად, ჩვენ არაფერი ვიცით“.

გაუგებარია, თუ ჩვენი გრძნობების აფიცირებით ჩვენში გარეგანი სინამდვილის სურათი არ შემოვიდოდა, მაშინ რაღა საქირო იყო გარეგანი საგნის დაშვება? მაგრამ, თუ გარეგანი საგანი შეგრძნების მიზეზად იქნებოდა აღიარებული, მაშინ როგორღა შეიძლებოდა მიზეზისა და შედეგის ერთიმეორისაგან მოწყვეტა? ამისათვის კანტმა

³³ კ ა ნ ტ ი, პროლეგომენები, თბილისი, 1936, გვ. 97.

³⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 244—245.

³⁵ კ ა ნ ტ ი, პროლეგომენები, გვ. 97.

სამართლიანი საყვედური დაიმსახურა, როგორც მარცხნიდან, ისე მარჯვნიდან.

ყოველივე ამის მიუხედავად კანტის ფილოსოფიამ უდიდესი გავლენა მოახდინა საკაცობრიო ფილოსოფიური აზრის განვითარებაზე. კანტი პრინციპულად აღუდგა წინ იუმის სკეპტიციზმს და არა მარტო უარყო იუმისეული ცოდნის შეუძლებლობის პრინციპი, არამედ უფრო მეტიც, მეცნიერება მან არსებულ ფაქტად გამოაცხადა და მისი შესაძლებელი პირობების კვლევა დაიწყო.

კანტმა იცოდა, რომ მეცნიერების არსებობის ძირითადი ნიშანი ობიექტურობა იყო. მაგრამ რაკი მეცნიერების ობიექტურობის ნიშნად კანტთან გარეგანი საგნის შინაარსი მისი მოუწვდომლობის გამო არ გამოდგებოდა, ამიტომ ის იძულებული იყო ეს უკანასკნელი (ობიექტურობა) საყოველთაო აუცილებლობის ფორმით სუბიექტში ეძებნა. და აი, ამ მიზნით მატერიის არსებობის უზოგადეს ფორმებს — დროსა და სივრცეს — კანტი აზროვნების აპრიორულ ფორმებად გამოაცხადებს და გონებას ყოველგვარი კანონმდებლობის უნარს მიაწერს. გონება გარეგანი სინამდვილიდან მიღებულ შეგრძნებათა ქაოსს, დრო და სივრცის აპრიორული ფორმების შემწეობით, თავის თავში მოაწესრიგებს და ამით ობიექტურად არსებული. ანუ „თავისთავადი“ საგნის გვერდით ახალ „საგანს“. ახალ „სინამდვილეს“ შექმნის.

კანტის აზრით. საგანი თავისთავად რჩება, როგორც ნივთი, რომლის შესახებაც არავითარი დადებითი მსჯელობის გამოთქმა არ შეიძლება. იგი ტრანსცენდენტური ხასიათისაა, ჩვენი გონების მოქმედების საზღვრებს გარეთ მდებარეობს. ჩვენ ვიცით მხოლოდ მისი არსებობა და მეტი არაფერი. რაც შეეხება შემეცნების იმ საგანს, რომელიც შეგრძნებათა ქაოსისაგან აპრიორულ დროსა და სივრცეში შეიქმნა — ტრანსცენდენტალური და ჩვენი გონებისათვის მისაწვდომია. ამ უკანასკნელის შესახებ, კანტის აზრით, ჩვენ შეგვიძლია ყოველგვარი დადებითი მსჯელობის გამოთქმა. მაგრამ კანტისათვის ყველა მსჯელობას ერთი და იგივე შემეცნებითი ღირებულება არა აქვს. მისი აზრით, შემეცნებითი ღირებულების მქონეა მხოლოდ სინთეზური მსჯელობა. სინთეზურ მსჯელობაში, ანალიზური მსჯელობისაგან განსხვავებით, სუბიექტში პრედიკატი არ ივლისსნმება, იგი ახლის მთქმელი, არატაქტოლოგიურია და ამიტომ. ამ ერთადერთ მსჯელობას აქვს შემეცნებითი ღირებულება. სინთეზური მსჯელობის მაღალი შემეცნებითი ღირებულება. პირობადებულია აპრიორულობით. ამიტომ ერთადერთის მსჯელობა. რომელსაც კანტი იღებს აპრიორულ-სინთეზური მსჯე-

ლობაა. უფრო მეტიც, ყველა ჩვენს აზროვნების ფორმა და კატეგორია კანტისათვის აპრიორული ხასიათისაა და თვითონ წარმოადგენენ ყოველგვარი ცდის პირობას. ამიტომ, აპრიორულ დროსა და სივრცეში შექმნილი საგანი მთლიანად ექვემდებარება განსჯის კატეგორიებს. რაც, საბოლოო ჯამში, ნიშნავს იმას, რომ საგანი კი არ კარნახობს თავის კანონზომიერებას გონებას, არამედ პირიქით, გონება კარნახობს მას ყოველგვარ კანონზომიერებას.

მახი და ავენარიუსი

ბერკლის, იუმის და კანტის სუბიექტური იდეალიზმი მახიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის უშუალო და პირდაპირი გამოსავალი წყარო გახდა. მახიზმი და ემპირიოკრიტიციზმი იყო პოზიტივიზმის ახალი სახეობა, რომელიც მე-19 საუკუნის 70-იან წლებში აღმოცენდა. ამ მიმდინარეობის მესვეურები იყვნენ ავსტრიელი ფილოსოფოსი ერნსტ მახი (1838—1916) და გერმანელი ფილოსოფოსი რიხარდ ავენარიუსი (1843—1896).

თავიანთი ფილოსოფიური კვლევა-ძიების შედეგად, როგორც მახი, ისე ავენარიუსი, ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად, ერთ და იმავე შედეგამდე მივიდნენ. ეს შედეგი, მათი აზრით, ის „ახალი აღმოჩენა“ იყო, რომელიც მათ ფილოსოფიას მალა აყენებდა, როგორც მატერიალიზმზე ისე იდეალიზმზე³⁶.

ასეთი „აღმოჩენის“ მიუხედავად ისინი მაინც ფილოსოფოსობაზე დიდ პრეტენზიას არ აცხადებდნენ. მაგ., ე. მახი პირდაპირ წერდა, რომ მე არ ვარ ფილოსოფოსი, მე მხოლოდ ბუნებისმეტყველი ვარ და ამიტომ არ არსებობს არავითარი მახისტური ფილოსოფია, სულ ბევრი რაც მახიზმის სახით არსებობს ეს არის საბუნებისმეტყველო მეცნიერული მეთოდოლოგია და შემეცნების ფსიქოლოგია³⁷. ამავე აზრის იყო ავენარიუსიც³⁸. მაგრამ ყოველივე ეს ფანდი იყო, რომლითაც თავიანთი „ახალი აღმოჩენის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სამოსელში გახვევა სურდათ.

ამ ჩანაფიქრის გამართლების მიზნით, ავენარიუსი თავის შემეცნების თეორიას „ძალის უმცირესი ხარჯვის“ ბიოლოგიურ პრინციპზე ამყარებს, ხოლო მახი — დარვინის ევოლუციურ თეორიაზე, რის შედეგადაც როგორც ერთთან, ისე მეორესთან აზროვნე-

³⁶ Э. Мах, Анализ ощущений, Москва, 1908, гл. 58—59.

³⁷ Э. Мах, Познание и заблуждение, Москва, 1909, гл. 3—4.

³⁸ Р. Авенариус, Философия как мышление о мире, Москва, 1913, гл. 4.

ბის სოციალური არსი ბიოლოგიურში ითქვიფება. ამის საუკეთესო მაგალითია ავენარიუსის მიერ „წმინდა ცდის კრიტიკაში“ ჩამოყალიბებული სასიცოცხლო რიგის ბიომექანიკური კანონი და მახის ის მსჯელობა, სადაც ის სიტყვასიტყვით წერს: ცნობიერება თავის განვითარების გზაზე, სხვა ცოცხალი ორგანიზმების მსგავსად, გარემოს უნდა შეეგუოს. ეს პროცესი აუცილებლობით აიძულებს აზროვნებას შემეცნების დაბალი საფეხურიდან, მაღალ, მეცნიერულ აზროვნებამდე ამაღლდეს. ხოლო რაკი მაღალი, მეცნიერული აზროვნება ჩვეულებრივი, დაბალი აზროვნების შედეგია, მაშინ მაღალი, მეცნიერული აზროვნება, საერთოდ, ბიოლოგიური განვითარების განუწყვეტელი პროცესის უკანასკნელი რგოლი ყოფილა³⁹.

მახი არა მარტო არ მალავდა თავის იდეურ ნათესაობას ავენარიუსთან, არამედ პირიქით, დიდი სიამაყით წერდა: მიუხედავად იმისა, რომ მე ავენარიუსს პირადად არასდროს არ ვიცნობდი, მაინც ჩვენი იდეური ნათესაობა იმდენად დიდია, რამდენადაც ეს ორ პიროვნებას შორის, საერთოდ. შესაძლებელია⁴⁰. მახი ასე მაჯელობდა არა შემთხვევით და არა მარტო თავის აღრინოულ შრომებში, არამედ თავის ისეთ „...შეჯამებითს და დასკვნითს ფილოსოფიურ ნაწარმოებში, — როგორცაა „შემეცნება და ცთომილება“, — რომელიც ამ იდეალისტური მანქვის მთელ სიყალბეს გვიჩვენებს“⁴¹.

მაშ ვნახოთ რა ახალ „აღმოჩენას“ და რა ურთიერთ გადამკვეთ პრინციპებს ვგთავაზობენ ისინი.

მახიზმი

მახი ერთიან სინამდვილეს ორ სფეროდ ჰყოფს და ამ სფეროებს იდეალურის და მატერიალურის ნაცვლად ფიზიკურსა და ფსიქიკურს უწოდებს. ამ ტერმინების განსაზღვრის მიზნით იგი წერს: მე ჩემ თავს სივრცეში სხვა სხეულების გვერდით ვპოულობ. ჩემი სხეული ისევე მოძრაობს და ცვალებადია, როგორც ყველა სხვა გარეგანი სხეული. სხვა სხეულებისაგან დამოუკიდებლად, ჩემს სხეულს გარკვეული ადგილი უჭირავს სივრცეში. ამ ინდივიდუალური ნიშნების გარდა, ჩემს სხეულს სხვა ადამიანების სხეულისაგან ისიც განასხვავებს, რომ მათთან შეხება ჩემში იწვევს რაღაც თავისებურ

³⁹ Э. М а х, Познание и заблуждение, гл. 10.

⁴⁰ Э. М а х, Анализ ощущений, гл. 59.

⁴¹ ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 11.

შეგრძნებას, რომლის მსგავსსაც სხვაში, ჩემის სხეულის შებების დროს, ვერ ვხედავ⁴².

გარდა ამისა, განაგრძობს მახი, მე ჩემს თავში ვპოულობ რაღაც სურვილებს, მოგონებებს, მიდრეკილებებს და სხვას, რომელთა განვითარებაში მე ისევე უდანაშაულო ვარ, როგორც სხვა გარემოში საგანთა მიმართ. ამასთან ერთად სხვა ადამიანების მოქმედება მაიძულებს დაუშვა, რომ ჩემი სხეული და ყველა სხვა სხეულები ისევე უშუალოდ არსებობენ მათთვის, როგორც მათი სხეული და ყველა სხვა სხეულები ჩემთვის. ხოლო ჩემი სურვილები, მოგონებები მიდრეკილებანი და სხვა, ისევე განშუალებული (ანალოგიური დასკვნის) გზით მიიღწევიან მათთვის, როგორც მათი სურვილები, მოგონებები, მიდრეკილებანი და სხვა—ჩემთვის⁴³.

ყოველივე აქედან შეიძლება ითქვას, რომ, დაასკვნის მახი, ის, რაც ყველასათვის უშუალოდ არსებობს — ფიზიკურია, ხოლო ის, რაც მხოლოდ ერთისათვის არსებობს უშუალოდ და ყველა დანარჩენისათვის ანალოგიური დასკვნის გზით მიიღწევა—ფსიქიკურია⁴⁴.

ფიზიკურისა და ფსიქიკურის ასეთ, არსებითად პოზიტივისტურ განსაზღვრებასთან ერთად, სადაც ყველაფერი ცდის ფარგლებში ეტევა, მახი იმასაც ვეთავაზობს, რომ ფსიქიკურს მეორე სახელად, ვიწრო მნიშვნელობით, აგრეთვე ვუწოდოთ „მე“⁴⁵.

ამის შემდეგ მახი გადადის ფიზიკურისა და ფსიქიკურის ურთიერთ დამოკიდებულების და მათი შემადგენელი ელემენტების დახასიათებაზე და წერს: ფიზიკური ჩვენი სხეულის სივრცითი საზღვრის U-ს (Umgrenzung) გარეთ მდებარეობს, ხოლო ფსიქიკური, პირიქით, ჩვენი სხეულის სივრცითი საზღვრის U-ს შიგნით.

ფიზიკური ანუ ჩვენი სხეულის სივრცითი საზღვრის გარეთ მდებარე საგნები და მათი შემადგენელი ელემენტები ერთიმეორეზე არიან დამოკიდებულნი. მაგ., რაიმე საგანი ცეცხლთან რომ მივიტანოთ — გათბება, ყინულთან რომ მივიტანოთ — გაცივდება. სიბნელეში თეთრი ქაღალდი მხოლოდ ლამფით შეგვიძლია დავინახოთ. მაგნიტი რომ მაგნიტთან მივიტანოთ — ამოძრავდება. ამაში გვარწმუნებს სხვა ადამიანების ქცევაც და ამიტომ, ყოველივე ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც ჩვენგან დამოუკიდებელი რამ-

⁴² Э М а х, Познание и заблуждение, გვ. 13.

⁴³ იქვე, გვ. 14.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ იქვე.

მაგრამ, როგორც კი ამას დავუშვებთ, მაშინათვე საწინააღმდეგოში ვრწმუნდებით. ვრწმუნდებით იმაში, რომ ჩვენი სხეული გარეგან საგნებზე არსებით გავლენას ახდენს. მაგ., ქალაქდზე რომელიმე საგნის ჩრდილი მე შემიძლია წარმოვიდგინო ლაქად, ერთი სხეული—ორად, მბრუნავი საგანი, თუ მეც დავეტრიალდები, შემიძლია წარმოვიდგინო უძრავად, ხოლო უძრავი საგანი—მოძრავად. ამიტომ, საგნები და საგანთა შემადგენელი ელემენტები, არა მარტო ერთიმეორეზე არიან დამოკიდებულნი, არამედ ჩემს ინტელექტუალურ განცდაზეც⁴⁶.

ყოველგვარი ფიზიკური, რასაც მე „ინტელექტუალურად განვიციდი“ (Der Befund)⁴⁷, შეიძლება დაიშალოს ისეთ ელემენტებზე, რომელნიც დღეისათვის მეტად აღარ დაიშლებიან: ფერებად, ჩრდილებად, სითბოდ, სუნად, სივრცედ, დროდ და ა. შ. ეს ელემენტები, როგორც ზემოთ ითქვა, დამოკიდებულნი არიან, როგორც ჩემი სხეულის სივრცითი საზღვრის შიგნით მდებარე პირობებზე, ისე ჩემი სხეულის სივრცითი საზღვრის გარეთ მდებარე პირობებზე და აი, იმდენად და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ელემენტები დამოკიდებულნი არიან ჩვენი სხეულის სივრცითი საზღვრის შიგნით არსებულ პირობებზე ჩვენ მათ (ამ ელემენტებს) ვუწოდებთ შეგრძნებებს⁴⁸. ხოლო იმდენად, განაგრძობს მახი, რამდენადაც ჩემი მეზობლის შეგრძნებები ისევე, ნაკლებად მეძლევა მე, როგორც ჩემი მათ, მე უფლება მაქვს ის ელემენტები, რომელზედაც მე ფიზიკური დავშაღე, განვიხილო ისე, როგორც ფსიქიკურის ელემენტები. ყოველივე ეს კი, საბოლოო ჯამში, ნიშნავს იმას, რომ ფიზიკური და ფსიქიკური საერთო ელემენტებს შეიცავენ და, მაშასადამე, მათ შორის ისეთი მკვეთრი განსხვავება არ არსებობს, როგორც ამას ჩვეულებრივ (დღემდე) დებულობდნენ⁴⁹.

ერთი სიტყვით, დაასკვნის მახი, საგნები (სხეულები) ჩემთვის არის შედარებით მდგრადი, ერთიმეორესთან დაკავშირებული და ერთიმეორეზე დამოკიდებულ გრძნობად შეგრძნებათა კომპლექსები⁵⁰. ამიტომ, თუ ეხლა მე ჩემი ფსიქიკურის ერთობლიობას, შეგრძნებათა გამოუკლებლივ, ფართო მნიშვნელობით, ვუწოდებ ჩემს

⁴⁶ ვ. M a x, დასახ. შრომა, გვ. 16.

⁴⁷ ასე ურჩევდა მახი გ. კოტლიარს ამ ტერმინის რუსულად თარგმნას — ფ. ნ.

⁴⁸ იქვე, გვ. 17.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ იქვე, გვ. 137.

„მე“-ს, მაშინ მე ამ აზრით შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს „მე“-ში არსებობს სამყარო (როგორც შეგრძნება, როგორც წარმოდგენა)⁵¹.

როგორც ქვემოთ დავინახავთ ამავე „აღმოჩენამდე“ მივიდა ავენარიუსიცი, მაგრამ „გულმავიწყობისა თუ უმეცრების გამო მათ არ აღუნიშნავთ, რომ ეს ახალი აღმოჩენანი უკვე 1710 წელს იყო აღმოჩენილი“⁵², ხოლო როცა ყოველივე ეს ვ. ი. ლენინმა ამხილა, მაშინ რუსი მახისტები ერთსულოვნად ამხედრდნენ ლენინის წინააღმდეგ. მაგალითად, ვინმე ნ. ო.-ნი, რომელიც შემდეგ სასტიკად გააკრიტიკა მ. დავითაშვილმა, ლენინის წინააღმდეგ მიმართულ სტატიაში წერდა: ლენინი არ არის მართალი, როცა მახის თვალსაზრისის ისეთ ფორმულირებას აძლევს, სადაც, თითქოს, სინამდვილის საგნები და შოვლენები „ჩვენი შეგრძნებათა კომპლექსები იყვნენ,... და არც არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ მახი, იუმი და ბერკლი ერთ ჯგუფში მოვაქციოთ“⁵³.

მაგრამ ის, რისი დანახვაც მოგვიანოდ რუს მახისტებს არ სურდათ, იმას მახი აღრევე თითონ მიხვდა. იგი მიხვდა, რომ სამყაროს (როგორც შეგრძნების, როგორც წარმოდგენის) — „მე“-ში მოქცევა უკიდურეს სუბიექტურ იდეალიზმში აგდებდა მას და ამიტომ გამოსავალი გზის ძებნა დაიწყო. ასეთი გზა მან საჩქაროდ „მონახა“ და განაცხადა: მართალია, ფიზიკური და ფსიქიკური არსებითად იგივეობრივნი არიან, მაგრამ ისინი ერთმეორისაგან განსხვავდებიან იმ თვალსაზრისით, რა თვალსაზრისითაც ჩვენ მათ ვიხილავთ. ამიტომ ფიზიკურსა და ფსიქიკურს შორის წმინდა ფუნქციონალური დამოკიდებულება არსებობს⁵⁴. მაგ., როცა ელემენტებს: წითელს, მწვანეს, თბილს, ცივს და სხვას ჩვენი სხეულის სივრცითი საზღვრის გარეთ ვიხილავთ, მაშინ ეს ელემენტები ფიზიკურნი არიან, ხოლო, როდესაც ჩვენ სხეულის სივრცითი საზღვრის შიგნით — ფსიქიკურნი. ყურადღება ხან ფიზიკურის მიმართ არის გამახვილებული, ხან ფსიკურის მიმართ, ამიტომ საგნები იზოლირებულად გვეჩვენება. ამავე ფიქციაზე არის დაფუძნებული სამყაროსა და ჩვენი „მე“-ს ურთიერთ დაპირისპირება. იზოლირებული მე, ისევე არ არსებობს, როგორც არ არსებობს იზოლირებული საგნები. საგანი და „მე“ ერ-

⁵¹ ვ. М а х, დასახ. შრომა, გვ. 17.

⁵² ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 18.

⁵³ სკკ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, მ. დავითაშვილის ფონდი, რეეული მეორე, ფურცელი 85.

⁵⁴ ვ. М а х, Познание и заблуждение, გვ. 19.

თი და იმავე გვარის დროებითი ფიქციები⁵⁵. ამის შემდეგ ჩვენ ვერ ვხედავთ ვერავითარ საფუძველს იმისათვის, რომ შემდეგშიაც შევჩერდეთ ფიზიკურის და ფსიქიკურის ურთიერთ დაპირისპირებაზე. ამერიკიდან ჩვენ შეიძლება გვაინტერესებდეს მხოლოდ ერთი — ელემენტების ურთიერთ დამოკიდებულების შემეცნება⁵⁶. ეს კი ნიშნავს არა ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული, თავისთავადი (an sich) საგნების შესწავლას, არამედ პირიქით, წარმოდგენების (ცნებების) შესწავლას⁵⁷.

ასეთია მოკლედ მახის ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები, რასაც ვ. ი. ლენინი შემდეგნაირად აფასებდა: „როცა მახი ლაპარაკობს: სხეულები შეგრძნებათა კომპლექსები არიანო, მაშინ მახი ბერკლიანელია. როცა მახი „ასწორებს“: „ელემენტები“ (შეგრძნებანი) შეიძლება ერთს ურთიერთობაში ფიზიკური იყოს, ხოლო მეორეში — ფსიქიკურიო, მაშინ მახი აგნოსტიკოსი, პიუმიტიკა. მახი თავის ფილოსოფიაში თავს ვერ აღწევს ამ ორ ხაზს, და დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა ამ გზააბნეული ადამიანის ლიტონი სიტყვებისათვის დაგვეჩერებინა, რომ მან ნამდვილად „გადალახა“ მაჭერიალიზმიც და იდეალიზმიც“⁵⁸.

ეპიკრიტიკის პრინციპები

ეპიკრიტიკის პრინციპულად იმეორებს მახიზმს და ეთანხმება მას. ამდენად შეიძლებოდა მასზე აღარ შევჩერებულყავით. მაგრამ იმდენად, რამდენადაც რ. ავენარიუსი აღნიშნული დასკვნებამდე სულ სხვა გზით მივიდა — საჭიროა ამ მოძღვრების თავისებურებათა ჩვენებაც.

1. დავიწყოთ ძალის უმცირესი ხარჯვის პრინციპით. ეს პრინციპი ავენარიუსმა წამოაყენა „წმინდა ცდის პროლეგომენებში“, ე. ი. იმ შრომაში, რომელსაც მან მეორენაირად უწოდა „ფილოსოფია როგორც აზროვნება სამყაროზე ძალის უმცირესი დახარჯვის პრინციპით“. ამ პრინციპის თანახმად ყოველგვარი მოქმედება მიზანშეწონილი მოქმედება უნდა იყოს. მიზანშეწონილ მოქმედებას ძალის უმცირესი ხარჯვის გზით დასახულ მიზანმდე მივყავართ. ამიტომ, — დასძენს ავენარიუსი, — ძალის უმცირესი ხარჯვის პრინციპი ყოველგვარი მოქმედების საფუძვლად გამოდგება⁵⁹. რა თქმა

⁵⁵ Э Мах, დასახ. შრომა, გვ. 19—24.

⁵⁶ იქვე, გვ. 19, 38.

⁵⁷ იქვე, გვ. 19.

⁵⁸ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 127.

⁵⁹ Р. А венариус, Философия как мышление, ... გვ. 15.

უნდა, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს პროფ. კ. ბაქრაძე⁶⁰. გარეგნულად და ისიც მოქმედების ვიწრო სფეროში ეს პრინციპი სწორია. მაგრამ, როგორც კი ის ავენარიუსის ხელში სინამდვილის უზოგადეს პრინციპად იქცევა — მცდარია. მცდარია, რადგან ძალის უმცირესი ხარჯვის ლოგიკური პრინციპი ავენარიუსის აზრით, საგანთა და მოვლენათა მყოფობას კი არ ასახავს „... არამედ წინ უსწრებს ყოველგვარ ცდას, მის ლოგიკურ პირობას წარმოადგენს, როგორც კანტის კატეგორიები“⁶¹.

ავენარიუსის აზრით ძალის უმცირესი ხარჯვის პრინციპი — აპერცეფციულ აზროვნებაშია. ამიტომ აპერცეფციული მოღვაწეობისაკენ მისწრაფება თავის მხრივ სხვა არაფერია, თუ არა სულის (აზროვნების) მისწრაფება ძალის შენახვისაკენ⁶². მაშასადამე, დაასკვნის ავენარიუსი, თუ თეორიული აპერცეფციის ფესვი ძალის უმცირეს ხარჯვაშია, მაშინ უნდა ველოდოთ, რომ ამ პრინციპის გავლენა უნდა დადასტურდეს აპერცეფციის მასის ეკონომიაში. ამიტომ ჩვენ ეს უნდა გვეძებნა მხოლოდ ერთი მიმართულებით, სახელდობრ: იმ აპერცეფციული მასის მხოლოდ იმ წარმოდგენებით შეზღუდვაში, რომელნიც საკმარისი არიან აპერცეფციისათვის⁶³.

რ. ავენარიუსის ამ აზრს ვ. ი. ლენინი შემდეგნაირად აფასებდა: „...აზროვნების ეკონომიის“ გულისთვის არსებულად გამოცხადებულია მხოლოდ შეგრძნება. იმავე ეკონომიის გულისათვის „გადაყენებულად“ ცხადდება მიზეზობრიობაც და „სუბტანციაც“... ე. ი. გვრჩება შეგრძნება უმატერიოდ, აზრი უტვინოდ“⁶⁴.

ცხადია, ძალის უმცირესი ხარჯვის პრინციპის მიხედვით ავენარიუსის ფილოსოფიაში წარმოდგენილი სამყარო — უბრალოდ „ჩემი წარმოდგენაა“, რაც მახიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში ერთადერთ სინამდვილედ ცხადდება. „ეს ნამდვილი უაზრობა წარმოდგენს ცდას სუბიექტური იდეალიზმი შემოგვაპარონ ახალ სამოსელში“⁶⁵.

2. „წმინდა ცდის კრიტიკაში“ რ. ავენარიუსის მიერ დამუშავებულ იქნა სასიცოცხლო რიგის ბიომექანიკური კანონი, რაც ძალის უმცირესი ხარჯვის პრინციპს ბიოლოგიურ საფუძვლად დაედო. ამ კანონის თანახმად სინამდვილის მეცნიერული შემეცნება სინამდ-

⁶⁰ К. Бахрадзе, Очерки по истории новейшей и современной философии, Тб., 1963, გვ. 63.

⁶¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 211.

⁶² Р. Авенариус, Философия как мышление о мире..., გვ. 18—37.

⁶³ იქვე, გვ. 18.

⁶⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 208.

⁶⁵ იქვე.

ვილესთან სასიცოცხლო შეგუებას ნიშნავს. ამიტომაც შემეცნება უნდა ხორციელდებოდეს, რაც შეიძლება ნაკლები ძალის ხარჯვის გზით.

სასიცოცხლო რიგის ბიომექანიკური კანონის ზოგადი სტრუქტურა ასეთია: ადამიანი თავისთავს იმ გარემომცველ გარემოში პოულობს, რომელსაც თავიანთი ქცევით და გამოთქმებით სხვა ადამიანებიც ეკუთვნიან. აღნიშნულ გარემოში ნაცნობ საგნებთან და მოვლენებთან ერთად ადამიანი უცნობ საგნებსა და მოვლენებსაც ხვდება. ეს ფაქტი იწვევს ტვინის (ნერვიული სისტემის) გაღიზიანებას. იწყება უცნობი საგნებისა და მოვლენების გაცნობიერება, რაზედაც ენერგია იხარჯება.

ენერგიის მარტო (ცალმხრივი) ხარჯვა რომ სწარმოებდეს -- ადამიანი დაიღუპებოდა. მაგრამ ადამიანი გარემოდან საკვებსაც იღებს და დახარჯულ ენერგიას ინაზღაურებს. იდეალური მდგომარეობა გვექნება მაშინ, როცა ენერგიის ხარჯვა $f(R)$ ენერგიის აღდგენის $f(S)$ თანაბარი იქნება. მაშასადამე, წონასწორობის შემთხვევაში სასიცოცხლო რიგის ძირითადი ფორმულა ასეთ გამოხატულებას მიიღებს: $f(R) + f(S) = 0^{66}$. მაგრამ აღნიშნული მხარეები მუდმივ მერყეობაში არიან და ამიტომ ეს ფორმულაც ერთადერთ ფორმულად არ რჩება. ყველა განსხვავებული შემთხვევისათვის ამ ფორმულიდან ფორმულათა უსასრულო რიგი გამოიყვანება და ავენარისის მთელი ფილოსოფიაც ამ საბუნებისმეტყველო მოჩვენებით მეცნიერულობაზე ფუძვნიდება.

სასიცოცხლო რიგი სამი საფეხურისაგან შედგება: 1. წონასწორობის დარღვევა (Initialabschnitt), 2. წონასწორობის აღდგენის ცდა (Medialabschnitt) და 3. წონასწორობის აღდგენა (Finalabschnitt). სასიცოცხლო რიგის წონასწორობის დარღვევას იწვევს, როგორც ითქვა, ცნობიერებაში უცნობი საგნებისა და მოვლენების გამოჩენა. ახალი, უცნობი საგნები და მოვლენები ცნობიერებაში აღძრავენ მათი გაცნობიერებისაკენ მიმართულ ინტერესს, რაც აუცილებლობით იწვევს სასიცოცხლო რიგის წონასწორობის დარღვევას. მეორე საფეხურზე იწყება ცნობიერების ამ დარღვეული წონასწორობის აღდგენის ცდა. ადამიანი ცდილობს „ახალი“, „უცნობი“, „უჩვეულო“ საგნებისა და მოვლენების გაცნობიერებას. ცდილობს უცნობის ნაცნობზე დაყვანას. ბოლოს, მესამე საფეხურზე, „უცნობი“, „ნაცნობზე“ დაიყვანება, აღძრული ინტერესი კმაყოფილდება და სასიცოცხლო რიგიც ნორმალურ მდგომარეობას უბრუნდება.

⁶⁶ P. A в е н а р и у с, Критика чистого опыта, Москва, 1907, т. 1, гл. 39. 108

სასიცოცხლო რიგის კონკრეტული სახეები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან, მაგრამ პრინციპი ერთი აქვთ. ავენარიუსის აზრით, ამ პრინციპის განხორციელებას ადამიანი ცდილობს ძალის უმცირესი ხარჯვის გზით, რასაც მეტად დიდი ბიოლოგიური ფასი აქვს, რადგან ადამიანის ორგანიზმი, ნაკლები ძალის ხარჯვის გზით. უკეთესად ეგუება გარემოს.

ერთი სიტყვით, ზემოთ აღნიშნული ორივე პრინციპი ერთიმეორეს ამართლებს. მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს პირველ ყოვლისა ნიშნავს იმას, რომ ემპირიოკრიტიციზმის თანახმად შემეცნება არის არა ობიექტური სინამდვილის ასახვა, არამედ ადამიანის ორგანიზმის გარემოსთან შეგუება. ამიტომ ემპირიოკრიტიციზმში ჰუმანიტებად ცხადდება ის, რაც სასიცოცხლო რიგის წონასწორობას ძალის უმცირესი ხარჯვის გზით აღადგენს და ხელს შეუწყობს ორგანიზმის გარემოსთან ბიოლოგიურ შეგუებას. ამას კი თანამედროვე პრაგმატიკული თეორიების წარმომადგენლები არა მარტო ლეზულობენ, არამედ იყენებენ კიდევ. ამიტომ მახიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის წინააღმდეგ მიმართული მ. დავითაშვილის შრომები დღესაც არ კარგავენ თავიანთ აქტუალურ ხასიათს.

3. „სამყაროს ადამიანურ გაგებაში“ რ. ავენარიუსმა წამოაყენა და დაამუშავა ინტროექციის პრინციპი. ერთი შეხედვით თითქოს ამ პრინციპს ზემოთ აღნიშნულ პრინციპებთან საერთო არაფერი აქვს. მაგრამ არსებითად „სამყაროს ადამიანური გაგება“ „წმინდა ცდის კრიტიკის“ ზოგიერთ ნაწილებზე აღრე იქნა შემუშავებული⁶⁷ და იმავე სუბიექტური იდეალიზმის დასაბუთებას ემსახურება, რასაც „წმინდა ცდის კრიტიკა“ და „წმინდა ცდის პროლეგომენები“.

„სამყაროს ადამიანურ გაგებაში“ რ. ავენარიუსს ჯერ განხილული აქვს სამყაროს ბუნებრივი გაგება, შემდეგ სამყაროს ბუნებრივი წარმოდგენის ვარიაციები, ხოლო ბოლოს, პრინციპული კოორდინაციის, ანუ სამყაროს ბუნებრივი გაგების აღდგენის ცდა.

ჩემი ფოლოსოფოსობის დასაწყისში, წერს ავენარიუსი, მე ჩემს თავს, ჩემი გრძნობებით და აზრებით, ყოველთვის იმ გარემომცველ გარემოში ვპოულობდი, რომელსაც სხვა ურთიერთ დამოკიდებულ ნაწილებთან ერთად, თავიანთი მოქმედებით და გამოთქმებით, ჩემი ახლობელი ადამიანებიც ეკუთვნოდნენ⁶⁸. როდესაც მე მათ ქცევას ვაკვირდებოდი ვფიქრობდი: ჩემი ახლობლებიც ისეთივე არსებანი

⁶⁷ P. А вен а р и у с, Человеческое понимание о мире, Москва, 1909, 33. V.

⁶⁸ იქვე. 33. 4.

არიან, როგორც მე და პირიქით, მეც ისეთივე არსება ვარ, როგორც ისინი.

ფორმალურ-ლოგიკური თვალსაზრისით ჩემი პირველი წარმოდგენა სამყაროზე, განაგრძობს ავენარიუსი, შეიძლება ორ ფასეულობად გაიყოს: ცდისეულად და ჰიპოთეზურად⁶⁹. ცდისეული ნაწილი აერთიანებს გარემომცველ გარემოს თავის შემადგენელი ნაწილებით, ჩემს ახლობლებს, ცდის ნაწილების ურთიერთ დამოკიდებულებას და, ბოლოს, ცდაში შევდივარ მეც. ჰიპოთეზური ნაწილი კი აერთიანებს ჩემი და ჩემი ახლობლების მოქმედება-გამოთქმებს⁷⁰. მაგრამ, როგორც ითქვა, ეს განსხვავება ფორმალურია და შინაარსობრივად ისინი ერთიმეორეს ეთანხმებიან⁷¹.

ცდაში მოცემული საგანი ცდის საგანია. იგი შეიმეცნება თავის საშუალებით თავისთავში, როგორც „აღქმული საგანი“. სამყაროს ბუნებრივი გაგების თანახმად „საგნის აღქმა“ და „საგანი“ ერთი დივივია⁷².

სამყაროს ბუნებრივი წარმოდგენა დაირღვა ინტროექციის გზით. ინტროექციის ძალით ინდივიდი მოცემულად პოულობს, ერთი მხრივ, გარე სამყაროს შემადგენელ ნაწილებს, როგორც საგნებს, ხოლო, მეორე მხრივ, ინდივიდებს, რომლებიც აღიქვამენ საგნებს⁷³.

ინტროექციის გზით ემპირიულად მოცემული სამყაროს ერთიანობა ორ ნაწილად იყოფა: გარეგან და შინაგან სამყაროდ, ანუ ობიექტად და სუბიექტად⁷⁴. ამ თვალსაზრისის თანახმად ხდება ობიექტურის სუბიექტურში ასახვა. გარეგანი სინამდვილის სურათის ტვინში „ჩაღდება“, „ინტროექცირება“. ინტროექციამ აუცილებლობით მოითხოვა პროექცია, გარეთ გატანა. მაგრამ, რადგანაც შეგრძნება და წარმოდგენა სულაც არ არიან ტვინში, ამიტომ მათ არ ჰქირდება პროექცირება, გარეთ გატანა.

ტვინი აზროვნების არც ადგილსამყოფელია, არც საჯდომი, არც მწარმოებელი, არც იარაღი, არც ორგანო, არც მატარებელი და არც სუბსტრატი. არც აზროვნება არის ტვინის ბინადარი, ან მბრძანებელი

⁶⁹ P. Авенариус, დასახ. შრომა, გვ. 5.

⁷⁰ იქვე, გვ. 6—7.

⁷¹ იქვე, გვ. 8—9.

⁷² იქვე, გვ. 25.

⁷³ იქვე, გვ. 26.

⁷⁴ იქვე, გვ. 27.

ლი. მეორე ნახევარი, ან მხარე. აზროვნება არც ტვინის პროდუქტია, არც ფიზიოლოგიური ფუნქცია და არც მისი რაიმე მდგომარეობა⁷⁵.

ინტროექცია ლოგიკურად უსუსური თეორიაა. ამიტომ იგი საიკვდილოდ არის განწირული, — წერს ამავე წიგნის „დამატება-ში“ რ. ავენარიუსი. ინტროექციის გამორიცხვით ჩვენ აღვადგენთ სამყაროს ბუნებრივ სურათს. ამისათვის საჭიროა, რომ არ გავცდეთ ჩვენს საკუთარ ცდას, სადაც ჩვენი გარემომცველი გარემოს და ჩვენი „მე“-ს შემადგენელი ნაწილები არაფრით არ განსხვავდებიან. ის, რაც სიტყვა „მე“-თი აღნიშნება თავისთავად სხვა არაფერია; თუ არა რაღაც იმდაგვარი და იმავე აზრით მოცემული, როგორც მაგ. სიტყვა „ხე“⁷⁶.

ცდაში მოცემულობის აზრით „მე“ და „ხე“ ერთი და იგივე შინაარსისანი არიან. თუ საერთოდ შეიძლება ლაპარაკი მოცემულობაზე, მაშინ უნდა ვილაპარაკოთ, როგორც ურთიერთ დაპირისპირებულ „მე“-სა და „გარემოზე“. ცდაში კი, განაგრძობს ავენარიუსი, „მე“-თი აღნიშნული იმავე აზრით არის მოცემული, როგორც „ხე“ და პირიქით. მოცემულობის თვალსაზრისით „მე“ და „ხე“ ერთ სიმალღეზე დგანან. ამიტომ, დაასკვნის ავენარიუსი, „მე“ და „ხე“ ერთი და იგივე შინაარსის ელემენტების კომპლექსები არიან⁷⁷.

ერთი სიტყვით, წერს ავენარიუსი, ცდა, რომელიც შეიძლება მე აღვწერო ყოველთვის მოიცავს „მე“-ს და გარემოს. „მე“ ყოველთვის განიცდება, როგორც რაღაც გარემოთი გარემოცული, ხოლო გარემო მაგ. „ხე“ როგორც რაღაც „მე“-ს მოპირდაპირედ მდგარი. „მე“ და „გარემო“ არც განშუალებული და არც უშუალო მოცემულობის კონტრასტებით არ განსხვავდებიან. ასევე ისინი არ განსხვავდებიან ობიექტურობისა და სუბიექტურობის კონტრასტობით⁷⁸. აქ, უბრალოდ, „მე“-სა და „გარემოს“ კოორდინაციაა. არის „მე“ — არის „გარემო“, არის „გარემო“ — არის „მე“. ყოველი ცდისათვის დამახასიათებელ კოორდინაციას, რომელშიც სიტყვა „მე“-თი აღნიშნება მისი მუდმივი წევრი, ხოლო გარემოს ცნობილი ნაწილით — ცვალებადი წევრი, ავენარიუსი უწოდებს — პრინციპულ კოორდინაციას⁷⁹.

⁷⁵ P. А венариус, დასახ. შრომა, გვ. 69.

⁷⁶ იქვე, გვ. 74.

⁷⁷ იქვე, გვ. 74.

⁷⁸ იქვე, გვ. 75.

⁷⁹ იქვე, გვ. 75—76.

პრინციპული კოორდინაციაში ავენარიუსი „მე“-ს თვლის ცენტრალურ წევრად, ხოლო „გარემოს“—მომპირდაპირე წევრად. ორივეს ერთად კი—ემპირიოკრიტიკულ მოცემულობად (Der empirio-kritische Befund).

ავენარიუსის აზრით, პრინციპულმა კოორდინაციამ მოხსნა სუბსტანციის გაგების ის პრინციპი, რომელსაც ინტროექციის თვალსაზრისზე მდგომნი იცავენ და სამყაროს ბუნებრივი გაგება აღადგინა. ნამდვილად კი სამყაროს სწორი, მეცნიერული გაგების მაგივრად რ. ავენარიუსმა აღადგინა ის სუბიექტური იდეალიზმი, რომელსაც ბერკლი და ფიხტე ქადაგებდნენ.

ვ. ი. ლენინი სწორედ ასეთ კლასიფიკაციას აძლევდა რ. ავენარიუსის ამ მოძღვრებას და წერდა, რომ: „...ემპირიოკრიტიციზმ“-ს ფილოსოფიის გამოსავალი წერტილი და ძირითადი წანამძღვარი სუბიექტური იდეალიზმია. სამყარო ჩვენი შეგრძნებაა, — აი ეს ძირითადი წანამძღვარი იჩქმალება, მაგრამ ოდნავადაც არ იცვლება სიტყვა „ელემენტით“ ან „დამოუკიდებელი რიგის“, „კოორდინაციის“ და „ინტროექციის“ თეორიებით. ამ ფილოსოფიის უაზრობა იმაშია, რომ მას მივყევართ სოლიფსიზმამდე, იმის აღიარებამდე, რომ მხოლოდ ერთადერთი ფილოსოფიურად მოაზროვნე ინდივიდი არსებობს“⁸⁰.

შეიძლება ითქვას, რომ საკაცობრიო ფილოსოფიური აზრის განვითარების გზაზე მახიზმსა და ემპირიოკრიტიციზმს არც ერთი ნაბიჯი წინ არ გადაუდგამს. პირიქით, კანტის სუბიექტური იდეალიზმის შემდეგადაც კი მახიზმი და ემპირიოკრიტიციზმი იყო ნაბიჯი უკან იუმისა და ბერკლისაკენ, სკეპტიციზმისა და ფიდეიზმისაკენ.

ყოველივე ეს კი მეცნიერების უკანასკნელ სიტყვად საღდებოდა რეაქციის წლებში, რის წინააღმდეგაც საქართველოში დიდობრძოლა აწარმოა მ. დავითაშვილმა.

⁸⁰ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 108.

თ ა ვ ი მ ე ხ თ ე

მიხეილ დავითაშვილის ბრძოლა მახისტური ფილოსოფიის წინააღმდეგ

მახისტური ფილოსოფიის მატაფიზიკურობისა და მემანიციზატურობის
შესახებ

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ქართულ მარქსისტულ ლიტერატურაში დღემდე მხოლოდ მიხეილ დავითაშვილის ორი სტატიაა ცნობილი, რომელთა ძირითადი აზრი და ამოცანა პირდაპირ არის მიმართული მახიზმის, როგორც სუბიექტური იდეალიზმის სახესხვაობის, თეორიული საფუძვლების სისტემატური კრიტიკისაკენ. ამ სტატიებში მ. დავითაშვილი პირველ რიგში ხაზს უსვამს მახისტური ფილოსოფიის მეტაფიზიკურ და მექანიცისტურ ხასიათს.

მახიზმი, წერს მ. დავითაშვილი პირველი სტატიის დასაწყისშივე, თავის ძირითად მიზნად ისახავს ყოვლის მომცველი ფილოსოფიური სისტემის შექმნას. ამისათვის მახიზმს ისეთი ქეშმარიტებანი ესაქიროება, რომელნიც გაწმენდილნი იქნებიან ყოველგვარი მეტაფიზიკურობისაგან და, მათი აზრით, მოხსნიან წინააღმდეგობას მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის. ასეთ ქეშმარიტებად მახისტები თვლიან უშუალოდ მოცემულ შეგრძნებას.

მაგრამ, განაგრძობს მ. დავითაშვილი, როგორ განმარტავენ მახისტები შეგრძნებას? მახისტებისათვის შეგრძნება არც ფიზიკურია და არც ფსიქიკური, იგი ნეიტრალურ-იგვევობრივია. ფიზიკურისა და ფსიქიკურის იგვევობრიობა კი, მახისტების აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ფიზიკურ ელემენტს შეუძლია „შევიდეს“ ჩვენს ცნობიერებაში და იქ კავშირი დაამყაროს ფსიქიკურთან, მაშინ ფიზიკური ელემენტი იქნება შეგრძნება და, პირიქით, შეგრძნებას შეუძლია კავშირში მოვიდეს ფიზიკურთან და მაშინ ის ფიზიკური

ელემენტი იქნება. ამ კავშირის გარეშე არც შეგრძნებაა ფსიქიკური და არც ელემენტია ფიზიკური, ისინი ნეიტრალური არიან¹.

ზოგადფილოსოფიური თვალსაზრისით მახისტიკისათვის შეგრძნებათა ჯამი არის ერთადერთი სინამდვილე, რომელიც მეცნიერული შემეცნების თვითკმარ საგანს წარმოადგენს. ხოლო ის, რაც ცდის მიღმა რჩება გამოცხადებულია მეტაფიზიკურად და უარყოფილია „აზროვნების ეკონომიის“ მიზნით. ამიტომ, დასძენს მ. დავითაშვილი, ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა დავიწყოთ იმ ძირითადი დებულებით, რომლის თანახმადაც მახიზმმა მარქსისტული ფილოსოფიის ყველა „დოგმა“ არა მარტო „ახსნა“, არამედ „მოხსნა“ კიდევ. ასეთ ძირითად დებულებად, როგორც ითქვა, მახიზმში გამოცხადებულია ფსიქიკური და ფიზიკური ელემენტების იგივეობა. მაგრამ „... თვით ძირი მახიზმისა — მოძღვრება ფსიქიკური და ფიზიკური ელემენტების იგივეობის შესახებ“—სრულიადაც ვერ ხსნის აზრისა და არსის, ცნობიერებისა და ყოფიერების ურთიერთ დამოკიდებულების საკითხს. პირიქით, „ყოფიერებისა და აზროვნების იგივეობის თვალსაზრისზე დადგომა ნიშნავს იმას, რომ უხეში მექანიკური ფორმით გვერდი აუარო თვით საკითხს“², გადაწყვეტის მაგივრად საკითხი გააყალიბო და შემდეგ მეცნიერული კვლევა-ძიების ქეშმარიტ მიღწევად გამოაცხადო.

„წინააღმდეგობა აზროვნება-ცნობიერებასა და ყოფიერებას შორის სინამდვილეში რომ რეალურად არსებობს, ამის უარყოფას ისიც კი ვერ შესძლებს, ვისთვისაც კაცობრიობის მთელი ისტორია... თავისი ურიცხვი ცთომილებით... ადამიანური შემეცნების ყველა დარგში შემთხვევითი არ არი“³. მაგრამ რით იყო გამოწვეული, რომ არსისა და აზრის გაიგივების ცდებს მაინც ჰქონდა ადგილი? პირველ ყოვლისა აზროვნების იმ მეტაფიზიკური წესით, პასუხობს მ. დავითაშვილი, რომლის თანახმადაც ამ წინააღმდეგობის მთავარ წევრს — გარეგან ობიექტურ სამყაროს — ფილოსოფოსები განსახილველად, ასახსნელად სვამდნენ თავიანთი კაბინეტური ფილოსოფიის ლოგიკის წინაშე. „ხოლო იმდენად რამდენადაც ლოგიკა წინააღმდეგობებს არ ითმენს, მთელი ცოცხალი წინააღმ-

¹ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რვ. 2, ფურ. 86—87.

² იქვე, ფურ. 86.

³ იქვე, ფურ. 94.

დეგობებით აღსავეს სინამდვილე — სამყარო. ყოფიერება — კაბინეტიდან, ფილოსოფიური სისტემებიდან იღვენებოდა“⁴.

კაბინეტური ფილოსოფიის ასეთმა ლოგიკამ თავისი გამოკვეთილი სახე პირველად ელექტების ფილოსოფიაში მიიღო. „ხელმძღვანელობდნენ რა წინააღმდეგობის გადაწყვეტის (შეუძლებლობის—ფ. ნ.) ლოგიკური კანონით ელექტები არსს და აზრს, აზროვნებას და ყოფიერებას (თანამედროვე ცივილიზებული ტერმინოლოგიის მიხედვით — ფიზიკურს და ფსიქიკურს) იგივეობრივად აცხადებდნენ“⁵. ელექტები ვერ ხსნიდნენ წინააღმდეგობრივ სინამდვილეს და ამიტომ, წინააღმდეგობის შეუძლებლობის ლოგიკური კანონის მსგავსად, რეალური სინამდვილის წინააღმდეგობანიც შეუძლებლად მიაჩნდათ. ამ გზით ელექტებმა უარყვეს და მოჩვენებად გამოაცხადეს „მოძრაობის“, „ცვალებალობის“ და „სიმრავლის“ რეალური არსებობა. ერთი სიტყვით, აზრისა და არსის დაპირისპირების უარყოფის გზით, ელექტებმა სამყარო გამოაცხადეს „... თავის-თავის ტოლ, უცვლელ და უმოძრაო მთელად“⁶.

ელეატური მეტაფიზიკიდან განვითარდა და თითქმის ისევე ელეატურ მეტაფიზიკას დაუბრუნდა ყველა მომდევნო იდეალისტური ფილოსოფიური სკოლა და სისტემა. განვითარების ამ ხაზზე კი იდეალიზმს თავისი აღმავალ-დაღმავალი პერიოდება ჰქონდა. ეს სრულიად კანონზომიერი მოვლენა იყო, რადგან ისევე, „როგორც ყოველივე იდეალიზმიც წინააღმდეგობის გზით ვითარდებოდა“⁷.

ერთი ასეთი „კრიტიკული მომენტი“ იდეალიზმმა გადაიტანა მაშინ, როდესაც არა მარტო „მარადიული და უცვლელი ჭეშმარიტებანი“ მოექცნენ მწვალებლური ექვების ქვეშ, არამედ „ლოგიკის შემოქმედებითი ძალა“ და „გონების შემოქმედებითი უნარებიც“. და აი ამ დროს, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა „შემეცნების კრიტიკა“. შემეცნების იდეალისტურ კრიტიკას კი მხოლოდ ის შეეძლო, რომ შემეცნების საზღვრების აღიარებამდე მისულიყო და, მართლაც, ეს ასე მოხდა⁸.

4 სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, 2. დავითაშვილის ფონდი, რე. 2, ფურ. 94.

⁵ იქვე, ფურ. 95.

⁶ იქვე.

⁷ იქვე.

⁸ იქვე.

კანტმა, რომელმაც პირველმა დაუსახა თავის თავს ფართო ამოცანა— შეექმნა თანმიმდევრული იდეალისტური შემეცნების თეორია — შემეცნების საზღვრების აღიარებამდე მივიდა. ის, „რაც ამ საზღვრების გარეთ იყო კანტმა მეტაფიზიკის სრულ საკუთრებად გამოაცხადა, მაგრამ მეტაფიზიკა იქ უნდა შესულიყო რწმენის და არა განსჯის გზით, მაშასადამე, მეტაფიზიკას უარი უნდა ეთქვა მეცნიერებაზე“. ამით „კრიტიკული იდეალიზმი“ წინააღმდეგობაში მოდიოდა, როგორც თავისთავთან, ისე აზრისა და არსის იგივეობის თავის ძველისძველ დებულებასთან. ამიტომ, დასძენდა მ. დავითაშვილი, „კ რ ი ტ ი კ უ ლ ი ი დ ე ა ლ ი ზ მ ი“ არასდროს არ შეიძლებოდა იდეალიზმის „თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ ე რ უ ლ ი“ ფორმა ყოფილიყო. პირიქით, უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყვოდით, რომ „...თანმიმდევრული იდეალიზმი და კრიტიკული იდეალიზმი... ერთი და იგივე არ არის“⁹. უფრო მეტიც, ისინი არა მარტო წინააღმდეგობაში იყვნენ ყოველთვის, არამედ ერთიმეორესაც ებრძოდნენ: ამ უკანასკნელის საბუთად შეიძლება მოვიტანოთ ისევე ის, რომ „იდეალიზმს დღემდე არ შეუძლია აპატიოს კანტს მისი მოძღვრება „საგანზე თავისთავად“ და მის არაშემეცნობადობაზე, რადგან პირველით კანტმა სინამდვილისადმის ძალიან დიდი დათმობა გააკეთა, ხოლო მეორეთი იდეალიზმის ორგანული ავადმყოფობა გასცა“¹¹.

თუმცა, წერდა მ. დავითაშვილი, ამ გარემოებას არსისა და აზრის, ანუ ფიზიკურისა და ფსიქიკურის იგივეობის ახალ-ახალი, იდეალისტური „დასაბუთების“ ცდისათვის ხელი არ შეუშლია, პირიქით, ბერკლისა და იუმის ცალმხრივი სუბიექტური იდეალიზმის ნაცვლად (რომელთა ცალმხრიობის დაძლევის დროსაც კანტი გამოუვალ წინააღმდეგობაში ჩავარდა), ჰეგელის ობიექტური იდეალიზმის ის თანმიმდევრული ფორმა აღმოცენდა, რომელშიც არსისა და აზრის ურთიერთ დაპირისპირება აბსოლუტურ იდეაში, როგორც თვითარსსა და თვითქმნადში, საბოლოოდ „მოიხსნა“.

მაგრამ მანმა და ავენარიუსმა ჰეგელის ობიექტური იდეალიზმი არსისა და აზრის იგივეობის „დასაბუთების“ საბოლოო ინსტანციად არ მიიჩნიეს. მუშათა რევოლუციური თეორიის, მარქსიზმის შერყვნის მიზნით არსისა და აზრის იგივეობის პრობლემის „მატერიალისტურ“ სამოსელში გახვევა სცადეს და მთელი სინამდვილე. ანუ, როგორც ისინი უწოდებენ, „ნამდვილი სამყარო“ ნეიტრალურ-

⁹ სკკ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რვ. 2, ფურ. 95.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე, ფურ. 96.

იგივეობრივი „ელემენტების“ ერთობლიობად გამოაცხადეს. ცხადია, მახმა და ავენარიუსმა ამით „იდეალიზმისა და მატერიალიზმის ცალმხრიობანი“ ვერ გადალახეს და ყოვლის მომკველი ფილოსოფია ვერ შექმნეს. ისინი მხოლოდ აზროვნების ძველ მექანიცისტურ-მეტაფიზიკურ წესს დაუბრუნდნენ.

სინამდვილის მახისტური გაგების სუბიექტურ-იდეალისტური
ხასიათის შესახებ

მ. დავითაშვილმა სწორად გახსნა მახისტური ფილოსოფიის ძირითადი დებულება და მართებულად მიუთითა, რომ თავისთავად აღებული, თუ ის რაიმე კავშირში არ იქნა განხილული, მახისტისათვის არც ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული ფიზიკური (ელემენტი) არის ფიზიკური და არც ჩვენი ფსიქიკური (შეგრძნება) არის ფსიქიკური. უფრო სწორად, ისინი ერთიკაა და მეორეც: „ფიზიკური“ არის „ფსიქიკური“ და „ფსიქიკური“ არის „ფიზიკური“, „ელემენტი“ არის „შეგრძნება“ და „შეგრძნება“ არის „ელემენტი“.

მახიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში, წერს მ. დავითაშვილი, ასეთი „ელემენტებისაგან“ აგებული სამყარო „ნამდვილი სამყაროა“ და ის განუწყვეტლივ იზრდება. ამას არც ერთი მახისტი არ უარყოფს, მაგ., ნ. ო-ნი წერს: „ჩვენთვის, ფილოსოფიურად მოაზროვნე სუბიექტისათვის სამყარო არადროს უცვლელ სიდიდედ არ რჩება. თითველ ახალ დღეს, ახალ საათს ჩვენთვის მოაქვს ახალი ფაქტები, ახალი მოვლენები, ახალი აღმოჩენები, სამყარო „იზრდება“¹².

მახისტურად გაგებული სინამდვილე სუბიექტური სინამდვილეა. იგი მხოლოდ შემმეცნებელის თავში არსებობს და, უკეთეს შემთხვევაში, კანონზომიერებასაც სუბიექტისას ემორჩილება. მახისტისათვის ქრება გარეგანი სინამდვილე და ერთადერთ სინამდვილედ, „ნამდვილ სამყაროდ“ შეგრძნებათა ჯამი ცხადდება.

მაგრამ ყოველივე ეს, პირველ ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ ემპირიზმის მთავარი პრინციპი მახიზმშიაც განუყოფლადაა დაცული. „ცდის“ მიღმა გასვლა მახისტსაც შეუძლებლად მიაჩნია, ამიტომ ყოველივე ის. რაც „ცდის“ მიღმა რჩება მახიზმსა და ემპირიოკრი-

¹² სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რე. 2, ფურ. 93.

ტიციზმში მეტაფიზიკურადღა გამოცხადებული. მეტაფიზიკურზე, როგორც „ცდის“ მიღმა მდგომზე მახისტს არაფრის თქმა არ შეუძლია. მახისტის აზრით ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ მხოლოდ ის, რაც „ცდაში“ გვეძლევა და ამიტომ არსებობაც მხოლოდ ამ უკანასკნელს ენიჭება. ეს კი, ფაქტიურად, ნიშნავს იმას, რომ აზროვნების შინაარსი გარეგან სინამდვილეს უიგივდება და ერთადერთ სინამდვილედ, „ნამდვილ სამყაროდ“ ცნობიერების ფაქტი ცხადდება.

მახიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში გარეგანი ფიზიკური საგნის შემადგენელი ელემენტები ჯერ ჩვენს ფსიქიკურ შეგრძნებებთანაა გაიგივებული, ხოლო შემდეგ, აზროვნების ეკონომიის მიზნით, გარეგანი, ფიზიკური სინამდვილე სრულიად მოხსნილია.

მაგრამ, დასძენს მ. დავითაშვილი, ყოველივე ეს ახალი აღმოჩენა არ არის. ამას ჯერ კიდევ ბერკლი და იუმი ქადაგებდნენ. ისინიც ერთადერთ სინამდვილედ „შეგრძნებათა ჯამს“ აცხადებდნენ და ცალმხრივი ემპირიზმის პოზიციებიდან „ცდის“ ფარგლებს ვერ სცილდებოდნენ. მაგალითად, იუმი პირდაპირ წერდა, რომ „ის, რაც ცდის გარეთ არის ჩვენ არ ვიცითო“¹³.

თავის ხელნაწერების სხვადასხვა ფურცლებზე მ. დავითაშვილი დაწვრილებით განიხილავს მახისტური ფილოსოფიის წყაროებს და აღნიშნავს, რომ ბერკლისა და იუმის გარდა თითქმის იგივეს ქადაგებდა კანტიც: რომელიც კითხვაზე; — რა არის „ნამდვილი“ სამყარო — შემდეგ პასუხს იძლეოდა: „ეს არის მოვლენები, საგნები ჩვენთვის, შეგრძნებებიო“¹⁴. მაგრამ კანტს ერთგვარი გადახვევებიც ქონდა; ეს გადახვევები მატერიალიზმის სასარგებლოდ ლაპარაკობდნენ.

მართალია, კანტისათვის „ნამდვილი სამყარო“ არის მოვლენები, „საგნები ჩვენთვის“, შეგრძნებები, მაგრამ კანტისათვის, დასძენს იქვე მ. დავითაშვილი „... შე გ რ ძ ნ ე ბ ე ბ ი „თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ი ს ა გ ნ ე ბ ი თ“ ჩ ვ ე ნ ი გ რ ძ ნ ო ბ ა დ ო ბ ი ს „ა ფ ი ც ი რ ე ბ ი ს“, ა ღ გ ზ ნ ე ბ ი ს შ ე დ ე გ ი ა; ა ი ა ქ, ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ ა მ ა დ გ ი ლ ზ ე, ა ქ ტ ი უ რ რ ო ლ შ ი გ ა მ ო დ ი ს ჩ ვ ე ნ ი შ ე მ ე ც ნ ე ბ ი თ ი უ ნ ა რ ი ს ა თ ვ ი ს, გ რ ძ ნ ო ბ ა დ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს რ ა ლ ა ც გ ა რ ე გ ა ნ ი, „ს ა გ ა ნ ი თ ა ვ ი ს თ ა-

¹³ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რე. 1, ფურ. 65.

¹⁴ იქვე, რე. 2, ფურ. 97.

ვად“, ხოლო გრძნობადობა პასიურ როლს თამაშობს“¹⁵. ამ პუნქტში კანტი, მართლაც, მატერიალიზმისაკენ იხრება. „...მაგრამ შემდეგ კანტი საფუძვლიანად და არსებითად ასწორებს იდეალიზმის საქმეს“¹⁶. ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული სინამდვილე, ანუ „საგანი თავის თავად“. რომლისაგანაც შეგრძნებები წარმოსდგენენ კანტთან სრულიად უყურადღებოდ რჩება. კანტის აზრით ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე ვიცოდეთ „თავისთავადი საგნის“ შესახებ. იგი ნამდვილი დროის და ნამდვილი სივრცის გარეშე დგას და მაზე მსჯელობა შეუძლებელია. ჩვენ არ ვიცით რა არის ის. ჩვენ ვიცით მხოლოდ ჩვენი შეგრძნებები, ჩვენი წარმოდგენები, რომელთაც ჩვენს სუბიექტურ დროსა და სივრცეში მოვაწესრიგებთ.

მაშასადამე, გარეგანი ობიექტური სინამდვილის გვერდით, ანუ, როგორც ის უწოდებს, „თავის თავადი საგნის“ გვერდით კანტი ახალ სუბიექტურ სინამდვილეს აგებს. ამ სუბიექტურ სინამდვილეს კანტი თითონ კარნახობს ყოველგვარ კანონზომიერებას და გარეგანი ობიექტური სინამდვილისაგან აბსოლუტურად წყვეტს. ეს გარემოება კი სრულიად გამოუვალ წინააღმდეგობაში აგდებს მას. „ერთ შემთხვევაში კანტი ლაპარაკობს „თავისთავადი საგნის“ მიერ ჩვენი გრძნობადობის „აფიცირებაზე“ (აღგზნებაზე), რის შედეგადაც შეგრძნება მიიღება, მეორე შემთხვევაში კი იგი ლაპარაკობს „თავისთავადი საგნების“ დროისა და სივრცის“ „მიზნობრიობის კატეგორიის“ გარეშე არსებობაზე. მაგრამ ეს წინააღმდეგობაა. როგორ შეიძლება არამიზნობრივი შეგრძნების მიზეზი იყოს, დროისა და სივრცის გარეშე არსებული, დროსა და სივრცეში არსებული მოვლენების მიზეზი იყოს“¹⁷?

ერთი სიტყვით, არც ბერკლის და იუმისათვის, არც კანტი და არც მახისტებისათვის „ნამდვილი სამყარო“ ის სამყარო არ არის, რომელიც ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებულ „...ნამდვილ დროსა და სივრცეში საკუთარი კანონებისა და მიზეზების შესაბამის მოძრაობა-განვითარებაში იმყოფება“¹⁸. მათთვის „ნამდვილი სამყარო“ — ცდაში მოცემულ გრძნობად-წარმოდგენითი მასალის ის ერთობლიობაა, რომელიც ყოველ „ახალ აღმოჩენასთან ერთად“ იზრდება. ამნაირად გაგებული სამყარო შეიძლება, მართ-

¹⁵ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, შ. დავითაშვილის ფონდი, რე. 1, ფურ. 65.

¹⁶ იქვე.

¹⁷ იქვე, რე. 2, ფურ. 99.

¹⁸ იქვე, ფურ. 69.

ლაც: „იზრდებოდეს“. ჩვენ, განაგრძობს მ. დავითაშვილი, ამაში ვეთანხმებით მახისტ ნ. ო-ს, მაგრამ ნ. ო-ი სრულიად უსაფუძვლოდ არ ეთანხმება ვ. ი: ლენინს იმაში, რომ თითქოს ყოველივე „... ეს არავითარ საფუძველს არ გვაძლევს იმისათვის, რომ მახი, იუმი და ბერკელი ერთ ჭკუფში მოვაქციოთ“¹⁹; ჩვენ კი, დასძენს მ. დავითაშვილი, ლენინთან ერთად, ვიმეორებთ, რომ მახიზმი და ემპირიოკრიტიციზმი არის ბერკლისა და იუმის ძველი ფილოსოფიური დებულებების გამეორება, რასაც პრინციპულად უპირისპირდება მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმი.

„დიალექტიკური მატერიალიზმი გამოდის იქიდან, რომ იგი აღიარებს ნამდვილ სამყაროს ჩვენი ცნობიერებისაგან, აზროვნებისაგან დამოუკიდებლად არსებობას“²⁰. ამ ერთადერთი მეცნიერული მსოფლმხედველობის თანახმად ადამიანი, ადამიანური აზროვნება არ არის ობიექტური სინამდვილის არსებობის პირობა. პირიქით, ადამიანი და მისი აზროვნება თითონ არის გარეგანი ობიექტური სინამდვილის განვითარების უმაღლესი პროდუქტი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებამ საკმაოდ საფუძვლიანად დაასაბუთა ის აზრი, რომ გარეგანი სინამდვილე, ბუნება ადამიანის გაჩენამდე ადრე არსებობდა, ე. ი. იყო დრო, როცა ადამიანი არ იყო.

აქედან კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ობიექტური სინამდვილე ადამიანის მოსაზრების შემთხვევაშიაც იარსებებს. მახიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში კი პირიქით, „ნამდვილი სამყარო“, ანუ ის ერთადერთი სინამდვილე, რომელიც „ფილოსოფიურად მოაზროვნე“, შემშეცნებელი სუბიექტის თავში ყოველდღიურად „იზრდება“, ამავე სუბიექტის დაღუპვასთან ერთად უნდა დაიღუპოს. ეს კი ამ მოძღვრების არამეცნიერულობას ამჟღავნებს.

მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებულ სინამდვილეში არც არაფერი იკარგება და არც არაფერი მატერიისაგან განსხვავებული წარმოიქმნება. ამიტომ, დასძენს მ. დავითაშვილი, მახისტური „სამყაროსაგან“ განსხვავებით იგი არ იზრდება“. ობიექტური სინამდვილეში მხოლოდ ის ხდება, რომ ერთი სახის თვისობრიობა მეორე სახის თვისობრიობად გარდაიქმნება. მაგრამ „...დიალექტიკური მატერიალიზმი ამ შემთხვევაშიაც ენდობა თავის დიალექტიკას, რომელსაც თვისობრივი გარდაქმნები

¹⁹ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რვ. 2, ფურ. 85.

²⁰ იქვე, ფურ. 97.

და განსხვავებანი, რიცხობრივ ცვლილებებზე და ერთიანობაზე დაკ-
ყავს²¹.

მ. დავითაშვილმა კარგად იცოდა, რომ მახმა და მახისტებმა არა
მარტო „სამყაროს“ ცნების გაგებაში გაიმეორეს ბერკლი და იუმი,
არამედ „სამყაროს“, როგორც ასეთის ახსნა-განმარტებაშიც. ამასთან
ერთად მან იცოდა ისიც, რომ თუ „ოდნაეი“ მერყეობის შემდეგ
„სამყაროს“ ცნების გაგებაში კანტი პრინციპულად ბერკლისა და
იუმისეულ გაგებას დაუბრუნდა, შემდეგ ამავე „სამყაროს“ ახსნა-
განმარტებაში იგი მათ დაუპირისპირდა. ამ თავისებურებათა გათვა-
ლისწინების შედეგად მ. დავითაშვილმა სწორად წარმართა ბრძო-
ლა, როგორც მახისტური ფილოსოფიის, ისე ამ უკანასკნელის სუბი-
ექტურ-იდეალისტური წყაროების წინააღმდეგ. ყოველივე ამიტომ
მ. დავითაშვილის მიერ მახისტური ფილოსოფიის კრიტიკა სუბიექ-
ტური იდეალიზმის საერთო კრიტიკად იქცევა.

ცალმხრივი ემპირიზმის პოზიციაზე მდგომ მაჩისტებს, წერს
მ. დავითაშვილი. „დოგმატიზმის“ სფეროში მოხვედრის შიშით, არ
სურთ ცდაში უშუალოდ მოცემულ მოვლენათა საზღვრებს გასცდ-
ნენ. ეს შიში კი იმდენად დიდია, რომ „ნ.ო-ი. ისევე ლაპარაკობს
შეგრძნება-ელემენტების კავშირზე, როგორც რაღაც „ელემენტე-
ბივით“ უშუალოდ მოცემულზე“²². საგანთა და მოვლენათა შორის
არსებული კავშირების ცდაში უშუალოდ მოცემულობაზე ლაპარა-
კი კი: დასძენს მ. დავითაშვილი, „დოგმატიზმის“ მიმართ ემპირიზმის
ერთგვარი „შესუსტება“²³. ეს „შესუსტება“ პირველ ყოვლისა გა-
მოიხატება იმაში, რომ მახისტებმა მაინც აღიარეს სინამდვილის
„რაღაც განშუალებული“ მოვლენების არსებობა. მაგრამ ამ უკანას-
კნელზე ისე დაიწყეს მსჯელობა, როგორც უშუალოდ მოცემულზე,
რაც ნაკარნახევი და განპირობებული იყო ემპირიზმის იმ ძირითადი
დებულებით, რომელიც ამბობს: „ცდაში უშუალოდ მოცემულ მოვ-
ლენათა იქით არაფერი არ არსებობს“. ემპირიზმის ამ დებულებისათ-
ვის მახისტებს არ უღალატიათ. პირიქით, ამ პრინციპის თანახმად
„შე“-ს საზღვრები ჭერ იქამდე გაათართოვეს, რომ მთელი სამყარო
„შე“-ში მოაქციეს, ხოლო შემდეგ თავიანთ მიერ შექმნილი „სამყა-
რო“ ამავე პრინციპით ახსნეს.

²¹ სკვპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი,
მ. დავითაშვილის ფონდი, რე. 2, ფურ. 89.

²² იქვე, ფურ. 91.

²³ იქვე.

ცხადია, ემპირიზმის ცალმხრივი პრინციპებით შემოფარგლული მახისტები სინამდვილის ახსნა-განმარტების დროსაც ამ სფეროში უნდა დარჩენილიყვნენ. ასეც მოხდა. მახისტებმა აღიარეს, რომ სინამდვილის საგანთა და მოვლენათა შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. „სამყაროს“ შემადგენელი ელემენტები არავითარ კავშირში არ იმყოფებიან. მათ შორის რაიმე კავშირი რომ არსებობდეს, მაშინ იგი „ცდაში“ მოგვეცემოდა. რაკი ამ უქანასკნელს ცდაში აღვადგინო არა აქვს, იგი არც არსებობს.

მახისტების აზრით, სინამდვილის საგნები და მოვლენები. რომელთაც ჩვენ ერთიმეორის გვერდით და ერთიმეორის შემდეგ ეხვდებით, შეიძლება აღვწეროთ და ამ „აღწერას“ ზოგიერთი ლოგიკური ხასიათის „დანამატი“ გავუკეთოთ. მაგრამ რას ნიშნავს „ლოგიკური ხასიათის დანამატი?“ ნ. ო.-ს ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, წერს მ. დავითაშვილი, „ლოგიკური დანამატი“ ნიშნავს ჩვენი გონების მოღვაწეობის იმ შედეგს, რომლის თანახმადაც „... განსხვავებულ თვისებათა მუდმივ კავშირში მოყვანის გზით წარმოდგენა და ცნება გვექნება მუდმივ საგნებზე“²⁴. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნ. ო.-ს ამით იმის თქმა სურს, რომ „განსხვავებულ მოვლენათა მუდმივ კავშირში მოყვანის გზით“, ჩვენი გონება, წარმოდგენისა და ცნების სახით იმ „კონცეპტს“ ქმნის, რომელსაც ყველა მახისტი და კერძოდ ნ. ო.-ი „ზოგადს“ უწოდებს.

მახისტურად გაგებული „სამყაროს“ კონცეპტუალისტური თვალსაზრისით „ახსნა“, ცხადია, ამ „სამყაროს“ შიგნით ყოველგვარი კანონზომიერების (ზოგადობის ყოველგვარი ფორმის), უარყოფას ნიშნავს. მ. დავითაშვილმა ეს ძალიან კარგად იცოდა და ამიტომ სრულიად სამართლიანად შენიშნა: ამ თვალსაზრისის აღიარების შემთხვევაში „... ან რწმენა უნდა მოვიწვიოთ მეცნიერების წინააღმდეგ, ან ჩაკეტილი დავრჩეთ ჩვენს შეგარძნებებში“²⁵.

მიხეილ დავითაშვილის ეს შენიშვნა მახისტური ფილოსოფიის ბრინციპულად სწორ შეფასებას წარმოადგენდა, რაც სრულიად მართებულად ამხელდა მახიზმის იმ კლასობრივ-რეაქციულ არსს, რომელსაც პირდაპირი გზით მივყავდით სოციალისტური რევოლუციის ისტორიულად აუცილებელი გამარჯვების უარყოფისაკენ.

²⁴ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რვ. 2, ფურ. 84.

²⁵ იქვე, ფურ. 90.

მახისტების მიერ სინამდვილის ყოველგვარი კანონზომიერების უარყოფა და სკეპტიციზმის აღიარება, განაგრძობს მ. დავითაშვილი, სრულიადაც არ არის ახალი მოვლენა. ამ საკითხშიაც მახისტები ისევე ბერკლისა და იუმს იმეორებენ. მაგ., იუმში პირდაპირ წერდა, რომ „ის, რაც ცდის ფარგლებს გარეთ არის ჩვენ არ ვიცით, ხოლო რაც მის ფარგლებშია, ცხადია, ის ნამდვილად საიმედო და მყარი შემეცნების არავითარ გარანტიას არ გვაძლევს“²⁶. სკეპტიციზმისა და აგნოსტიციზმის ამ დებულებაში. ცალმხრივმა სუბიექტივისტურმა ემპირიზმმა თავის ლოგიკურ დასრულებას მიაღწია. ამიტომ ამ თვალსაზრისზე მდგომი ვერც ერთი ფილოსოფიური სკოლა და ვერც ერთი ფილოსოფიური მიმდინარეობა აქედან უკან ვეღარ დაიხევდა. წინ კი გზა კანტის ფილოსოფიისაკენ მიდიოდა. მაგრამ მახისტებმა კანტის აპრიორულ კანონმდებლობაზე უარი თქვეს და იუმის სკეპტიციზმის ფარგლებში დარჩნენ.

ბერკლ-იუმისაგან განსხვავებით, წერს მ. დავითაშვილი, კანტისათვის შეგრძნებათა უწესრიგო თავმოყრა სამყაროს არ წარმოადგენს. შეგრძნებათა ქაოსი უნდა მოწესრიგდეს. მაგრამ, კანტის აზრით, შეგრძნებები თითონ ვერ მოწესრიგდებიან: „...შეგრძნებებს, მოვლენებს, „საგნებს ჩვენთვის“ დროულ-ვრცეული კავშირი ეძლევა არა „თავის თავადი საგნებისაგან“, რადგან ამ უკანასკნელთა სუბროში არც დრო არის და არც სივრცე, არამედ ჩვენი შემეცნებითი უნარისაგან“²⁷; ასევე „საგნებს თავის თავად“ არ მიეწერება მიზეზობრიობა. მიზეზობრიობა, მატერიალურობა, განფენილობა, რიცხვი, ჯამი და ა. შ. ყველა ეს დამაკავშირებელი, გამაერთიანებელი ელემენტები ჩვენი კანსჯის აპრიორული, ტრანსცენდენტალური ფორმები არიან და მის მიერ შეიტანებიან მოვლენებში. „...მამასადამე, დაასკვნის მ. დავითაშვილი, კანტისათვის არც დრო, არც სივრცე, არც მოძრაობა, არც მატერიალურობა, არავითარი ჩვენთვის ცნობილი საგანთა ნიშანი, თავის თავად, ჩვენი გრძნობებისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს“²⁸.

კანტის აზრით, განაგრძობს მ. დავითაშვილი, ნამდვილი სამყარო თავისთავად პასიურია; „ყოველივე აქტიური მასში შეაქვს შემეცნებით უნარს“²⁹. ჩვენი ადამიანური უნარი მოაწესრიგებს ცდაში მო-

²⁶ სკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რე. 1, ფურ. 65.

²⁷ იქვე, რე. 2, ფურ. 97.

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე, ფურ. 96.

ცემულ შეგრძნებათა ქაოსს, შექმნის მოვლენათა აუცილებელ კავშირს და განვითარების აპრიორულ კანონზომიერებას დაუქვემდებარებს მთელ სინამდვილეს. კანტის ფილოსოფიის ეს მხარე მახიზმისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, ე. ი. მახისტებმა ყოველგვარი კანონზომიერების არსებობა უარყვეს და ამიტომ იუმიდან კანტისაკენ გზა აღარ გააგრძელეს.

მაშასადამე, დასკვნის მ. დავითაშვილი, მახიზმი უარყოფს ფილოსოფიის ძირითადი საკითხის დაყენებას, იუმის ფილოსოფიის მსგავსად, შემეცნების სფეროთი იფარგლება და „დოგმატიზმის“ შიშით ცდის ფარგლებს არ სცილდება. ამიტომ, ერთადერთი სინამდვილე მახისტისათვის ცდაში მოცემული ნეიტრალურ-იგივეობრივი „ელემენტების“ ის ერთობლიობაა, რომელიც არავითარ შინაგან კანონზომიერებას არ ექვემდებარება.



სინამდვილის მახისტურ გაგებას მ. დავითაშვილმა მარქსისტული მატერიალიზმი დაუპირისპირა. „...მატერიალიზმისათვის, წერდა მ. დავითაშვილი, ყოფიერება, გარემო, მატერია ერთმნიშვნელოვანი ცნებებია“³⁰. ამ ცნებათა ქვეშ მატერიალიზმი გუილსხმობს იმ ობიექტურ რეალობას, რომელიც ჩვენი „...ცნობიერებისაგან, აზროვნებისაგან დამოუკიდებლად არსებობს“³¹.

ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული სინამდვილე მ. დავითაშვილისათვის ის სუბიექტური „ცდა“ კი არ არის, რომლის მეშვეობითაც მახისტები „ნეიტრალურ-იგივეობრივი ელემენტებისაგან“, ისეთ „სამყაროს“ აგებენ, რომელიც თავისი ბუნებით „...არც მატერიალურია და არც იდეალური“³²; არამედ პირიქით, მ. დავითაშვილისათვის ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული სინამდვილის მრავალფეროვანი მოვლენები, რომელთა „...თვისობრივი გარდაქმნები და განსხვავებანი დიალექტიკურ მატერიალიზმს რიცხობრივ ცვლილებებზე და ერთიანობაზე დაჰყავს“³³, თავისი ბუნებით მატერიალურნი არიან.

მ. დავითაშვილის აზრით ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული სინამდვილე მახისტურად გაგებულ „სამყაროზე“ უფრო დიდი და უფრო მდიდარია. თუ მახისტისათვის სინამდვილე

³⁰ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რვ. 1, ფურ. 65.

³¹ იქვე, რვ. 2, ფურ. 97.

³² იქვე, რვ. 1, ფურ. 65.

³³ იქვე, რვ. 2, ფურ. 89.

„...საერთოდ არის ცდა“³⁴..., რომლის სივრცითი საზღვრები ადამიანის ცნობიერების ფარგლებს არ სცილდება, მ. დავითაშვილისათვის პირიქით, სინამდვილე — ადამიანური ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული ის ობიექტური რეალობაა, რომლის „...გარემო ფარგლები უსაზღვრო და უსასრულოა“³⁵. უსასრულო სინამდვილეს დასაბამი არ აქვს „...ნამდვილ დროსა და სივრცეში“³⁶... იგი მარადიულია.

მარადიული სინამდვილე მუდმივ მოძრაობა-განვითარებაში იმყოფება. ის, რაც გუშინ იყო დღეს უარყოფილი ხდება. ძველი კვდება და ახალი ჩნდება. აიღეთ თუნდაც საზოგადოებრივი ცხოვრება, წერს მ. დავითაშვილი, იყო დრო, როცა კერძო საკუთრება არ არსებობდა, როცა ხალხი ერთი უფლებით ცხოვრობდა. მაგრამ ცხოვრების განვითარებამ დაანგრია წარმოება განაწილების პირველყოფილი საზოგადოებრივი წესი და გაჩნდა კერძო საკუთრება. კერძო საკუთრებას აუცილებლობით მოჰყვა მონათმფლობელური, ფეოდალური და სხვა ფორმაციები. ერთი სიტყვით, არ არსებობს არაფერი მარადიული „...ცხოვრებაში ყველაფერი იცვლება, ყველაფერი ცვალებადია“³⁷.

ეს აზრი წითელ ზოლივით გასდევს მ. დავითაშვილის ნაწარმოებებს. სულერთია ეს უკანასკნელნი ენებიან ბუნების, საზოგადოების, თუ შემეცნების თეორიის საკითხებს. სინამდვილეს იგი ყველგან დიალექტიკურად განიხილავს, ე. ი. ისე „... როგორც ის თავისთავად არის“³⁸.

უსასრულო მატერიალური სინამდვილე, წერს მ. დავითაშვილი, საკუთარი ობიექტური კანონების შესაბამისად იცვლება და ვითარდება. ეს კანონები ჩვენი აზროვნების მიერ კი არ შეიტანებიან სინამდვილეში, როგორც ამას კანტი ფიქრობდა, არამედ პირიქით, ისინი ისევე ობიექტურად არსებობენ, როგორც თვით სინამდვილე. სინამდვილის ობიექტური კანონები, რომელნიც ჩვენს აზროვნებაზე არ არიან დამოკიდებულნი, ჩვენ შეგვიძლია „შევიგნოთ და დავიმონოთ“³⁹, ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ, მაგრამ ამით თავის ობიექტურ ხასიათს ისინი არ კარგავენ.

³⁴ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რვ. 1, ფურ. 65.

³⁵ იქვე, რვ. 1, ფურ. 65.

³⁶ იქვე, რვ. 2, ფურ. 98.

³⁷ წერილები ძმასთან, გვ. 21.

³⁸ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რვ. 2, ფურ. 98.

³⁹ წერილები ძმასთან, გვ. 11.

მართალია, დასძენს მ. დავითაშვილი, „ხალხს ძველი დროიდანვე სწამდა, რომ ყოვლად შემძლე და ყოვლის მცოდნე-ღმერთი ყველაფერს თავის ნებაზე აკეთებს, ყველა კაცის ცხოვრებას თვალყურს ადევნებს, კეთილს აჯილდოებს, ცოდვილს კი—ჭოჭოხეთისაჲკენ ისტუმრებს. და მაშინ, ძველად, სხვანაირად არც შეიძლებოდა ფიქრი. მაშინ ადამიანი ბუნების სრული მონა იყო. სიცივისაგან ის იყინებოდა, სიცხე აწუხებდა, ბნელი ღამისა ეშინოდა, დაბურული ტყე და მასში მცხოვრები მხეცები მას თავზარსა სცემდა, ქარი და გადიდებული მდინარეები მის ქოხმანს მას თავზე ანგრევდა. ბუნება მისი სრული ბატონი იყო, თითონ ადამიანი კი ვერაფრით ვერ მოქმედებდა ბუნებაზე და მას არც კი გაეგებოდა ამ ბუნების კანონებისა. მაგრამ შემდეგ ადამიანმა არსებობისათვის ბრძოლაში შეეცა ბუნების კანონები, დაიმონავე წყალისა და ქარის ძალა, გამოიყენა მზის სინათლე, მოიშინაურა ცხოველები“⁴⁰.

ადამიანს თანდათანობით გაუქრა ბუნების ყოველგვარი შიში და ბოლოს მიხვდა, რომ ჩვენი „...აზროვნების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სამყარო შეიმეცნოს მის მატერიალურობაში, ე. ი. ისე, როგორც ის თავისთავად არის, აზროვნებისა და გრძნობებისაგან დამოუკიდებლად, ნამდვილ დროსა და სივრცეში, საკუთარი კანონებისა და მიზეზების შესაბამის მოძრაობა-განვითარებაში მყოფი“⁴¹.

მაშასადამე, ერთიანი მატერიალური სინამდვილე, რომელიც უსასრულოა, როგორც დროის, ისე სივრცის მიხედვით, რომელიც საკუთარი ობიექტურად არსებული კანონების შესაბამის მუდმივ მოძრაობა-განვითარებაში იმყოფება, მ. დავითაშვილის აზრით, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად და მის გარეთ იმყოფება.

ზემოთ ნათქვამიდან ცხადია ისიც, რომ მ. დავითაშვილი გარეგანი სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს მათი შესაბამისი კანონებისაგან დამოუკიდებლად კი არ წარმოადგენს და განიხილავს, არამედ მათთან ერთიანობაში და მათთან კავშირში. ერთი სიტყვით, მ. დავითაშვილს სინამდვილედ მარტო ის კი არ აქვს წარმოდგენილი, რაც უშუალოდ აღქმაში გვეძლევა, არამედ პირიქით, სინამდვილე — მას წარმოდგენილი და გაგებული აქვს, როგორც მოვლენისა და კანონის, გარეგანისა და შინაგანის, სასრულოსა და უსასრულოს ერთ-

⁴⁰ წერილები ძმასთან, გვ. 11.

⁴¹ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რე. 2, ფურ. 97—98.

თიანობა. უსასრულო სინამდვილის ერთიანობას მ. დავითაშვილი ხედავს მის მატერიალურობაში და იმოწმებს ენგელსის აზრს იმის შესახებ, რომ „...სამყაროს ნამდვილი ერთიანობა მის მატერიალურობაში მდგომარეობს“⁴².

მ. დავითაშვილი სრულიად ლოგიკურად აგრძელებს გზას და მატერიალისტურად წყვეტს ფილოსოფიის ძირითად საკითხს. მ. დავითაშვილის აზრით გარეგანი სინამდვილე, ყოფიერება პირველადია, ხოლო ჩვენი ადამიანური ცნობიერება, აზროვნება მეორადი. გარეგანი სინამდვილე, ყოფიერება კი არ არის ჩვენი ადამიანური ცნობიერების პროდუქტი, არამედ პირიქით, ჩვენი ადამიანური ცნობიერება, აზროვნება არის მატერიალური სინამდვილის განვითარების უმაღლესი პროდუქტი.

„ყოფიერება, წერს მ. დავითაშვილი, დროსა და სივრცეში მიზეზობრივად განაპირობებს, განსაზღვრავს ცნობიერებას, აზროვნებას... მარქსიზმი —ყოფიერებას, ბუნებას, გარეგან გარემოს, ნამდვილ სამყაროს აცხადებს განმსაზღვრელად, „აქტიურად“, დამოუკიდებლად, ხოლო აზროვნებას, ცნობიერებას განპირობებულად, განსაზღვრულად, დამოკიდებულად“⁴³. გარეგანი სინამდვილე თვითგანსაზღვრულია; იგი თვითმწარმოებელი ბუნებაა. ცნობიერება, ადამიანური აზროვნება კი პირიქით, წარმოებულია და მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც სინამდვილის „ამსახველი სარკეა“⁴⁴.

სინამდვილის შემეცნების აღმავალ გზაზე, განაგრძობს მ. დავითაშვილი, ჩვენი ადამიანური აზროვნების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გარეგანი სამყარო შეიმეცნოს ისე, როგორც ის არის, ე. ი. მის ობიექტურობაში. ამ გზით ჩვენმა ადამიანურმა „...აზროვნებამ უნდა გაიგოს ის ნასკვი, რომელშიც ის თავის განმსაზღვრელ ყოფიერებას გადაენასკვება და ასე გადაწყვიტოს თავისთავსა და ყოფიერებას შორის არსებული წინააღმდეგობა სამყაროს მატერიალურ ერთიანობაში“⁴⁵. ეს არის საკითხის ერთადერთი მეცნიერული დასმა და ამ მხრივ მარქსიზმი არავითარ შესწორებას არ საჭიროებს. ხოლო მარქსიზმის მოწინააღმდეგეების, კერძოდ, მახისტების ის დებულება კი,—რომ არსისა და აზრის ურთიერთობის საკითხი მარქ-

⁴² სკკ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რე. 2, ფურ. 97.

⁴³ იქვე.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ იქვე, ფურ. 98.

სიზმში მეტაფიზიკურადაა დასმული და ამიტომ იგი მახიზმით უნდა შესწორდესო, — მარქსიზმის გაყალბებას წარმოადგენს.

მართალია, დასკვნის მ. დავითაშვილი, მარქსიზმი ყოველ ახალ აღმოჩენასთან ერთად სახეს იცვლის და ვითარდება, მაგრამ მახიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში ისეთი არაფერი გაკეთებულა, რომ მარქსიზმმა თავის „შეცება“ „შესწორებად“ მიიღოს.

„ცდის“ ფარგლებს გარეთ ბასვლის შესაძლებლობის შესახებ

ერთიანი მატერიალური სინამდვილე, წერს მ. დავითაშვილი, მუდმივ მოძრაობა-განვითარებაში იმყოფება, იგი თითონაა „აქტიური“, ადამიანს, ადამიანურ აზროვნებას მასში არავითარი „აქტიური“ ელემენტის შეტანა არ ჭირდება. ჩვენი ადამიანური აზროვნების ამოცანა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სამყარო შეიმეცნოს ისე, როგორც ის თავისათვად არის, ნამდვილ დროსა და სივრცეში, საკუთარი კანონებისა და მიზეზების შესაბამის მოძრაობა-განვითარებაში მყოფი⁴⁶.

მაგრამ, განაგრძობს მ. დავითაშვილი, შეუძლია კი აზროვნებას გარეგანი სინამდვილის შემეცნება? შეიძლება კი აზროვნებას „საგნობრივი, ქეშმარიტება“ ჰქონდეს? მახმა და მახისტებმა, მათ შორის ნ. ო.-ნმა, ფიზიკური და ფსიქიკური „ელემენტების“ იგივეობრივად და ამ უკანასკნელთა „უბრალო ქეშმარიტებად“ გამოცხადების გზით, ეს საკითხიც „მოხსნეს“, რითაც ცალმხრივი სუბიექტური ემპირიზმის ის ძირითადი დებულება იწამეს, რომლის თანახმადაც ის, რაც „ცდის“ გარეთ არის ჩვენ არ ვიცით, ხოლო ის, რაც „ცდის“ ფარგლებშია, „საგნობრივი ქეშმარიტების“ არავითარ გარანტიას არ გვაძლევს.

მარქსისტული შემეცნების თეორიის თანახმად, წერს მ. დავითაშვილი, ჩვენს ადამიანურ აზროვნებას არა მარტო შეუძლია გარეგანი სინამდვილის ასახვა, არამედ უფრო მეტიც, იგი მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც გარეგანი სინამდვილის ასახვას წარმოადგენს. გარეგანი სინამდვილე უპირისპირდება ადამიანს, როგორც ასასახი საგანი, ადამიანი უპირისპირდება სინამდვილეს, როგორც ამსახველი. ასასახის და ამსახველის, როგორც ურთიერთ დაპირისპირება, ისე ერთიანობა, პირველ ყოვლისა, თავს იჩენს პრაქტიკაში. ადამიანი ჯერ პრაქტიკულად უპირისპირდება გარე სამყაროს,

⁴⁶ სკკ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რვ. 2, ფურ. 97—98.

ხოლო შემდეგ პრაქტიკაშივე რწმუნდება, რომ ის ამ სამყაროს ნაწილია, რომ ამ სამყაროს „... საგანია სხვა საგანთა შორის“⁴⁷.

„მარქსისტული გნოსეოლოგიის დასაყრდენი — პრაქტიკა“⁴⁸. პრაქტიკაში და პრაქტიკის საფუძველზე ხდება გარეგანი ენერგიის გარდაქმნა ცნობიერების ფაქტად, რის „ელემენტარულ ფორმას“, „უმარტივეს გამოხატულებას“ შეგრძნება წარმოადგენს. „...ფსიქოლოგიაში შეგრძნება გავებული არის, როგორც რაღაც ელემენტარული და სხვა შეგრძნებებთან არ კავშირში მყოფი, მაგრამ ფსიქოლოგია შეგრძნებას ყოველთვის ფსიქიკურ ელემენტად თვლის“⁴⁹.

შეგრძნების „სიმარტივეს“ და „სხვასთან არ კავშირში ყოფნას“ თავი რომ გავანებოთ და იგი სხვა შეგრძნებებთან კავშირში და ურთიერთობაში რომ განვიხილოთ, მაინც „... შეგრძნება ყველა კ ა ვ შ ი რ შ ი ფ ს ი ქ ი კ უ რ ა დ დ არ ჩ ე ბ ა“⁵⁰. მაგალითად, შეგრძნებათა გზით წარმოქმნილი წარმოდგენა მაინც ფსიქიკურია. ან კი სხვა რა უნდა მოეცა ფსიქიკურის ფსიქიკურთან შეერთებას. ამიტომ; დასძენს მ. დავითაშვილი, არ არის სწორი მახიზმი, თითქოს ერთ მიმართებაში, ერთ კავშირში შეგრძნება იყოს ფიზიკური, ხოლო მეორე მიმართებაში, მეორე კავშირში — ფსიქიკური.

მაშასადამე, განაგრძობს მ. დავითაშვილი, მახიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პირველ ყოვლისა ყველგან და ყოველთვის ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ შეგრძნება, რომელიც გარეგანი სინამდვილის ასახვას წარმოადგენს, თავისი ბუნებით ყოველთვის და ყველა მიმართებაში ფ ს ი ქ ი კ უ რ ი ა. იგი ცნობიერების ფაქტია და ამიტომ ობიექტური სინამდვილის შემადგენელ „ელემენტად“ არ გამოდგება. შეგრძნებათა ჩათვლა ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული „... გარემოს ელემენტებად ნიშნავს გარემოს დამოუკიდებლობის სრულ მოსპობას, ასე ვთქვათ, კონტრევიოლუციის მოხდენას, რომლის შემდეგაც დაიწყება ბერკლიანობისა და იდეალიზმის სხვა სახეობათა ძლევამოსილი საზეიმო სვლა“⁵¹.

მახიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მ. დავითაშვილი ყოველნაირად ცდილობდა, რაც შეიძლება უფრო მეტად და უფრო გასაგებად გაესვა ხაზი შეგრძნების ფსიქიკურობისათვის. ეს სრულიად გა-

⁴⁷ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რვ. 1, ფურ. 77.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ იქვე, რვ. 2, ფურ. 87.

⁵⁰ იქვე, ფურ. 87.

⁵¹ იქვე, რვ. 1, ფურ. 66.

საგებია, რადგან მ. დავითაშვილმა კარგად იცოდა მახისტური ფილოსოფიის დედააზრი და ამიტომ იერიშიც სწორედ მის დასაყრდენ ქვაკუთხედზე მიჰქონდა. მაგრამ ამ ბრძოლაში მ. დავითაშვილს ერთგვარი „ჯოხის გადაღუნვა“, გადამეტება მოსდიოდა, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა. აქ კი ჭერჭერობით მხოლოდ ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ მ. დავითაშვილი ერთგვარ გაუგებრობას იჩენდა მარქსიზმის ფილოსოფიური წყაროების საკითხშიც. მაგ., თავის ხელნაწერების მეორე რვეულში მ. დავითაშვილი წერს რომ: „მატერიალიზმი ლებულობს ლოკისა და ფრანგი ენციკლოპედისტების მოძღვრებას... პირველადი რ ი ც ხ ბ რ ი ვ ი და მეორადი თ ვ ი ს ო ბ რ ი ვ ი შეგარძნებების შესახებ“⁵².

რა თქმა უნდა, საგანთა თვისებების ლოკისეული ორ რიგად დაყოფა დიალექტიკურ მატერიალიზმს არც მიუღია და არც ლებულობს, მ. დავითაშვილი ამაში სცდებოდა. დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით საგანი და მისი თვისებები ერთიანობაში არიან. ისინი ერთმეორის გარეშე არ წარმოიდგინებიან. ჩვენი ცნობიერების გარეთ არსებული საგნის ყოველი მხარე, ყოველი თვისება ჩვენი ცნობიერების მიმართ ერთნაირად პირველადი და ერთნაირად გარეგანია. საგნის თვისებები ჩვენთვის პირველადად და მეორადად არ დაიყოფიან. ლოკი კი პირიქით, როგორც ეს ზემოთ ითქვა, საგანთა თვისებათა ერთ რიგს — მოძრაობას, ფორმას, შეუვალობას და სხვას ობიექტურად თვლიდა, ხოლო ფერს, გემოს, სუნს და სხვას — სუბიექტურად, რაც არასწორი და მცდარია.

მაგრამ, ვიმეორებთ, მ. დავითაშვილის მსჯელობათა ეს არათანმიმდევრობა ნაკარნახევი იყო მახიზმის წინააღმდეგ ბრძოლით. ამ ბრძოლაში მას სურდა, რაც შეიძლებოდა მკვეთრად გაესვა ხაზი შეგარძნების, როგორც გარეგანი სინამდვილის ასახვის „ელემენტარული ფორმის“ ფსიქიკურობისათვის. ხოლო, როდესაც ამ ბრძოლისაგან დამოუკიდებლად დგებოდა საკითხი, მაშინ ის სრულიად მატერიალისტურად განმარტავდა, ლოკის ზემოთ მოყვანილ მცდარ აზრს.

„ხელმძღვანელობს რა ამ დაყოფით, წერს მ. დავითაშვილი, დიალექტიკური მატერიალიზმი ამ შემთხვევაშიაც ენდობა თავის დიალექტიკას, რომელსაც თვისობრივი გარდაქმნები და განსხვავებანი, რიცხობრივ ერთიანობაზე და ცვლილებებზე დაჰყავს, მეორადი პირველადზე დაჰყავს, ფერები, ხმები და სხვა მატერიალურ ატომთა მოძრაობაზე დაჰყავს“⁵³.

⁵² სკკ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რვ. 2, ფურ. 89.

⁵³ იქვე.

მ. დავითაშვილი მახიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კიდევ სხვა ცალმხრიობასაც უშვებს. მ. დავითაშვილის მსჯელობიდან უდავოდ გამომდინარეობს ის აზრი, რომ შეგარძნება სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობის პროდუქტი კი არ არის, არამედ ასასახისა და ასახულის სახით ცალ-ცალკეც არსებობს. მაგ. მ. დავითაშვილი წერს, რომ: ფერები, ხმები და სხვა თვით საგნებში, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებულ სინამდვილეში იმყოფებიან. ობიექტურ სინამდვილეში მათ ეთერის მოძრაობის გარკვეული ტალღები შეესაბამებიან. ობიექტურ სინამდვილეში ფერები, ხმები და სხვა ერთმეორისაგან განსხვავდებიან ეთერის ტალღების მოძრაობის რაოდენობით. დიახ, დასძენს მ. დავითაშვილი, ამას ვალიარებთ ჩვენ. მაგრამ მახისტები თუ მაინც გვკითხავენ: როგორ? ფერები, ხმები და სხვა, გარეგან სინამდვილეშიც არსებობენ და ჩვენშიც? ჩვენ მათ ვუპასუხებთ: „ამაში არაფერაა ისეთი, რომ მატერიალისტისათვის მიუღებელი იყოს, მით უმეტეს, რომ მოძრაობა, რომელიც წითელ ფერს შეესაბამება, ნამდვილად, განსხვავდება ლურჯი ფერის შესაბამისი მოძრაობისაგან, როგორც წითელი ფერის შეგარძნება განსხვავდება ლურჯი ფერის შეგარძნებისაგან“⁵⁴.

მ. დავითაშვილი სრულიად გარკვევით ანსხვავებს წითელ ფერს ფიზიკურ საგანში და წითელი ფერის შეგარძნებას ჩვენს ცნობიერებაში. მ. დავითაშვილის აზრით, პირველი ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად და მის გარეთ არსებობს, ხოლო მეორე ჩვენს ცნობიერებაში. ამ დასკვნას მ. დავითაშვილი თვითონვე აკეთებს რა სრულიად გასაგებად წერს რომ: „წითელი ფერი ობიექტში, ჩვენ მიერ დაშვებული აზრით, და წითელი ფერის შეგარძნება არ არის იგივეობრივი“⁵⁵.

მართალია, ყოველივე ეს საკითხის ერთგვარი გავუღვარება იყო, რაც სუბიექტური იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლით იყო ნაკარნახევი, მაგრამ მ. დავითაშვილი საკითხის ამგვარი დაყენებით არ შემოფარგლულა და სრულიად სწორი გზით წავიდა წინ. მახიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მ. დავითაშვილმა, პირველ ყოვლისა, ხაზი გაუსვა იმ აზრს, რომ შეგარძნება ობიექტური სინამდვილის სუბიექტური გამოხატულებაა და ვ. ი. ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმიდან“ დაიმოწმა სწორედ ეს ადგილი:

⁵⁴ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რგ. 2, ფურ. 89.

⁵⁵ იქვე, ფურ. 88.

„მატერიალისტიკისათვის ფაქტიურად მოცემულია გარე სამყარო, რომლის გამოხატულებანიც ჩვენი შეგრძნებანი არიან.

(ილინი. 120)“⁵⁶

შეგრძნებები, ანუ „... ელემენტები“, წერს მ. დავითაშვილი, თეთრი, წითელი, თბილი, ცივი თავიანთ მნიშვნელობას ადამიანთა პრაქტიკაში ინარჩუნებენ, ისე, როგორც სასიგნალო ნიშნები“⁵⁷... ისინი წარმოადგენენ გარეგანი სინამდვილის ჩვენს ცნობიერებაში ასახვის პირველ და უშუალო „სიგნალებს“. ამ „სიგნალების“ გზით მოემართება გარეგანი სინამდვილიდან ჩვენში ყოველგვარი ცოდნა. შეგრძნება უშუალო გამოხატულებაა გარეგანი სინამდვილის, რომელიც შემდეგ „წარმოდგენად“, „აზრად“ შეჯამდება ჩვენში. შეგრძნებათა გზით ვგებულობთ არა მარტო უშუალოდ მოცემულ მოვლენებს, არამედ მათ „მიზეზებსაც“⁵⁸.

მართალია, შეგრძნებიდან აზროვნებაზე გადასვლის თავისებურებას, რაც თავისთავად ისეთივე დიალექტიკური ბუნებისაა, როგორც ყოფიერებიდან ცნობიერებაზე გადასვლა, მ. დავითაშვილი: სპეციალურად არ იხილავს; მაგრამ მახიზმის, როგორც ცალმხრივი ემპირიზმის სახესხვაობის წინააღმდეგ ბრძოლაში თავის ხელნაწერების ორივე რვეულის მთელ მანძილზე პრინციპულად იცავს იმ აზრს, რომ ჩვენს გონებას შეუძლია შეიმეცნოს არა მარტო ის, რაც: „ცდაში“, შემეცნებაში უშუალოდ მოგვეცემა, არამედ ისიც, რაც: ამ უშუალოდ მოცემულის უკან, მის მიღმა არის.

მ. დავითაშვილმა იცოდა, რომ მახი და მახისტები „დოგმატიზმის“ შიშით „ცდაში“ უშუალოდ მოცემულის იქით არ მიდიოდნენ. მოვლენათა „წმინდა აღწერით“ კმაყოფილდებოდნენ და მიზეზობრიობის კანონის ძებნას ფეტიშიზმად აცხადებდნენ⁵⁹. ამასთან ერთად, მ. დავითაშვილმა კარგად იცოდა ისიც, რომ „...როცა კანტი შემეცნებას შემეცნების საშუალებითვე და ყველაფრისაგან მოწყვეტილად აკრიტიკებდა... ის შემეცნების საზღვრებში გაიჭედა და „საგანი თავისთავად“ შეუმეცნებლად გამოაცხადა“⁶⁰. მან აგრეთვე იცოდა ისიც, რომ ყოველივე ეს იუმის ფილოსოფიის იმ ძირითადი დებულების თავისებურ განმეორებას წარმოადგენდა, რომლის თანახმა-

⁵⁶ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რვ. 2, ფურ. 88.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ იქვე, რვ. 1, ფურ. 65.

⁵⁹ იქვე, რვ. 2, ფურ. 84.

⁶⁰ იქვე, ფურ. 88.

დაც „ის, რაც ცდის ფარგლებს გარეთ არის, არ შეიძლება ჩვენ ვიცოდეთ“⁶¹. და ამიტომ მ. დავითაშვილიც მთავარ ბრძოლას ამ მიმართულებით წარმართავდა.

წინააღმდეგ ცალმხრივი ემპირიზმის იუმისეული დებულებისა, წერს მ. დავითაშვილი, ცდის შიგნით არსებული მასალის საფუძველზე, ჩვენ ზოგიერთი რამის თქმა შეგვიძლია იმის შესახებაც, რაც „ცდის“ მიღმა, მის ფარგლებს გარეთ არის. როცა ჩვენ „ცდას“ უთვალთვალებთ, ვამჩნევთ, რომ „ცდაში“, ე. ი. ჩვენს შემეცნებაში წყაროსავით მოედინება გარეგანი სინამდვილიდან მასალა, რომელიც აფართოებს და სახეს უცვლის ჩვენს ცნობიერებას. ერთი სიტყვით, გარეგანი სამყაროს შემეცნების საფუძველზე იზრდება და იცვლება ჩვენი ცნობიერება. და აი, „... როცა ამ ავანპოსტიდან ვუყურებთ ცდას, დასძენს მ. დავითაშვილი, ცდის შიგნით ჩვენ ვხედავთ გარკვეულ კანონზომიერებას, მიზეზობრიობის საყოველთაო კანონს“⁶².

მაგრამ იქნებ ცდის სფეროში არსებული კანონი ჩვენი გონების აპრიორული კანონია, როგორც ამას კანტი ფიქრობდა? სვამს კითხვას და იქვე შემდეგს პასუხობს მ. დავითაშვილი: არა, ეს რომ ასე იყოს მაშინ იგი გარეგანი სინამდვილიდან მომდინარე მასალის საფუძველზე არ შეიცვლებოდა. ჩვენ კი სრულიად საწინააღმდეგოდ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. სახელდობრ, ცდის სფეროში მოქცეული „... კანონის შემეცნება უქვევლად იცვლება იმის ზემოქმედებით, რაც მის გარეთ არსებულიდან მოედინება და არა რაიმე შინაგანი ძალის ზემოქმედებით“⁶³...

კანტის აპრიორიზმი საერთოდ მცდარი თეორიაა, იგი ვერ უზრუნველყოფს სინამდვილის შემეცნებას. „...იმისათვის, რომ შევიმეცნოთ ყოფიერება ჩვენმა აზროვნებამ უარი უნდა თქვას, აქტიურ როლზე, კანონმდებლურ მიდრეკილებაზე, იგი უნდა გახდეს ყოფიერების ამსახველი სახე“⁶⁴. მაგრამ საიდან ვიცით, რომ ადამიანის აზროვნებაში ასახული კანონზომიერება გარეგანი სინამდვილიდან მოედინება ჩვენს თავში და მას შეესაბამება? ეს ჩვენ ვიცით იქედან, რომ „...არც ერთი ჩვენ მიერ აღმოჩენილი ახალი მოვლენა, რომელიც ჩვენმა შემეცნებამ გარემოს გამოჰგლიჯა არ ეწინააღმდეგება მიზეზობრიობის კანონს“⁶⁵ და აი „... აქედან ვასკენით ჩვენ, რომ მი-

⁶¹ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რვ. 1, ფურ. 65.

⁶² იქვე.

⁶³ იქვე.

⁶⁴ იქვე, რვ. 2, ფურ. 97.

⁶⁵ იქვე, რვ. 1, ფურ. 65.

ზეზობრიობის კანონი ბატონობს არა მარტო ცდის საზღვრებს შიგნით, არამედ მის გარეთაც“⁶⁶. ყოველივე ეს კი პრინციპულად არღვევს მახისტურად გაგებული „ცდის“ ფარგლებს და მის მიღმა გადის.

მაშასადამე, დაასკვნის მ. დავითაშვილი, ჩვენს ადამიანურ გონებას შეუძლია „ცდის“ მიღმა გავიდეს, შეუძლია გაიგოს და შეიმეცნოს არა მარტო უშუალოდ მოცემული მოვლენა, არამედ მისი არსიც, მისი კანონზომიერებაც. ცალმხრივი სუბიექტური ემპირიზმი კი, რომლის ფარგლებშიაც მახიზმი და ემპირიოკრთიციზმი ტრიალებს, პოზიტივიზმს ვერ სცილდება და ხელოვნურად ზღუდავს ჩვენი გონების მოქმედების არეს.

პრაქტიკის როლისა და მისი მნიშვნელობის შესახებ

მ. დავითაშვილმა იცოდა, რომ შემეცნების უნარის კრიტიკა, ანუ შემეცნების „საგნობრივი ჰეგემონიების“ საკითხი შემეცნების სფეროში არ წყდებოდა. ეს ჯერ კიდევ კანტის კრიტიკული ფილოსოფიის გარჩევის დროს აღნიშნა მან და სრულიად მართებულად მიუთითა, რომ „...როცა კანტი შემეცნებას შემეცნების საშუალებითვე და უკუაღრისაგან მოწყვეტლად აკრიტიკებდა ის შეწყინების საზღვრებში გაიჭედა და „საგანი თავისთავად“ შეუმეცნებლად გამოაცხადა“⁶⁷. ამიტომ, ცხადია, მ. დავითაშვილი ზემოთ აღნიშნულით არ დაკმაყოფილდებოდა. მართლაც, მან სრულიად ლოგიკურად გააგრძელა გზა და ცალმხრივი ემპირიზმის მახისტურ თეორიას შემეცნების მარქსისტული თეორია დაუპირისპირა.

ამ ბრძოლაში მ. დავითაშვილმა, პირველ ყოვლისა; წინ წამოსწია პრაქტიკის როლი, რომლის მეშვეობითაც შემეცნების მარქსისტულმა თეორიამ გაარღვია იუმის ფილოსოფიიდან მომდინარე ცალმხრივი ემპირიზმის ლოგიკურად „მოჩადობული რკალი“.

შემეცნების მარქსისტული თეორიის თანახმად, წერდა მ. დავითაშვილი, „დასაწყისში იყო საქმე“⁶⁸. ადამიანს „... უპირველეს ყოვლისა, ბრძოლა უხდებოდა სიცოცხლისათვის, არსებობისათვის“⁶⁹. ბრძოლა კი აუცილებლად გულისხმობს იმას, რისკენაც ის არის მიმართული, გულისხმობს გარეგან სინამდვილეს. „...ბრძოლა შეუძლე-

⁶⁶ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რე. 1, ფურ. 65.

⁶⁷ იქვე, რე. 2, ფურ. 88.

⁶⁸ იქვე, ფურ. 100.

⁶⁹ იქვე.

ბელია რეალური სინამდვილის გარეშე⁷⁰. ამიტომ მოქმედი ადამიან-
ნი არასდროს „...არ ექვედებოდა გარე სამყაროს ობიექტურობაში“⁷¹.

შემეცნების მარქსისტული თეორია აუცილებლობით გულისხ-
მობს ამ ორ კომპონენტს — სუბიექტს და ობიექტს, ე. ი. ადამიანს
და ბუნებას. არსებობისათვის ბრძოლაში ადამიანი გარაქმნიდა,
როგორც თავის გარემომცველ ბუნებას, ისე თავის თავს. თანდათა-
ნობით ეუფლებოდა ბუნების კანონებს და მათ თავის სასარგებლოდ
იყენებდა. მაგრამ, ვიმეორებთ „...ვიდრე ადამიანის წინაშე გნობე-
ოლოგიური საკითხები დადგებოდა“⁷²... იგი იძულებული იყო ჯერ
თავის არსებობისათვის ეზრუნა. ამიტომ დებულება — „დასაწყის-
ში იყო საქმე“ — სავსებით შეესაბამება ჭეშმარიტებას.

პრაქტიკული მოქმედება გარეგანი სინამდვილისა და ადამიანის!
ურთიერთ ზემოქმედებაში გამოიხატება. არა მარტო ადამიანი ზემო-
ქმედებს ბუნებაზე, არამედ ბუნებაც მოქმედებს მასზე და ამ ურთი-
ერთ ზემოქმედების შედეგად გარეგანი სინამდვილე აისახება ადამიან-
ის ცნობიერებაში. ერთი სიტყვით, პრაქტიკული მოქმედების სა-
ფუძველზე „...ადამიანი გარემოსაგან ღებულობს არა მარტო სიცოც-
ხლეს, არამედ შეგრძნებებსაც“⁷³... ეს უკანასკნელი გარეგანი სინ-
ამდვილის ჭეშმარიტი ასახვანი არიან და ამიტომ ...მატერიალიზმი:
საკმარისად ენდობა ჩვენს გრძნობებს...

მართალია, ყოველგვარი ცოდნა გრძნობების გზით მოედინება:
ჩვენში, ისინი ასახავენ გარეგან სინამდვილეს უშუალოდ, მაგრამ
ერთიანი მატერიალური სინამდვილის შემეცნებისათვის, გრძნობები
საკმარისნი არ არიან და მათ „არა სრულყოფას“ გონება ავსებს⁷⁴.
ჩვენი ადამიანური გონება ანაღზს უკეთეს გრძნობების გზით მიღე-
ბულ მასალას, არსებითს არა არსებობისაგან გამოცალკევებს და ამ-
გზით საგნის გარეგანი მხარიდან მის შინაგან, არსობრივ მხარეს და-
იჭერს; აღმოაჩენს საგანთა და მოვლენათა შორის არსებულ შინაგან
კავშირებს და ბუნების კანონზომიერებას გაიხეებს. გარეგანი სინამ-
დვილია შემეცნებას საზღვარი არა აქვს. ამ მხრივ ადამიანის გონება
რაიმე შეზღუდულობას არ განიცდის.

გონებისა და გრძნობების, ანუ რაციონალური და ემპირიული
შემეცნების ერთიანობის გზით, განაგრძობს მ. დავითაშვილი, ჩვენ,
უკვე ბევრი რამე ვიცით სინამდვილის არა მარტო გარეგანი, არამედ

⁷⁰ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არ-
ქივი, მ. დავითაშვილის ფონდი, რკ. 2. ფურ. 100.

⁷¹ იქვე.

⁷² იქვე.

⁷³ იქვე, ფურ. 88.

⁷⁴ იქვე.

